ელენ უაითი

რწმენა, რომლითაც ვცოცხლობ

სიტყვა მკითხველისადმი

გამოცემა მოცემული წიგნისა, რომელიც სულიერ ფიქრებს შეიცავს, პასუხია მრავალრიცხოვან თხოვნაზე, რომ ერთ წიგნად შეკრებილიყო ელენ უაითის კომენტარები ქრისტიანული რწმენის საკვანძო საკითხებზე. ქრისტიანული რწმენის ძირითადი დოქტრინები, დადასტურებული გულმოდგინედ შერჩეული ტექსტებით წმიდა წერილიდან და ციტატებით სულიწმიდის წინასწარმეტყველებიდან, აქ წარმოდგენილია არა როგორც ღვთისმეტყველური ნაწყვეტები, არამედ როგორც სულიერი ჭეშმარიტებები, პირდაპირ დაკავშირებული გამოსყიდვის საქმესთან, რაც იესო ქრისტემ, ჩვენმა უფალმა და მხსნელმა ჩვენთვის აღასრულა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მოცემული წიგნი შეიცავს არა მარტო სულიერ გაკვეთილებს, არამედ მნიშვნელოვან ინფორმაციასაც ჩვენი ახალგაზრდობისა და სხვა მკითხველებისთვის. შეუძლებელია, სხვას გაუზიარო რწმენა, რომელიც არ იცი და რომელიც არ გესმის. რომ იმახარებლო, ცოდნაა საჭირო.

ელენ უაითის წინამდებარე სულიერ ფიქრებში წმიდა წერილის ტექსტები მოცემულია, როგორც მთავარი ავტორიტეტი. ბიბლია გარკვევით ლაპარაკობს ფუძემდებლური ჭეშმარიტებების შესახებ. ავტორი თავის კომენტარებში განმარტავს და განადიდებს ჭეშმარიტებას, როცა აჩვენებს მის პირადულ ხასიათსა და პრაქტიკულ ფასეულობას. წმიდა წერილი და

წინასწარმეტყველების სული ერთმანეთს შორის სრულ ურთიერთჰარმონიას დემონსტრირებს; ბიბლია დოქტრინალურ მტკიცებულებას ასრულებს, ხოლო წინასწარმეტყველების სული განმარტავს მას.

ელენ უაითის იმ ციტატების ძებნის პროცესში, რომლებიც შეეფერება და შეეხება ამა თუ იმ ბიბლიურ დოქტრინას, შემდგენლები მიმართავდნენ ავტორის გამოცემულ ნაშრომებს, სადაც შესულია ე. უაითის საკუთარი ხელით დაწერილი მტკიცებულებები. კარგად ცნობილი გამონათქვამების გვერდით წიგნში წარმოდგენილია სხვა, ნაკლებად ცნობილი, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობის მქონენი. ესენია ელენ უაითის კომენტარები “მდა ბიბლიური კომენტარებიდან,” სტატიების ნაწყვეტები პერიოდული გამოცემებიდან, ისეთებიდან, როგორიცაა “ახალგაზრდობის დამრიგებელი”, “დროის ნიშნები” და “რევიუ ენდ გერალდი”. წიგნში არის მთელი რიგი ციტატებისა, რომლებიც პირველად ქვეყნდება.

რადგანაც ერთი დღის საკითხავი ერთი გვერდითაა შემოფარგლული, შემდგენლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ წიგნში ჩაერთოთ ვრცელი ციტატები ასახსნელი თემის ირგვლივ. გამოყენებული ციტატების ნაწილიც ამავე მიზეზით იქნა შემოკლებული. არც თუ იშვიათად, ხუთი-ექვსი წყარო ერთ გვერდზეა წარმოდგენილი. იქ, სადაც მტკიცებულება ერთი-ორი წინადადებისგან შედგება, შემდგენლებმა ყურადღებით შეისწავლეს კონტექსტში გამოთქმული აზრები და შეეცადნენ, ზუსტად გადმოეცათ იდეები, რომლებიც ელენ უაითმა სულიწმიდისგან მიიღო.

წიგნი “რწმენა, რომლითაც ვცოცხლობ”, შედგენილი იქნა ე. უაითის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე მეურვეობის საბჭოს ხელმძღვანელობით, რომელიც პასუხისმგებელია მისი ნაშრომების გამოქვეყნებაზე. წიგნი შეესაბამება თავად ქალბატონ უაითის მიერ გადმოცემული კომპილაციების მოთხოვნებს.

გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ ქრისტიანული რწმენის ღვთივსულიერი ჭეშმარიტებების შესახებ ამ ყოველდღიური საკითხავის სისტემატურად წაკითხვა სახელმძღვანელო და გამხნევების წყარო იქნება მკითხველისთვის.

ე. უაითის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე მეურვეობის საბჭო.

იანვარი - ღვთის სიტყვა და საქმეები

1 იანვარი

სინათლე ჩემს გზაზე

ლამპარია ჩემი ფეხისთვის სიტყვა შენი და სინათლე - ჩემი ბილიკისათვის (ფსალმ. 118:105).

ყველას გვჭირდება გამყოლი, ვინც ჩვენი ცხოვრების გზაწვრილებზე გაგვატარებდა მსგავსად იმისა, როგორც გემის კაპიტანს ესაჭიროება ლოცმანი, რომელსაც შეუძლია, რომ გემი გაატაროს მეჩეჩის გვერდის ავლით ან რიფებს შორის. მაგრამ სად ვიპოვოთ ასეთი გამცილებელი? ჩვენ მიგითითებთ... ბიბლიაზე (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 5, გვ. 264).

ღმერთმა მოგვცა თავისი სიტყვა, როგორც ლამპარი ჩვენი ფეხისთვის და სინათლე - ჩვენი ბილიკისათვის. მისი

მოძღვრებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი წინსვლისათვის ცხოვრების ყველა მომენტში...

ბიბლია არის სიკეთისა და ბოროტების დიდებული საზომი, რომელიც იძლევა ცოდვისა და სიწმინდის მკაფიო განმარტებას. მისი ცოცხალი პრინციპები ჩვენს ცხოვრებას ოქროს ძაფებივით გასდევს და ჩვენი ერთადერთი საყრდენია განსაცდელებსა და ცდუნებებში. ბიბლია არის რუკა, რომელიც გვიჩვენებს ჭეშმარიტების მომენტებს. მას, ვინც ამ რუკას მიჰყვება, შეუძლია მტკიცე ნაბიჯით იაროს მოვალეობის იმ გზაზე, საითაც მოწოდებულია. (რევიუ ენდ გერალდი, 11 ივნისი 1908 წ.).

როდესაც ღვთის სიტყვისადმი ნდობა იკარგება, ადამიანი რჩება დაცვისა და ხელმძღვანელობის გარეშე. და ახალგაზრდები ირჩევენ გზას, რომელიც აშორებს მათ ღმერთსა და საუკუნო სიცოცხლეს.

უმეტეს შემთხვევაში სწორედ ამით აიხსნება დანაშაულისა და მანკიერების ასე ფართო გავრცელება დღეს წუთისოფელში. როცა ღვთის სიტყვა უარყოფილია, უგულებელყოფილია მისი შესაძლებლობაც, შეაკავოს ადამიანის დაუოკებელი გულის დანაშაულებრივი ვნებანი (ქრისტეს იგავები, გვ. 16).

როდესაც ღვთის სიტყვა ხდება ჩვენი მრჩეველი, როდესაც სინათლის საპოვნელად ვიკვლევთ წმიდა წერილს, ჩვენ ზეციური ანგელოზები გვიახლოვდებიან, რათა გავლენა მოახდინონ ჩვენს გონებაზე, გაანათლონ იგი და რათა ჭეშმარიტად შესაძლებელი გახდეს ვთქვათ: “საწყისი შენი სიტყვებისა ანათებს...” (ფსალმ. 118:130) (რჩევები მშობლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, გვ. 442).

ღვთის სიტყვა არის ჭეშმარიტება და ნათელი - ლამპარია ფეხისთვის და სინათლე ბილიკისათვის. მას შეუძლია უხელმძღვანელოს ყოველ ნაბიჯს ღვთის ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე (რჩევები მშობლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, გვ. 461).

ორშაბათი აბაკ. 2

2 იანვარი

ჩემი დაცვა ცდუნების დროს

გულში ჩავიმარხე შენი სიტყვები, რათა არ შეგცოდო (ფსალმ. 118:11).

თუ ცოდვა და სიცრუე შეცდომაში არ შეგვიყვანს, მაშინ გული ჭეშმარიტებით იქნება აღსავსე. ღვთის სიტყვა გონებას შეაიარაღებს ღვთიური ძალით, რათა მტერი დავამარცხოთ. ბედნიერია ის, ვისაც ცდუნების მომენტში მომარაგებული აქვს ცოდნა წმიდა წერილიდან და ღვთის აღთქმების კალთის ქვეშ პოულობს თავშესაფარს. “გულში ჩავიმარხე შენი სიტყვები, რათა არ შეგცოდო”, - ამბობს მეფსალმუნე (დროის ნიშნები, 1 ივნისი, 1882წ.).

ეს სიტყვა მუდამ უნდა იყოს ჩვენს გულებში და ჩვენს ბაგეებზე. “დაწერილია”- უნდა იყოს ჩვენი ღუზა. მათ, ვინც ღვთის სიტყვა თავის მრჩევლად გაიხადა, შეგნებული აქვთ ადამიანის გულის სისუსტე და ძალა ღვთის მადლისა, რომელსაც ძალუძს, რომ დაიმორჩილოს ყოველი უწმიდური, ცოდვილი მისწრაფება.

მათი გულები მუდამ აღვსილია ლოცვით და მათზე წმიდა ანგელოზები ზრუნავენ. თუ მტერი მოვა, როგორც მდინარე, უფლის სუნთქვა გააგდებს მას. გულში ჰარმონია სუფევს, რადგან ჭეშმარიტება მასზე ავრცელებს თავის ძვირფას, მძლავრ გავლენას (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 6, გვ.160).

ღვთის სიტყვა წარმოადგენს არხს, რომლის საშუალებითაც გვაქვს ურთიერთობა ცოცხალ ღმერთთან. ადამიანი, რომელიც ღვთის სიტყვით იკვებება, წარმატებული იქნება ყოველ სასიკეთო საქმეში. იგი აღმოაჩენს ჭეშმარიტების მდიდარ საბადოებს. დაფარული საუნჯის საპოვნელად შრომაა საჭირო. სულიწმიდა გაახსენებს ადამიანს, განსაცდელში მყოფს, ზუსტად იმ სიტყვებს, რომლებითაც ამ განსაცდელის მოგერიება შეიძლება სწორედ იმ მომენტში, როცა ისინი ყველაზე მეტად იქნება საჭირო. და ის მათ საუკეთესო სახით გამოიყენებს (დროის ნიშნები, 1895 წ. 5 სექტემბერი).

ჩვენ უკეთ უნდა ვიცოდეთ ჩვენი ბიბლია. ჩვენ კარს დავუხურავდით მრავალ ცდუნებას, თუ გადავწყვეტდით, რომ ზეპირად გვესწავლა ნაწყვეტები წერილებიდან. მოდით, სატანისტურ ცდუნებებს გზა გადავუღობოთ იმით, რაც წმიდა წერილშია დაწერილი. ჩვენ მოგველის კონფლიქტური სიტუაციები, რომლებიც ჩვენს რწმენასა და მამაცობას გამოსცდის, მაგრამ ისინი გაგვაძლიერებს, თუკი გავიმარჯვებთ იმ მადლით, რომლის ჩუქებაც იესოს სურს. მაგრამ ჩვენ უნდა გვჯეროდეს; ეჭვის გარეშე უნდა მივენდოთ აღთქმებს (რევიუ ენდ გერალდი, 13 მაისი, 1884 წ.).

აბაკ. 3
სამშაბათი

3 იანვარი

აღთქმები მეკუთვნის მე

რადგან ღვთის ყველა აღთქმანი მასში “ჰო” არის და მისით ითქმის “ამინი” ღვთის სადიდებლად ჩვენს მიერ (2კორ. 1:20).

ძვირფასი ბიბლია ღვთის ბაღია, ხოლო მისი აღთქმები - ესაა შროშანები, ვარდები და მიხაკები (რევიუ ენდ გერალდი, 19 მარტი, 1889 წ.).

ო, როგორ მინდა, რომ ჩვენ ყველა მივენდოთ ღვთის აღთქმებს!.. ჩვენ არ გვჭირდება, საკუთარ გულებში ვეძებოთ სასიხარულო ემოციები, როგორც დადასტურება იმისა, რომ ზეცამ მიგვიღო, არამედ უნდა მივიღოთ ღვთის აღთქმები და ვთქვათ: «ისინი ჩემია. უფალი ჩემზე აფენს თავის სულიწმიდას, მე ვღებულობ ნათელს, ვინაიდან აღთქმა აცხადებს: “გწამდეთ, რომ მიიღებთ და თქვენი იქნება”. რწმენით შევდივარ ფარდის მიღმა და ვებღაუჭები ქრისტეს, ჩემს ძალას. ღმერთს მადლობას ვუხდი იმისათვის, რომ მყავს მხსნელი» (დროის ნიშნები, 25 მარტი 1889 წ.).

წმიდა წერილი უნდა აღიქმებოდეს, როგორც ღვთის სიტყვა, ჩვენდამი მომართული, თანაც არა მარტო დაწერილი, არამედ ნათქვამიც. როდესაც სხვადასხვა დაავადებით გატანჯული ავადმყოფები ქრისტესთან მოდიოდნენ, ის ხედავდა უშუალოდ დახმარების მთხოვნელებსაც და ყველა იმ ადამიანსაც, ვინც მას განკურნებას სთხოვს ყველა საუკუნის განმავლობაში, როცა

მასთან იმავე საჭიროებითა და იგივე რწმენით მივა. როდესაც მან დავრდომილს უთხრა: “გამაგრდი, შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები”, როდესაც კაპერნაუმელ ქალს უთხრა: “ასულო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა. წადი მშვიდობით!”, მაშინ მან მიმართა ყველას, ცოდვით დატანჯულსა და დამძიმებულს, ვინც საუკუნეების განმავლობაში მას საშველად მოუხმობს (მათ. 9:2; ლუკ. 8:48).

ეს ეხება ღვთის სიტყვის ყველა აღთქმას. იესო მათი მეშვეობით პირადად გველაპარაკება თითოეულ ჩვენგანს, გველაპარაკება ისევე უშუალოდ, თითქოს მის ხმას ვისმენდეთ. სწორედ ღვთის სიტყვის აღთქმებშია ნათქვამი, რომ ქრისტე გვანიჭებს თავის მადლსა და ძალას. ეს აღთქმები ჭეშმარიტი ფოთლებია სიცოცხლის ხისა, რომელიც “ხალხთა განსაკურნავადაა” (გამოცხ. 22:2). მიღებული და შეთვისებული აღთქმები გვიძლიერებს ხასიათს, შთაგვაგონებს და სიმტკიცეს გვანიჭებს (განკურნების მსახურება, გვ. 122).

დაე, ახალგაზრდები მაგრად ჩაეჭიდონ უსაზღვრო ძალის მქონე ხელს. რწმენა იზრდება, თუკი მას ავარჯიშებთ. გამაგრდით აღთქმებით; მთლიანად მიენდეთ ღვთის სიტყვის უბრალო აღთქმას (ახალგაზრდების ხელმძღვანელი, 23 მარტი 1893 წ.).

არ დაივიწყოთ ქრისტეს ძვირფასი სიტყვები. ისინი ვერცხლსა და ოქროზე მეტად უნდა დააფასოთ (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 6, გვ. 81).

---

4 იანვარი

სახელმძღვანელო მთელი კაცობრიობისათვის

წინასწარმეტყველება არასოდეს წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმიდის მიერ აღძრულნი, ღვთისაგან წარმოთქვამდნენ მას (2პეტრ. 1:21).

ღმერთმა მოკვდავ ადამიანს მიანდო მომზადება თავისი ღვთივსულიერი სიტყვისა. ეს სიტყვა, აღბეჭდილი ძველ და ახალ აღთქმებში, არის სახელმძღვანელო დაცემული წუთისოფლის მცხოვრებთათვის, ნაანდერძევი იმისათვის, რომ მისი შესწავლისა და მისი მითითებებისადმი მორჩილების წყალობით ერთი ადამიანიც კი არ ასცდეს ზეცისაკენ მიმავალ გზას (რჩეული უწყებები, ტ. 1, გვ. 16).

ბიბლია თავის ავტორად ღმერთს ასახელებს, მაგრამ ის დაწერეს ადამიანებმა და მისი ცალკეული წიგნების სტილის სხვადასხვაობაში მოჩანს მის დამწერთა დამახასიათებელი თვისებები. გამოცხადებული ჭეშმარიტება “ღვთივსულიერია”, მაგრამ ადამიანთა სიტყვებით არის შემოსილი (იხ. 2ტიმ. 3:16). უსასრულო ღმერთმა თავის მსახურთა გული და გონება სულიწმიდით გაანათლა. იგი გზავნიდა სიზმრებსა და ხილვებს, სიმბოლოებსა და პირველსახეებს და ისინი, ვისთვისაც ასეთი გზით იქნა ჭეშმარიტება გამოცხადებული, თავიანთ აზრებს უკვე თვითონ გამოხატავდნენ სიტყვებით (დიადი ბრძოლა, c.V, VI).

როცა ხალხს მიმართავს, უფალი არ იყენებს დახვეწილ ენას, რათა ადამიანს, წამხდარი გრძნობებისა და დაუძლურებული, მიწიერი აღქმის მქონეს, შეეძლოს მისი სიტყვების გაგება.

ღმერთი შემწყნარებელია თავისი ქმნილებისადმი და დაცემულ კაცობრიობას მისთვის გასაგებ ენაზე ელაპარაკება. ბიბლია, თავის სისადავეში სრულყოფილი, არ პასუხობს ღვთის დიად იდეებს; ვინაიდან შეუძლებელია, მარადიული იდეები მთელი სისრულით გადმოიცეს აზრის გამოხატვის არასრულყოფილი საშუალებებით. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ჰგონია, თითქოს ბიბლია სავსეა გაზვიადებებით, მისი ნათელი, ხატოვანი ენა სინამდვილეში სულაც არ შეესაბამება მასში გამოხატული აზრების სიდიადეს, თუმცა გადამწერები ირჩევდნენ ყველაზე გამომსახველ ენას, რათა ადამიანებამდე მიეტანათ უმაღლესი წყობის ჭეშმარიტებები (რჩეული უწყებები, ტ. 1, გვ. 22).

ღმერთმა ბიბლია გახადა სახელმძღვანელო ყველა ასაკისათვის, რათა ბავშვები, ახალგაზრდები და ხანდაზმულები გამუდმებით იკვლევდნენ მას. თავის სიტყვაში უფალი თავად გამოეცხადა ხალხს... ბიბლია - ეს ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობის საშუალებაა (დიადი ბრძოლა, გვ. 48 [ორიგ. გვ. 69]).

სოფ. 2 ხუთშაბათი

5 იანვარი

ბიბლია გამოგზავნილია ზეციდან

მაგრამ ეს განძი ჩვენ გვაქვს თიხის ჭურჭლებში, რათა გადამეტებული ძლიერება ღვთისგან იყოს და არა ჩვენგან (2კორ. 4:7).

ღმერთს სურდა, რომ წუთისოფლისთვის ჭეშმარიტება ადამიანთა საშუალებით ეცნობებინა, და ამ საქმის შესასრულებლად მან სულიწმიდის მეშვეობით უნარებიც მიანიჭა მათ, გარკვეული სახით მიმართავდა მათ აზრებს და კარნახობდა, რა ეთქვათ და რა დაეწერათ. თუმცა ეს განძი ინახება მიწიერ ჭურჭლებში... ის ღვთის მოწმობად რჩება, და ღვთის ყოველი მორჩილი შვილი მასში ხედავს ღვთიური ძალის დიდებას, აღსავსეს მადლითა და ჭეშმარიტებით (დიადი ბრძოლა, c. VI, VII).

ბიბლიის ავტორებს უწევდათ, რომ თავიანთი იდეები ადამიანთა ენაზე გამოეხატათ. ბიბლია ჩვეულებრივმა ადამიანებმა დაწერეს. ეს ადამიანები სულიწმიდისგან იყვნენ შთაგონებულნი. იმის შედეგად, რომ ზოგიერთ ადამიანს სრულყოფილად არ ესმის ენა, ან ჭეშმარიტებიდან გადახვევას მიჩვეული ადამიანის გონების გახრწნილების გამო, ბიბლიას ბევრი თავის სასარგებლოდ კითხულობს და იგებს. ბიბლიის გააზრებასთან დაკავშირებული სიძნელეები თავად ბიბლიაში არ მდგომარეობს...

წერილები ადამიანებს მიეცათ არა როგორც უწყვეტი გამონათქვამების თანმიმდევრული ჯაჭვი, არამედ ნაწილ-ნაწილ, თაობიდან თაობაში, იმის მიხედვით, თუ ღმერთი თავის განგებაში როგორ პოულობდა შესაფერის შესაძლებლობებს, რომ ესა თუ ის ჭეშმარიტება ადამიანებისთვის მრავალგზის და მრავალნაირად გადაეცა. ადამიანები, სულიწმიდით აღძრულები, იწერდნენ მათ...

წერილებში ყოველთვის როდი შეინიშნება სრული თანმიმდევრობა ან გარეგნული ერთიანობა... ბიბლიის

ჭეშმარიტებები დაფარულ მარგალიტებს ჰგავს. ისინი დაჟინებული ძალისხმევით უნდა ეძებოთ. ისინი, ვინც წერილების მხოლოდ ზედაპირული აღქმით იფარგლება, ფლობს ზერელე შემეცნებას (რომელსაც მაინც თვლიან, რომ ღრმაა), იწყებენ ლაპარაკს წინააღმდეგობებზე ბიბლიაში და წერილების ავტორიტეტს ეჭვის ქვეშ აყენებენ. ისინი კი, ვისი გულებიც ჭეშმარიტებასა და მოვალეობასთან თანხმობაში იმყოფება, წერილებს ღვთის დარიგებების აღქმისათვის განწყობილნი შეისწავლიან. განათლებული ადამიანი ხედავს სულიერ ერთობას, ერთ ოქროს ძაფს, რომელიც განუყოფელ მთელს გასდევს; მაგრამ იმისათვის, რომ ამ ძვირფას ოქროს ძაფს მივყვეთ, აუცილებელია მოთმინება, აზროვნება და ლოცვა (რჩეული უწყებები, ტ. 1, გვ. 19, 20).

პარასკევი 17:40 სოფ. 3

6 იანვარი

მთელი წერილი ღვთივსულიერია

მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში (2ტიმ. 3:16).

როგორც ცნობილია, ღვთის სიტყვა ორი ნაწილისაგან შედგება: ძველი და ახალი აღთქმისაგან. ცალ-ცალკე არც ერთი მათგანი არ არის სრულყოფილი (ქრისტეს იგავები, გვ. 68 [ორიგ. გვ. 126]).

საჭიროა, ძველ აღთქმასაც არანაკლები ყურადღება მივაქციოთ, ვიდრე ახალს. ძველი აღთქმის შესწავლისას ჩვენ ცოცხალ, მორაკრაკე ნაკადულებს ვიპოვით იქ, სადაც უყურადღებო მკითხველი მხოლოდ უდაბნოს აღმოაჩენს (რჩევები მშობლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, გვ. 462).

ძველსა და ახალ აღთქმას შორის არ არის წინააღმდეგობა. ძველ აღთქმაში ჩვენ ვხედავთ სახარებას იმის შესახებ, რომ მხსნელი მოვა, ხოლო ახალში - სახარებას, რომელიც წინასწარმეტყველებათა შესრულების მეშვეობით არის გამოცხადებული. თუ ძველი აღთქმა გამუდმებით მიუთითებდა მომავალ ჭეშმარიტ მსხვერპლზე, ახალი აღთქმა გვიჩვენებს, რომ მხსნელი, რომელზეც მიუთითებდნენ მსხვერპლის წინასახეები, უკვე მოვიდა. იუდეური ხანის გაცრეცილი დიდების ნაცვლად მოვიდა ქრისტიანული ხანის უფრო მკაფიო და ნათელი დიდება (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1095. ე. უაითის კომენტარი).

ქრისტე, რომელიც ეცხადებოდა პატრიარქებსა და წინასწარმეტყველებს, რომელიც რომელიც სიმბოლურად წარმოდგენილია მსხვერლშეწირვის მსახურებაში და ასახულია რჯულში, ძველი აღთქმის ძვირფასი განძია. ხოლო მთელი თავისი სიცოცხლით, სიკვდილითა და აღდგომით, წარდგენილი სულიწმიდის მიერ, იგი ახალი აღთქმის საუნჯეს წარმოადგენს. ჩვენი მაცხოვარი, მამის დიდების ბრწყინვალება, მარადიული განძია, განძი “ძველი და ახალი”... ახალი აღთქმა ნათელს ჰფენს ძველს, ძველი კი - ახალს. ერთიც და მეორეც ღვთიური დიდების ქრისტეში გამოცხადებაა. ორივე წარმოადგენს ჭეშმარიტებას, რომელიც სიმართლის მძებნელს

სულ ახალ-ახალ სიღრმეებს დაანახვებს (ქრისტეს იგავები, გვ. 68, 70 [ორიგ. გვ. 126-128]).

ძველი აღთქმის შესახებ იესოს ნათქვამი: “ისინი ჩემს შესახებ მოწმობენ” (იოან. 5:39), ეხება ახალ აღთქმასაც... დიახ, მთელი ბიბლია მოწმობს ქრისტეზე. დაწყებული პირველი სიტყვებიდან სამყაროს შექმნის შესახებ: მის გარეშე არაფერი არ შექმნილა, რაც კი შექმნილა”, დამთავრებული მისი უკანასკნელი დაპირებით “აჰა, მოვალ მალე”, ვკითხულობთ მისი საქმეების შესახებ და გვესმის მისი ხმა (იოან. 1:3; გამოცხ. 22:12). თუ გვსურს ჩვენი მხსნელის უკეთ გაცნობა, გამოვიკვლიოთ წმინდა წერილი (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 43).

ანგ. 1 შაბათი

7 იანვარი

შეუცდომელი გამოცხადება

უფლის სიტყვები - წმიდა სიტყვებია, მიწის ქურაში გაწმედილი ვერცხლი, შვიდჯერ გადახალისებული (ფსალმ. 11:7).

ღმერთმა კაცობრიობას თავის სიტყვაში აუწყა ყველაფერი, რისი ცოდნაც აუცილებელია გადარჩენისათვის. წმიდა წერილი მიღებული უნდა იყოს ისე, როგორც ღვთის ნების ავტორიტეტული და უშეცდომო გამოცხადება. მისით უნდა ვზომავდეთ ჩვენს საქციელებს, იგი უნდა იყოს გზის გამკვალავი ჭეშმარიტებისკენ და ჩვენი ცხოვრების ეტალონი (დიადი ბრძოლა, c. VII).

სულიერმა სიბნელემ დაფარა დედამიწა და წყვდიადმა - ხალხები... ბევრს, ძალიან ბევრს შეეპარა ეჭვი, რომ წერილები უტყუარი და და ჭეშმარიტია. ადამიანთა მსჯელობები და მათი გულის ზრახვები სახელს უტეხს ღვთის სიტყვის ღვთივსულიერებას, ხოლო ის, რაც უნდა აღიქმებოდეს, როგორც თავისთავად საგულისხმო, მისტიციზმის ბურუსით არის შემოსილი. არაფერია ნათელი და გარკვეული, რაც მყარ საფუძველზე იდგებოდა. ეს ერთ-ერთი ნიშანია ბოლო დროისა...

ამჟამად გამოჩნდა მეტისმეტად ბევრი ადამიანი, ვინც ორიგინალობისკენ ისწრაფის, ვინც თავის სიბრძნეს ბიბლიურზე მაღლა აყენებს; ამიტომ მათი სიბრძნე იქცევა უგუნურობად... ისინი ცდილობენ, განმარტონ ან გამოიცნონ საიდუმლოებები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში დაფარული იყო მოკვდავი ადამიანებისგან და ეს მკვლევარები ემსგავსებიან ადამიანს, რომელიც ჭაობში ჩაეფლო და იქიდან ვერ ამოდის, მაგრამ ამ დროს ლამობს სხვებს აჩვენოს, თუ როგორ ამოვიდნენ მორევიდან. ასეთი ხვედრი ელის ყველას, ვინც ცდილობს გაასწოროს შეცდომები, რომლებიც მან თითქოს აღმოაჩინა ბიბლიაში. ვერავინ გააუმჯობესებს ბიბლიას, როცა თავის სიბრძნეს წარმოაჩენს იმ საბაბით, თუ რა ჰქონდა უფალს მხედველობაში ან რა უნდა ეთქვა...

მე ბიბლიას ვღებულობ ისეთს, როგორიც არის, სახელდობრ კი ღმერთის ღვთივსულიერ სიტყვას (რჩეული უწყებები, ტ. 1, გვ. 15-17).

უკეთურ ადამიანებთან გაერთიანებული სატანა ამ წმიდა წიგნს ესხმის თავს, რათა ყველაფერი ღვთიური სიბნელის ბურუსით დაფაროს. მაგრამ უფალმა საკუთარი სასწაულებრივი ძალით

დაიცვა წმიდა წიგნი მისი ნამდვილი სახით, როგორც სახელმძღვანელო კაცობრიობისათვის, როგორც ზეცისაკენ მიმავალი გზის მაჩვენებელი...

მადლობა ღმერთს იმის გამო, რომ ბიბლია ადვილად გასაგებია როგორც მცირედ განათლებულ, ისე სწავლული ადამიანებისათვის! იგი განკუთვნილია ყველა ასაკისა და ყველა ფენის ადამიანებისათვის (იქვე, ტ. 1, გვ. 15-18).

კვირა ანგ. 2

8 იანვარი

საიდუმლოებები, რომლებსაც ჩვენ ვერ ჩავწვდებით

ო, ღვთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე! რა ჩაუწვდომელნი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები! (რომ. 11:33).

წმიდა წერილი მისი ღვთიური ავტორის ხასიათის მსგავსად შეიცავს ისეთ საიდუმლოებებს, რომლის სრულად ამოხსნას ადამიანი ვერასოდეს შეძლებს...

უფლის მიერ შექმნილ ყოველ არსებას სრულად რომ შეეცნო ღვთის სიტყვა და მისი საქმეები, მაშინ, ამის ერთხელ მიღწევისას, შემდეგში აღარ იქნებოდა საჭირო მისი შემეცნების გაფართოება და გონებისა და გულის განვითარება. უფალი აღარ იქნებოდა უმაღლესი არსება, ხოლო ადამიანი, როცა მიიღებდა განსაზღვრულ ცოდნას, შეწყვეტდა თავის განვითარებას. მადლი შევწიროთ უფალს, რომ ეს ასე არ არის.

უფალი უსაზღვროდ დიდია, “რომელშიც დაფარულია სიბრძნისა და ცოდნის ყველა განძი” (კოლ. 2:3) და ადამიანები მარადისობაშიც გააგრძელებენ მის შეცნობას, იქ, სადაც არასოდეს ექნება დასასრული მის სიბრძნეს, სიკეთესა და ძალას (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 55).

ბუნების სამყარო სავსეა საიდუმლოებებით, რომელთა ბოლომდე ახსნა არ შეგვიძლია... მაშ, რატომ უნდა იწვევდეს ჩვენში გაკვირვებას ის ფაქტი, რომ სულიერ სამყაროშიც არის საიდუმლოებები, რომელთაც ჩვენი გონება ვერ ჩასწვდება? (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 53, 54).

ბიბლიის საიდუმლოებები... წარმოადგენს მისი არამიწიერი წარმოშობის უძლიერეს მტკიცებულებებს. მასში წარმოდგენილი რომ არ ყოფილიყო ღმერთის დიდებულება და ყოვლისშემძლეობა, არამედ მხოლოდ ის, რისი გაგებაც შეგვიძლია, თუკი ღვთის ძალა და დიდება მისაწვდომი იქნებოდა ადამიანის გონებისთვის, მაშინ ბიბლიას არ ექნებოდა ღვთიურობის უტყუარი ნიშნები... ის, ვინც დაწვრილებით იკვლევს ბიბლიას, ყოველ ჯერზე უფრო მეტად რწმუნდება იმაში, რომ ეს არის ცოცხალი ღმერთის სიტყვა, და მისი ადამიანური გონება ქედს იხრის ღვთიური გამოცხადებების სიდიადის წინაშე (აღზრდა, გვ. 170).

ქრისტე გამოსყიდულებს მიიყვანს სიცოცხლის მდინარესთან და გამოუცხადებს იმას, რასაც ისინი დედამიწაზე ცხოვრების დროს ვერ ხვდებოდნენ (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1124. ე. უაითის კომენტარი).

ტახტიდან გამოსული სინათლის შუქში ყველა საიდუმლოება გაქრება, და ადამიანი ვერ დამალავს გაოცებას იმის გამო, თუ რა

მარტივი ყოფილა ის საკითხები, რომლებსაც ადრე ვერ აცნობიერებდა (მოწმობანი ეკლესიისათვის, ტ. 8, გვ. 328).

ზაქ. 1 ორშაბათი

9 იანვარი

წიგნი, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო

ცა და მიწა გადაივლიან, ჩემი სიტყვები კი არ გადაივლიან (მათ. 24:35).

იგი [ქრისტე] წმიდა წერილს უტყუარ ავტორიტეტად მიიჩნევდა და ჩვენც მის მაგალითს უნდა მივბაძოთ. ბიბლია აღიარებულ უნდა იქნას მარად ცოცხალი ღმერთის სიტყვად, ყოველგვარ უთანხმოებათა დასასრულად და რწმენის მტკიცე საფუძვლად (ქრისტეს იგავები, გვ. 15 [ორიგ. გვ. 39,40]).

ურწმუნო ვოლტერმა ერთხელ ტრაბახით განაცხადა: “მე დავიღალე ხალხის მოსმენით, რომელიც ამტკიცებს, რომ 12 ადამიანმა დააარსა ქრისტიანული რელიგია. მე დავამტკიცებ, რომ ერთი ადამიანიც საკმარისია მის მოსასპობად”... მილიონობით ადამიანი შეუერთდა ბიბლიის წინააღმდეგ მებრძოლთ, მაგრამ როგორ უძლეველია ეს წიგნი, მისი მოსპობა შეუძლებელია!

თუკი ვოლტერის პერიოდში ბიბლიის ასამდე ეგზემპლარი არსებობდა, ახლა მისი რიცხვი ასობით ათასს აღემატება. პირველ რეფორმატორთაგან ერთ-ერთმა ქრისტიანული ეკლესიის შესახებ თქვა: “ბიბლია - ეს არის გრდემლი,

რომელზედაც ბევრი ჩაქუჩი გაიცვითა”. უფალი ამბობს: “ყოველი იარაღი, შენს წინააღმდეგ გმოჭედილი, გაცუდდება და ყოველ ენას, შენს წინააღმდეგ აღმდგარს, სამსჯავროზე გაამტყუნებ” (ესაია, 54:17) (დიადი ბრძოლა, გვ. 222, 223 [ორიგ. გვ. 288]).

ჩვენს დროში, დიდი დასკვნითი კრიზისის წინ, ისევე, როგორც წარღვნის წინ, ადამიანები გატაცებულნი არიან გართობებით და მიილტვიან გრძნობების დაკმაყოფილებისკენ. ხილულსა და წარმავალში ჩაფლულებმა მხედველობიდან გაუშვეს უხილავი და მარადიული. დროებითისა და არამდგრადის გულისთვის მათ გაწირეს უხრწნადი საუნჯეები... ერების აღმავლობისა და დაცემის ისტორიიდან, რომელიც წმიდა წერილის ფურცლებზეა აღწერილი, მათ უნდა გაიგონ, თუ რამდენად წარმავალია ფუფუნება და ამქვეყნიური დიდება (აზრდა, გვ. 183).

ღვთის სიტყვა არის ერთადერთი საძირკველი, რომელიც მარადიულად არსებობს, ერთადერთი სწორი და საიმედო საფუძველი წუთისოფელში. ქრისტემ თქვა: “ცა და მიწა გადაივლიან, ჩემი სიტყვები კი არ გადაივლიან” (მათ. 24:35) (ქრისტეს ქადაგება მთაზე, გვ. 148).

“ჩვენი ღვთის სიტყვა დგას საუკუნოდ”. “მის ხელთა საქმენი - ჭეშმარიტება და სამართალია, სარწმუნოა ყველა მცნება მისი” (ესაია, 40:8; ფსალმ. 110:7, 8). ყველაფერი, რაც ადამიანურ ავტორიტეტზეა დაფუძნებული, დაინგრევა. მაგრამ, ღვთის უცვლელი სიტყვის კლდეზე აშენებული მარად იცოცხლებს (დიადი ბრძოლა, გვ. 223 [ორიგ. გვ. 288]).

სამშაბათი
ზაქ. 2

10 იანვარი

გამოცდილების მოწმობა

განიცადეთ და ნახეთ, რომ კარგია უფალი; ნეტარება მას, ვინც მასზეა მინდობილი (ფსალმ. 33:9).

არსებობს ერთი მტკიცება, რომელიც შეუძლია ჰქონდეს როგორც განათლებულ, ასევე სრულიად უბრალო ადამიანს - ეს არის პირადი გამოცდილების მოწმობა. უფალი გვთავაზობს, ჩვენ თვითონ შევამოწმოთ მისი სიტყვის ჭეშმარიტება და მისი აღთქმის სისწორე. "განიცადეთ და ნახეთ, რომ კარგია უფალი" (ფსალმ. 33:9). ნუ დავეყრდნობით სხვის სიტყვებს, თვითონვე გამოვცადოთ და დავრწმუნდეთ. მასზე მინდობილ არცერთ ადამიანს არ გაცრუებია იმედი. როდესაც შევიცნობთ იესოს და სრულად შევიგრძნობთ მისი სიყვარულის სრულყოფილებას, ჩვენი ეჭვები და სულიერი სიბნელე განქარდება მისი ჭეშმარიტების ნათელში (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 56).

ქრისტიანმა იცის, თუ ვინ ირწმუნა. ის ბიბლიას მხოლოდ კი არ კითხულობს; ის თავის თავზე გრძნობს მისი სწავლების ძალას. მას მხოლოდ კი არ ესმის ქრისტეს სიმართლის შესახებ; მან სულის სარკმელი გაუღო სამართლიანობის მზის სინათლეს (ახალგაზრდობის ხელმძღვანელი, 1902 წ. 4 დეკემბერი).

და ყოველი, ვინც სიკვდილიგან სიცოცხლეში გადავიდა, "დაბეჭდა, რომ ღმერთი ჭეშმარიტია" (იოან. 3:33). ასეთ ადამიანს შეუძლია თქვას: მე მჭირდებოდა დახმარება და ვპოვე იგი

იესოში. უფალმა მიპასუხა ჩემს ყველა გაჭირვებაზე და მომიკლა სულიერი შიმშილი და ახლა ჩემთვის ბიბლია არის იესო ქრისტეს გამოცხადება. თქვენ მეკითხებით, რატომ მაქვს იესოს რწმენა? იმიტომ, რომ ის ჩემი მხსნელია. რატომ მჯერა ბიბლიისა? მე მივხვდი, რომ იგი ღვთის სიტყვაა, ჩემი სულისაკენ მომართული. ჩვენს საკუთარ თავში შეგვიძლია მოვნახოთ იმის მტკიცება, რომ ბიბლია - ღვთიური ჭეშმარიტებაა, ქრისტე კი - ღმერთის ძე" (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 57).

დაე, ახალგაზრდობამ ღვთის სიტყვით კვებოს თავისი გონება და სული... ამგვარად, ახალგაზრდა ადამიანები რწმენის მეშვეობით შეიცნობენ ღმერთს იმ ცოდნის საშუალებით, რომელიც გამოცდილებაზეა დამყარებული. ისინი იპოვიან იმის დადასტურებას, რომ ღვთის სიტყვა სწორია და მისი აღთქმები ჭეშმარიტია. ისინი იგემებენ და შეიცნობენ, თუ რა კეთილია უფალი... მის ნათელში იქამდე ვუყურებთ შუქს, სანამ ბოლოს ჩვენი გონება, გული და სული არ გახდება მისი სიწმიდის მსგავსი (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 8, გვ. 320-322).

ზაქ. 3 ოთხშაბათი

11 იანვარი

ქრისტე ცოცხალი სიტყვაა

სიტყვა ხორცი იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე. და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც დიდება მამისაგან მხოლოდშობილისა

(იოან. 1:14).

იესოს ეწოდება ღვთის სიტყვა. მან მიიღო თავისი მამის რჯული, თავის ცხოვრებაში განახორციელა მისი პრინციპები, წარმოაჩინა მისი სული და ყველას დაანახა მისი სასიკეთო ძალის მოქმედება გულზე. იოანე ამბობს: “სიტყვა ხორცი იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე. და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც დიდება მამისაგან მხოლოდშობილისა” (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 5, გვ. 576).

ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს ან შეიძლება იცოდეს ადამიანმა ღმერთის შესახებ, გაცხადებული იქნა მისი ძის ცხოვრებასა და ხასიათში...

ქრისტემ მიიღო ადამიანური ბუნება და მოვიდა, რათა შეერთებოდა კაცობრიობას და იმავდროულად ზეციერი მამა გაეცხადებინა ცოდვილი ადამიანებისთვის. იგი თავის ძმებს დაემსგავსა. იგი განკაცდა, გახდა ჩვენნაირი. ის ჩვენსავით გრძნობდა წყურვილს, შიმშილსა და დაღლილობას. იგი საკვებით იკრებდა ძალებს და ძილის დროს ისვენებდა. მან გაიზიარა ადამიანთა ხვედრი და მაინც ღვთის უცოდველ ძედ დარჩა...

სათუთი, შემბრალებელი, თანაგრძნობით აღსავსე, ადამიანებისადმი მუდამ ყურადღებიანი, იგი ასახავდა ღვთის ხასიათს და გამუდმებით ემსახურებოდა ღმერთსა და ადამიანს (მოწმობანი ეკლესიისათვის, ტ. 8, გვ. 286).

ქრისტეს მიმდევრები მოვალენი არიან, რომ იყვნენ მისი გამოცდილების მოზიარენი. მათ უნდა შეითვისონ ღვთის სიტყვა, ქრისტეს ძალის წყალობით შეიცვალონ, მას

დაემსგავსონ და თავის თავში აირეკლონ ღვთიური თვისებები... ქრისტეს სული და საქმე უნდა გახდეს მისი მოწაფეების სული და საქმე (მოწმობანი ეკლესიისათვის, ტ. 5, გვ. 576).

მოქცეული ადამიანი ბიბლიის შესწავლისას ღებულობს ღვთის ძის ხორცს და სვამს მის სისხლს, რასაც თავად უფალი განმარტავს, როგორც მიღებასა და შესრულებას მისი სიტყვებისა, რომლებიც არის სული და სიცოცხლე. სიტყვა ხორცად იქცა და დამკვიდრდა ჩვენს შორის, მათში, ვინც ღებულობს ღვთის სიტყვის წმიდა დარიგებებს. წუთისოფლის მხსნელმა ყველა ადამიანს წმიდა, უმწიკვლო მაგალითი დაუტოვა. იგი ანათებს, ამაღლებს და უკვდავებას აძლევს ყველას, ვინც ღვთის მოთხოვნებს ემორჩილება (ქრისტიანული აღზრდის პრინციპები, გვ. 378).

ხუთშაბათი ზაქ. 4

12 იანვარი

ძალის საიდუმლო

რით შეინახოს ყმაწვილმა სიწმინდე თავისი გზისა? დაიცვას შენი სიტყვისამებრ! (ფსალმ. 118:9).

შეიძლება, ბიბლიას ისე მოვექცეთ, როგორც წიგნს კეთილი მორალური დარიგებებისა, რომლებსაც ყურადღებას ვაქცევთ იმდენად, რამდენადაც ის ეთანხმება დროის სულისკვეთებასა და ჩვენს მდგომარეობას წუთისოფელში. სულ სხვა საქმეა - ბიბლია მივიღოთ ისეთად, როგორიც სინამდვილეშია, -

ცოცხალი ღმერთის სიტყვად, სიტყვად, რომელიც არის ჩვენი სიცოცხლე, სიტყვად, რომელიც აყალიბებს ჩვენს საქციელებს, ჩვენს სიტყვებსა და აზრებს. თუ ბიბლიას იმაზე ნაკლებად ჩავთვლით, ვიდრე არის, ესე იგი უარვყოფთ მას (აღზრდა, გვ. 260).

ღვთის სიტყვა არის ხასიათისა და მისწრაფებების განმსაზღვრელი. ჩვენ ღვთის სიტყვა გახსნილი გულითა და გონებით უნდა ვიკითხოთ, რათა მივიღოთ იდეები, რომლებსაც ღმერთი გვჩუქნის. არ უნდა ვიფიქროთ, რომ წმიდა წერილის კითხვას შეუძლია იმის მოხდენა, რისი მოხდენაც შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც გვიცხადებს ამ სიტყვას და ვინც თავად არის ამ სიტყვის ავტორი. ზოგიერთს ემუქრება საფრთხე, გააკეთოს ნაჩქარევი დასკვნა, რომ რადგანაც მტკიცედ იცავს ჭეშმარიტ დოქტრინებს, ფაქტობრივად ფლობს კიდეც კურთხევებს, რომლებიც, როგორც ეს დოქტრინები ასწავლის, უნდა გახდეს იმათი მონაპოვარი, ვინც ჭეშმარიტებას აღირებს. ბევრს გულთან ახლოს არ მიაქვს ჭეშმარიტება. მისი წმინდა პრინციპები ვერ ახდენენ მაკონტროლებელ ზეგავლენას სიტყვებზე, აზრებსა და საქციელებზე (რევიუ ენდ გერალდი, 1901 წ. 1 ოქტომბერი).

ჩვენს ბოროტსა და საშიშ დროში, როდესაც ადამიანებს ყველგან გარს ახვევია ცდუნებები და გახრწნილება, დაე, ახალგაზრდებმა თავდაუზოგავად და გულწრფელად შეჰღაღადონ ღმერთს: “რით შეინახოს ყმაწვილმა სიწმინდე თავისი გზისა?”. დაე, გაეხსნათ მათ ყურები და მოიდრიკოს მათი გულები იმისათვის, რათა დაემორჩილონ დარიგებას, რომელიც ქვემოთ მოყვანილ პასუხშია: “დაიცვას შენი სიტყვისამებრ!”. ერთადერთი უსაფრთხო გზა

ახალგაზრდობისათვის ჩვენს გარყვნილ საუკუნეში - ესაა, იყვნენ ღმერთის იმედით. ზეციდან მხარდაჭერის გარეშე ვერ დაიოკებენ ადამიანურ ვნებებსა და გემოვნებებს. ისინი ქრისტეში შეძლებენ იპოვონ ის დახმარება, რომელიც სჭირდებათ (მოწმობანი ეკლესიისათვის, ტ. 2, გვ. 409).

ჭეშმარიტებამ უნდა შეაღწიოს სულის ყველზე ღრმა კუნჭულებში გაასუფთაოს ის იმ ყველაფრისაგან, რაც უცხოა ქრისტეს სულისათვის, აავსოს მისი ხასიათის სუფთა, წმინდა და შეუბღალავი თვისებებით, რათა გულის ყველა წყარო ჰგავდეს ყვავილებს, ყვავილებს, რომლებსაც აქვს მშვენიერი სურნელი - სიცოცხლის სურნელი სასიცოცხლოდ (ხელნაწერი 109, 1897 წ.).

ზაქ. 5 პარასკევი 17:48

13 იანვარი

სიტყვისგან შობილნი

როგორც ხელახლად შობილნი არა ხრწნადი თესლისაგან, არამედ უხრწნელისაგან, ღვთის ცოცხალი და მარადარსებული სიტყვის მიერ (1პეტრ. 1:23).

იმ შინაგან გარდაქმნას, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ღვთის შვილები ვხდებით, ბიბლიურად ჰქვია “დაბადება ზემოდან”, ანუ “ხელახლა შობა”. იგი შეიძლება შევადაროთ კეთილი თესლის აღმოცენებას, რომელიც მთესველმა დათესა... ეს ბუნებიდან აღებული მაგალითები გვეხმარება, უკეთ გავიგოთ

ჩვენი სულიერი ცხოვრების იდუმალება. ადამიანურო ცოდნა და სიბრძნე არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სიცოცხლე მივცეთ ყველაზე პატარა არსებასაც კი. მცენარეები და ცხოველები არსებობენ მხოლოდ ღვთის მიერ მათში ჩადებული ძალით. ადამიანებშიც სულიერი სიცოცხლე მხოლოდ უფლისგანაა (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 33).

როდესაც ჭეშმარიტება ცხოვრების უცვლელი პრინციპი ხდება, ადამიანი ხელახლა იბადება "არა ხრწნადი თესლისაგან, არამედ უხრწნელისაგან, ღვთის ცოცხალი და მარადარსებული სიტყვის მიერ". ეს ზემოდან შობა არის ქრისტეს, როგორც ღვთის სიტყვის მიღება. როდესაც ღვთიურ ჭეშმარიტებებს სულიწმიდა გულში აღბეჭდავს, ადამიანს ახალ-ახალი შემეცნება უჩნდება და სულის მთვლემარე ძალები იღვიძებენ ღმერთთან აქტიური თანამშრომლობისათვის... ქრისტემ ჭეშმარიტება გამოუცხადა წუთისოფელს. მან ადამიანთა გულებში დათესა უხრწნელი თესლი - ღვთის სიტყვა. მაგრამ დიადი მოძღვრის ბევრი ძვირფასი გაკვეთილი ვერ გაიგეს მათ, ვინც მას უსმენდნენ (მოციქულთა საქმეები, გვ. 520).

ღვთის სიტყვა აკვდინებს ხორციელ, მიწიერ ბუნებას და იძლევა ახალ ცხოვრებას იესო ქრისტეში. ასეთ ადამიანთან სულიწმიდა მოდის, როგორც ნუგეშისმცემელი. მისი მადლის გარდამქმნელი ძალა ღვთის ხატებას ქმნის ქრისტეს მოწაფეებში და ისინი ახალ ქმნილებებად იქცევიან. სიყვარული გამოდევნის სიძულვილს და ადამიანი ღმერთს ემსგავსება (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 297 [ორიგ. გვ. 391]).

ამიტომ თქვენ თქვენ თავს აღარ ეკუთვნით, რადგან ძალზე დიდი ფასით ხართ გამოსყიდულნი. "არა ხრწნადი ვერცხლით

ან ოქროთი იქენით გამოსყიდულნი... ამაო გზიდან, არამედ ქრისტეს ძვირფასი სისხლით, როგორც უბიწო და უმანკო ტარიგისა” (1 პეტრ. 1:18, 19). ჩვენ, უბრალოდ, უნდა დავუჯეროთ უფალს და სულიწმიდა ახალ ცხოვრებას დაგვაწყებინებს. ახლა თქვენ უკვე მისი ოჯახის წევრი ხართ და უფალს ისე უყვარხართ, როგორც თავისი ძე (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 25).

შაბათი
ზაქ. 6

14 იანვარი

საზრდო ჩემი სულისათვის

მიუგო მას იესომ: “დაწერილია, რომ არა მხოლოდ პურით უნდა ცოცხლობდეს კაცი” (ლუკ. 4:4).

ღვთის სიტყვა ჩვენი სულიერი საზრდოა (რევიუ ენდ გერალდი, 1906 წ. 29 მარტი).

ქრისტეს სიცოცხლე, რომელიც წუთისოფელს მიუძღვნა, მის სიტყვებშია ჩაქსოვილი. თავისი სიტყვით ქრისტე კურნავდა სნეულთ და დევნიდა ეშმაკებს. თავისი სიტყვით დააცხრო ზღვა და აღადგინა მკვდრეთით მიცვალებულნი...

როგორც ჩვენი ფიზიკური არსებობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგნს საკვები, ასევე ღვთის სიტყვა კვებავს ჩვენს სულიერ ცხოვრებას. ყველამ უნდა მიიღოს ღვთის სიტყვა და ამით სულიერება შემატოს თავის ცხოვრებას. როგორც

ფიზიკური სიცოცხლის შესანარჩუნებლად ვღებულობთ ფიზიკურ საკვებს, ასევე ვღებულობთ სიტყვას სულიერი ცხოვრებისათვის...

იესოს მცნებები და გაფრთხილებები მეც მეხება... ღვთის სიტყვით გადმოცემული გამოცდილება ჩემს გამოცდილებად უნდა იქცეს. ლოცვები და აღთქმები, მცნებები და გაფრთხილებები - ყველაფერი ეს მე მეხება (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 296, 297 [ორიგ. გვ. 390]).

ღვთის სიტყვა შეიცავს შემომქმედ ენერგიას, რომლითაც არსებობენ სამყაროები. ეს სიტყვა იძლევა ძალას, იგი შობს სიცოცხლეს. ყოველი ბრძანება ურთიერთკავშირშია აღთქმებთან და როცა ნებაყოფლობით არის მიღებული, სულში აღწევს და თან მოაქვს მარადმყოფელის სიცოცხლე...

ამ სიტყვით ბოძებული სიცოცხლე მისივე მეოხებით არის შენარჩუნებული. ადამიანი იცოცხლებს “ღვთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით” (მათ. 4:4). ჩვენი გონება და სულიერი თვისებები ყალიბდება იმის მიხედვით, თუ რა ასაზრდოებს მათ, და ჩვენი უფლებაა განვსაზღვროთ, რით გამოვკვებავთ საკუთარ სულს. თითოეული ირჩევს იმ თემებს, რაც აინტერესებს და დაიპყრობს მის აზრებს, რომლებიც ბოლოს ჩამოუყალიბებენ ხასიათს (აღზრდა, გვ. 126, 127).

ახალგაზრდებო, იესოს სახელით მოგმართავთ და იმედი მაქვს, მალე შევხვდებით ღვთის ტახტთან: გამოიკვლიეთ ბიბლია! იგი თქვენთვის ღრუბლის სვეტი იქნება დღისით და ცეცხლის სვეტი - ღამით. იგი თქვენ წინ გახსნის გზას, რომელიც სულ წინ, თან მაღლა და მაღლა წაგიყვანთ. თქვენ არ იცით ბიბლიის მთელი ღირებულება! ეს წიგნი არის გონების, გულის, სინდისის, ნებისა

და სიცოცხლისათვის. ეს არის ღვთის უწყება თქვენთვის, მოთხრობილი ისე მარტივად, რომ მას პატარა ბავშვიც კი გაიგებს. ბიბლია ძვირფასი წიგნია! (ხელნაწერი 4, 1880 წ.).

ზაქ. 7 კვირა

15 იანვარი

სიცოცხლე ღვთის სიტყვაში

სული ცხოველმყოფელია, ხოლო ხორცი უსარგებლო. სიტყვები, რომლებიც გითხარით, სული და სიცოცხლეა (იოან. 6:63).

ყოველ თესლში მისი აღმოცენების პრინციპი და მომავალი მცენარის სიცოცხლეა ჩადებული. ასე რომ, ღვთის სიტყვა სიცოცხლეა. მაცხოვარი ამბობს: “სიტყვები, რომლებიც გითხარით, სული და სიცოცხლეა”... ღვთის სიტყვის ყოველ აღთქმაში, მის ყოველ ბრძანებაში არის ძალა, ღვთიური სიცოცხლე, რომლის წყალობითაც ყოველი მცნების შესრულებაა შესაძლებელი და ყოველი აღთქმა აღსრულდება. ის, ვინც ღვთის სიტყვას რწმენით მიიღებს, ღვთიურ სიცოცხლესა და ძალას შეიძენს (ქრისტეს იგავები, გვ. 14 [ორიგ. გვ. 38]).

მასთან ყოფნისას ჩვენ სულიერად ვძლიერდებით; ვიზრდებით მადლსა და ჭეშმარიტების შეცნობაში. ყალიბდება და მტკიცდება თავშეკავების უნარი. ბავშვობაში შეძენილი ცუდი ხასიათის ნიშნები - გულფიცხობა, სიჯიუტე, თავმოყვარეობა, სიტყვებში დაუფიქრებლობა, გაცხარება - ქრება, მათ ადგილზე კი ყალიბდება ქრისტიანებისთვის დამახასიათებელი

თვისებები (რჩევები მშობლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, გვ. 207).

ბიბლიის ძალით ბევრმა დაამსხვრია ცოდვიანი ჩვევების ჯაჭვები, უარყვეს საკუთარი “მე”. უხამსი გახდა ღვთისმოსავი, ლოთმა დაიწყო ფხიზელი, გარყვნილმა კი - პატიოსანი ცხოვრება. ადამიანები, რომლებიც სატანის ანაბეჭდს ატარებდნენ, გარდაიქმნენ და ღმერთის ხატებას დაემსგავსნენ (აღზრდა, გვ. 172).

დაემსგავსებით თუ არა თქვენ ღვთის ხატებას? შესვამთ თუ არა ქრისტეს ნაბოძებ წყალს, რომელიც თქვენში გადაიქცევა წყლის წყაროდ, რომელიც საუკუნო სიცოცხლედ იდინებს? მოიტანთ თუ არა ნაყოფს ღვთის სადიდებლად? განამტკიცებთ თუ არა სხვებს? გამოიკვლიეთ წერილი სიცოცხლის პურით, ღვთის სიტყვით დანაყრების სურვილით, და იცხოვრეთ ღვთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით. როდესაც ღვთის სიტყვას ირწმუნებთ, იმ სიტყვას, რომელსაც ღმერთის მცნებების მორჩილებასთან მიყავხართ, ამას შედეგად მოჰყვება სულის განწმედა და სიმართლე. დაე, ღვთის სიტყვა თქვენთვის იყოს ღვთიური ხმა, რომელიც გმოძღვრავთ და გეუბნებათ: “აი გზა, მას გაჰყევით” (ეს. 30:21). ქრისტე ლოცულობდა: “განწმიდე ისინი ჭეშმარიტებით. შენი სიტყვა ჭეშმარიტებაა” (იოან. 17:17). (დროის ნიშნები, 1895 წ. 5 სექტემბერი).

ორშაბათი ზაქ. 8

16 იანვარი

ჩემთვის გაშლილი სუფრა

ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის შემსმელს საუკუნო სიცოცხლე აქვს. და მე მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს. რადგან ჩემი ხორცი ჭეშმარიტი საჭმელია და ჩემი სისხლი ჭეშმარიტი სასმელი (იოან. 6:54, 55).

საუკუნო სიცოცხლე - ესაა წმიდა წერილის ცოცხალი საფუძვლების ათვისება, ღმერთის ნების შესრულება. სწორედ ეს იგულისხმება სიტყვებში: ღვთის ძის ხორცის ჭამა და სისხლის სმა. ყველას აქვს უპირატესობა, ღვთის სიტყვის შესწავლის მეშვეობით ეზიაროს ზეციურ პურს და ამ სახით გაიკაჟოს თავისი სულიერი კუნთები (რევიუ ენდ გერალდი, 1906 წ. 29 მარტი).

კურთხევები ყველამ უნდა გამოიყენოს თავისი სულისათვის, თორემ სხვანაირად ვერ გაძღება... თქვენ გესმით, რომ ვერ გაძღებით, თუ მხოლოდ თვალს ადევნებთ სხვა ადამიანებს, რომლებიც უზარმაზარ მაგიდას უსხედან და ნადიმობენ. თუ ჩვენ ფიზიკურ საკვებს არ მივიღებთ, მაშინ ვიშიმშილებთ; ასევე წაგვერთმევა სულიერი ძალა და ენერგია, თუკი არ ვიგემებთ სულიერ პურს...

სუფრა გაშლილია და ქრისტე ნადიმზე გიწვევთ. უნდა გავდგეთ განზე, უარვყოთ უფლის გულუხვობა და ვთქვათ: “ეს მას ჩემთვის არ მოუმზადებია”? ჩვენ ხშირად ვასრულებთ საგალობელს, რომელშიც ლაპარაკია ნადიმზე, როდესაც ბედნიერი ოჯახი გამოეხმაურება მამის კეთილ მოპატიჟებას, ერთად იკრიბება მაგიდასთან, რათა გულუხვი სუფრის საკვები იგემოს. იმ დროს, როცა ბედნიერი ბავშვები მაგიდას უსხედან, კართან დგას მშიერი, ღატაკი გოგონა. მას იწვევენ, რომ

შევიდეს, მაგრამ ის მწუხარე სახით ტრიალდება სხვა მხარეს და იძახის: “აქ არ არის მამაჩემი”. მოიქცევით თუ არა თქვენც ასევე, როცა იესოს მოწვევას მოისმენთ? ო! გევედრებით, დაინახოთ ის ფაქტი, რომ ზეციურ სასახლეებში გყავთ მამა. მას სურს, თქვენ თავისი უხვი კურთხევების მოზიარედ გაქციოთ. და ვინც პატარა ბავშვის მიმნდობი სიყვარულით მიდის, მამას იპოვის იქ (დროის ნიშნები, 1895 წ. 5 სექტემბერი).

მიდით სიცოცხლის წყალთან და შესვით. ნუ დადგებით განზე და ნუ დაიჩივლებთ, რომ გწყურიათ. სიცოცხლის წყალი ყველას უსასყიდლოდ ეძლევა (ავსტრალიის უნიონის კონფერენციის მაცნე, 1903 . 1 ოქტომბერი).

ღვთის სიტყვა არის სიცოცხლის პური. ადამიანები, რომლებიც ამ სიტყვას გემოს უგებენ და ითვისებენ, თანაც მას უთანხმებენ თავის თითოეულ მოქმედებასა და საკუთარი ხასიათის ყოველ თვისებას, ღვთის ძალით გაძლიერდებიან. უფალი უხრწნელი ძალით მოსავს სულს, სრულყოფს გამოცდილებას და მოაქვს სიხარული, რომელიც საუკუნოდ იარსებებს (რევიუ ენდ გერალდი, 1906 წ. 29 მარტი).

ზაქ. 9. სამშაბათი

17 იანვარი

ღვთიურთან ერთობაში

რომელთა მიერაც მოგვენიჭა უაღრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათ მიერ გახდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი

და ამ სოფელში განერიდოთ გულისთქმით გამოწვეულ გახრწნილებას (2 პეტრ. 1:4).

მაცხოვარმა თავის თავზე აიღო ადამიანთა უძლურებები და უცოდველი ცხოვრებით ცხოვრობდა, რათა მათ არ შინებოდათ, რომ ადამიანური ბუნების სისუსტის გამო ვერ სძლევდნენ ცოდვას (განკურნების მსახურება, გვ. 180).

“რადგან სოფლის მთავარი მოდის, - ამბობს იესო, - და მას ჩემში არაფერი ეკუთვნის” (იოან. 14:30). სატანის მზაკვრობამ ვერაფერი უყო მას. ქრისტე არ ცდუნდა. ფიქრადაც კი არ გაუვლია, სატანის ცდუნებისათვის დაეთმო. ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. ქრისტეს ადამიანური ბუნება შერწყმული იყო ღვთიურთან. მასში მყოფმა სულიწმიდამ მოამზადა იგი ბრძოლისათვის. იესო მოვიდა, რათა ჩვენ ვეზიაროთ ღვთიურ ბუნებას. სანამ მასში ვართ რწმენით, ცოდვას არა აქვს ჩვენზე ძალა (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 82 [ორიგ. გვ. 123]).

ჩვენ უნდა მოვიშოროთ ყოველგვარი მიდრეკილება ცოდვისადმი... რადგანაც ჩვენ ვართ ღვთიური ბუნების მოზიარენი, ამიტომ ხასიათიდან უნდა მოვიშოროთ მემკვიდრეობითი და შეძენილი მიდრეკილებები ბოროტებისკენ. მაშინ ჩვენ გავხდებით ცოცხალი ძალა კეთილი საქმეების აღსრულებისთვის. ჩვენ, ღვთიური მოძღვრის მოსწავლეები და მისი ბუნების მოზიარენი, ღმერთთან ვთანამშრომლობთ სატანის ცდუნებების გადასალახავად (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 7, გვ. 943. ე. უაითის კომენტარი).

ქრისტემ გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა. როგორ დაამარცხა მან სატანა? ღვთის სიტყვით. მხოლოდ წმიდა წერილით შეეძლო მას სატანასთან შეჭიდება. “დაწერილია”, -

ამბობდა ის. ჩვენ “მოგვენიჭა უაღრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათ მიერ გავხდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი და ამ წუთისოფელში განვერიდოთ გულისთქმით გამოწვეულ გახრწნილებას” (2პეტრ. 1:4). უფლის აღთქმის ყოველი სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის... ნუ აჰყვებით გულისთქმას და ცდუნებას, ნუ დაუთმობთ თქვენს სუსტ მხარეებს, არამედ თქვენი გულისყური მიმართეთ ღვთის სიტყვისაკენ. უფლის სიტყვის მთელი ძალა ჩვენ გვეკუთვნის (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 82 [ორიგ. გვ. 123]).

აგროვეთ მისი აღთქმები, როგორც ფოთლები, რომლებიც სიცოცხლის ხიდან ცვივა: “ჩემთან მოსულს გარეთ არ გავაძევებ” (იოან. 6:37). როდესაც თქვენ მოდიხართ უფალთან, გწამდეთ, რომ იგი გღებულობთ, რადგან ამას დაგპირდათ. სანამ ამ გზაზე დგახართ, არასოდეს დაიღუპებით. არასოდეს (განკურნების მსახურება, გვ. 66).

ოთხშაბათი ზაქ. 10

18 იანვარი

სამყაროს შექმნა

რწმენით შევიტყობთ, რომ საუკუნეები მოწყობილია ღვთის სიტყვით, რადგან წარმოიშვა უხილავისაგან (ებრ. 11:3).

ჩვენი სამყაროს შექმნის სარწმუნო აღწერას მხოლოდ ღვთის სიტყვაში ვპოულობთ (რჩევები მშობლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, გვ. 13).

თეორია იმის შესახებ, რომ თითქოს ღმერთმა არ შექმნა მატერია, როდესაც წუთისოფელი არსებობისთვის აღძრა, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. ჩვენი სამყაროს შექმნაში ღმერთს არ გამოუყენებია მანამდე არსებული რაიმე მატერია. პირიქით, ყველაფერი მატერიალური ან სულიერი უფლის წინაშე წარსდგა მისი ნათქვამის მიხედვით და შექმნილი იყო მისივე მიზნებისათვის. ზეცა და მთელი მისი მხედრობა, დედამიწა და ყველაფერი, რაც მასზეა, - მარტო უფლის ხელის ნამოქმედარი კი არ არის; აბსოლუტურად ყველაფერმა არსებობა დაიწყო მისი ბაგეების სულით (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 8, გვ. 258, 259).

ბუნებაში შეინიშნება როგორც ინდივიდუალურობა და მრავალსახეობა, ისე ერთობა მრავალფეროვნებაში, ვინაიდან თავის სარგებლიანობასა და მშვენიერებას ყველაფერი ერთი და იმავე წყაროდან იღებს. უფალმა, დიდებულმა მხატვარმა, თავისი სახელი დაწერა თავის ყველა ქმნილებაზე - ლიბანის ნაძვიდან დაწყებული უსუპამდე, კედელზე რომ იზრდება; მის ხელთა ნამოქმედარზე ლაპარაკობს ყველაფერი - უმაღლესი მთებიდან და უზარმაზარი ოკეანეებიდან დაწყებული, ზღვის ნაპირას გამორიყულ უმცირეს ნიჟარამდე (გუშაგი, 1907 წ. 17 დეკემბერი).

მან შექმნა ღამე მოციმციმე ვარსკვლავებით ცის თაღზე. იგი მათ ყველას სახელებით უხმობს. ცანი ღაღადებენ ღმერთის დიდებას, და მისთა ხელთა ნამოქმედარს გვამცნობს სამყარო და ადამიანებს აჩვენებს, რომ ეს პატარა სამყარო მხოლოდ მტვრის ნამცეცია ღვთის შემოქმედებაში (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 3, გვ. 1154. ე. უაითის კომენტარი).

დიდი მეცნიერები იძულებული იყვნენ ეღიარებინათ უსაზღვრო ძალის მოქმედება სამყაროში. მაგრამ ადამიანის უძლური გონებისთვის ბუნების სახელმძღვანელო ზოგჯერ წინააღმდეგობრივი და უიმედო ჩანს. და მხოლოდ ბიბლიის შუქზე შეიძლება ბუნების მოვლენების სწორად გაგება. “რწმენით შევიტყობთ” (ებრ. 11:3).

“დასაწყისში... ღმერთმა” (დაბ. 1:1). ცნობისმოყვარე და მაძიებელ გონებას მხოლოდ ღმერთში შეუძლია იპოვოს საყრდენი და გადარჩეს, როგორც მტრედი კიდობანში. უსაზღვრო სიყვარული, რომელსაც შეუძლია აღასრულოს “ყოველგვარი სასიკეთო სათნოება” (2თეს. 1:11), ყველაფერს გარემოიცავს (აღზრდა, გვ. 134).

ზაქ. 11 ხუთშაბათი

19 იანვარი

ბუნება ლაპარაკობს ღმერთზე

შეხედეთ შროშნებს, როგორ იზრდებიან: არც შრომობენ, არც ართავენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ, რომ სოლომონიც კი, მთელი თავისი დიდებით, არ შემოსილა ისე, როგორც ერთი ამათგანი (ლუკ. 12:27).

ყოველივე შექმნილის თავდაპირველი სრულყოფილება ღმერთის ჩანაფიქრის გამოვლინებას წარმოადგენდა. ედემის სახლში ბუნება აღვსილი იყო ღმერთის შემეცნებით, რომელიც ადამისა და ევასთვის ღვთიურ დარიგებათა ნაკადად

იღვრებოდა. სიბრძნე თვალს ესაუბრებოდა და გულით მიიღებოდა, ვინაიდან ადამისა და ევას ურთიერთობა უფალთან მის მიერვე შექმნილ დიდებულ სამყაროში ხდებოდა... ახლა დედამიწა შებღალული და ცოდვით წაბილწულია. თუმცა, მიუხედავად მისი სავალალო მდგომარეობისა, მას მაინც ბევრი მშვენიერი რამ შემორჩა (ქრისტეს იგავები, გვ. 5 [ორიგ. გვ. 18]).

ჩვენმა ზეციერმა მამამ რატომ არ შემოსა მთელი დედამიწა ყავისფრად ან ნაცრისფრად? მან აირჩია უფრო მშვიდი ფერი, გრძნობებისთვის უფრო სასიამოვნო. რარიგ ხარობს გული და ხალისობს დაქანცული სული, როდესაც ადამიანი უცქერს ხასხასა სიმწვანით შემკობილ დედამიწას!.. ბალახის ყოველი ამონაზარდი, ყოველი გამოსული კვირტი ან გაფურჩქნილი ყვავილი წარმოადგენს ღვთის სიყვარულის ნიშანს და ჩვენ რწმენისა და სასოების გაკვეთილს უნდა გვაძლევდეს (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1087. ე. უაითის კომენტარი).

ბუნება გამუდმებით მოგვმართავს განსაკუთრებულ ენაზე. გახსნილ გულს შეუძლია აღტაცებული იყოს ღვთის სიყვარულითა და დიდებით, რაც მის ხელთა ნამოქმედარში ვლინდება. დაკვირვებულ ყურს ძალუძს ისმინოს და გაიგოს ის, რასაც ღმერთი ბუნების ბგერების მეშვეობით ლაპარაკობს. ჩვენთვის არის ბევრი გაკვეთილი მზის სხივში და ბუნების საგნებში, რომლებიც ღმერთმა დაგვიტოვა. მწვანე ველ-მინდვრები, მაღალი ხეები, ყვავილები, ცის ტატნობზე მოცურავე ღრუბელი, წვიმის წვეთების ცვენა, მოჩუხჩუხე ნაკადული, მზე, მთვარე და ვარსკვლავები ცაში, ეს ყველაფერი ჩვენს ყურადღებას იპყრობს და დაგვაფიქრებს (ახალგაზრდობის დამრიგებელი, 1898 წ. 24 მარტი).

თქვენ, ვისაც გხიბლავთ ხელოვნური ბრწყინვალება, რომელიც ფულით შეიძინება, ოცნებობთ სურათებზე, ავეჯსა და ტანსაცმელზე, ყური უგდეთ ზეციური მოძღვრის ხმას. ის გითითებთ მინდვრის ყვავილებზე, რომელთა მორთულობის შექმნაც არ შეუძლია ადამიანის ოსტატობას (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1087. ე. უაითის კომენტარი).

ღმერთს უყვარს ყველაფერი მშვენიერი ამა ქვეყნისა, მაგრამ მისთვის ყველა მშვენიერებაზე ძვირფასი ადამიანის ხასიათია. მას სურს, რომ ჩვენ სრულვყოთ ის სიწმინდე და უბრალოება ჩვენში, რომელიც ასე მრავლადაა ყვავილებში (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 42).

პარასკევი 17:56 ზაქ. 12

20 იანვარი

ცანი ღაღადებენ

მაღლა აღაპყრეთ თვალები და ნახეთ: ვინ შექმნა ესენი? ის, ვისაც თვლით გამოჰყავს თავისი ჯარი, ყველას თავისი სახელით მოუხმობს. მის დიდ ძალას და ძლევამოსილებას არავინ დააკლდება (ეს. 40:26).

ბუნების დიადი წიგნი, რომელიც ღმერთმა მოგვცა, გადაშლილია ჩვენი სწავლისათვის, და იქიდან ჩვენ უნდა მივიღოთ ამაღლებული წარმოდგენა მისი უსაზღვრო სიყვარულისა და განუზომელი სიდიადის შესახებ. ღმერთს... სურს, რომ მისი შვილები აფასებდნენ მის საქმეებს და სიამოვნებას ნახულობდნენ იმ უბრალო, წყნარი სილამაზის

ცქერით, რომლითაც მან მათი მიწიერი სახლი შეამკო (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 4, გვ. 1145. ე. უაითის კომენტარი).

ღმერთი თავის ქმნილებებს მოუწოდებს ყურადღება არ გაამახვილონ მათ გარშემო გამეფებულ ქაოსსა და არეულობაზე და აღფრთოვანდნენ მის ხელთა ნამოქმედარით. ციურმა სხეულებმა უნდა დაგვაფიქროს. ღმერთმა ისინი ადამიანის სასიკეთოდ შექმნა და როდესაც მის ხელთა ნამოქმედარზე ვიფიქრებთ, ღვთის ანგელოზები ჩვენს გვერდით იქნებიან, რათა განანათლონ ჩვენი გონება და დაიცვან იგი სატანის ცდუნებებისგან (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 4, გვ.1145. ე. უაითის კომენტარი).

ძვირფასო ახალგაზრდავ, გამოდი გარეთ ღამით და თვალი მიაპყარ ცათა დიდებას. შეხედე სინათლის მარგალიტებს, რომლებითაც, როგორც ძვირფასი ქვებით, მოფენილია ცა. იქ დიდების სიმდიდრეა, მაგრამ მილიონობით გონება ისე გაუხეშდა, რომ არ შეუძლია, ეს საუნჯე შეაფასოს. ჩვენი ხედვისთვის გახსნილია ზეცის მხოლოდ პატარა ნაწილი, რომელიც მის უკან დაფარულ უმაღლეს დიდებაზე მოწმობს (წერილი 41, 1877 წ.).

ჩვენ მარტო უბრალოდ კი არ უნდა ვუმზიროთ ზეცას, არამედ ღვთის საქმეებზეც ვიფიქროთ. ღმერთი მოგვიწოდებს, გამოვიკვლიოთ მისი უსასრულო შემოქმედება და ამის მეშვეობით ვისწავლოთ, რომ გვიყვარდეს ღმერთი, მოწიწებით ვიყოთ მის წინაშე და დავუჯეროთ მას (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 4, გვ. 1145. ე. უაითის კომენტარი).

ყოველი მოციმციმე ვარსკვლავი, რომელიც ღმერთმა ზეცაზე მოათავსა, ემორჩილება მის დავალებას და იმდენ სინათლეს

იძლევა, რამდენიც საჭიროა, რომ ღამის ცა დაამშვენოს. ამიტომაც დაე, ყოველი მოქცეული ადამიანი ავლენდეს ბოძებულ სინათლეს, რომელიც, როცა გაანათებს, გაძლიერდება და უფრო კაშკაშა გახდება. გამოაჩინეთ თქვენი სინათლე... გაანათეთ ზეციდან არეკლილი სხივებით. ო, სიონის ასულო, "ადექი, განათდი... რადგან მოვიდა შენი ნათელი და უფლის დიდება შენზე გამობრწყინდა" (ეს. 60:1) მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 4, გვ. 1153. ე. უაითის კომენტარი).

ზაქ. 13 შაბათი

21 იანვარი

შექმნა, და არა ევოლუცია

უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეების ქარით მთელი მისი საკრებულო (ფსალმ. 32:6).

ბიბლიის ფურცლებსა და ბუნების გადაშლილ წიგნში ერთი და იგივე ოსტატის კვალს ვამჩნევთ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი ურთიერთთანხმობითაა შესრულებული...

ბუნებაზე დაკვირვების შედეგად გაკეთებულმა მცდარმა დასკვნებმა მეცნიერებასა და ბიბლიას შორის სავარაუდო კონფლიქტი გამოიწვია... ამ მეცნიერებამ განაცხადა, რომ მილიონობით წელი დასჭირდა დედამიწის ევოლუციას ქაოსიდან. და მეცნიერების სავარაუდო აღმოჩენა ბიბლიასთან რომ შეეთანხმებინათ, სწავლულებმა დაუშვეს, რომ შექმნის

დრო იყო ხანგრძლივი, გაურკვეველი პერიოდი... ეს დასკვნა აბსოლუტურად შეუსაბამოა (აღზრდა, გვ. 128, 129).

შემოქმედების ყოველი ახალი დღე, როგორც ყველა მომდევნო, წმიდა წერილის თანახმად, საღამოსა და დილისაგან შედგებოდა (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 61 [ორიგ. გვ. 112]).

თავად ქმნილების მიმართ ღვთის მოწმობა ასეთია: “რადგან მან თქვა და შეიქმნა, მან ბრძანა და არსებობს” (ფსალმ. 32:9). მას ვისაც შეეძლო, რომ არსებობისთვის ერთი სიტყვის თქმით გამოეხმო ურიცხვი სამყარო, განა რამდენი დრო დასჭირდებოდა ქაოსიდან დედამიწის შესაქმნელად?..

მართლაც, მიწაში ნაპოვნი ნაშთები მოწმობს, რომ არსებობდნენ ბევრად უფრო დიდი ზომის ადამიანები, ცხოველები და მცენარეები, ვიდრე ახლაა ცნობილი... ბიბლიური ისტორია ამ ფაქტს ფართოდ განმარტავს. ცხოველთა და მცენარეული სამყარო წარღვნამდე უფრო დიდი ზომისა იყო, ვიდრე ის, რომელიც ცნობილია წარღვნის შემდეგ. წარღვნის დროს დედამიწის ზედაპირი გასკდა, მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დედამიწის ქერქის აღდგენის შემდეგ შემორჩა მრავალი მოწმობა ადრე არსებული სიცოცხლის შესახებ... როდესაც ამ ფაქტებს ვიგებთ, ჩვენ ვდუმდებით, რადგან ისინი უსიტყვოდ მოწმობენ ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებაზე (აღზრდა, გვ. 129).

უფალმა ღმერთმა არ განუმარტა ხალხს, სახელდობრ რა გზით განახორციელა თავისი შემოქმედებითი საქმეები. ადამიანურ მეცნიერებას არ ძალუძს უზენაესის საიდუმლოში ჩახედვა. მისი შემოქმედებითი ძლიერება ისევე ჩაუწვდომელია, როგორც

თვით მისი არსებობა (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 62 [ორიგ. გვ. 113]).

კვირა ზაქ. 14

22 იანვარი

ბუნება არსებობს ღვთიური ძალის წყალობით

იგი არის უწინარეს ყოვლისა და ყოველივე მისით დგას (კოლ. 1:17).

დედამიწის შესახებ წმიდა წერილი ამბობს, რომ მასზე ყოველგვარი შექმნა დასრულებულია. “ღვთის საქმენი დასრულდნენ ჯერ კიდევ სოფლის დასაბამიდან” (ებრ. 4:3).

ღვთის ძალა თავის ქმნილებას ჯერ კიდევ იცავს. თითოეული სუნთქვა, გულის თითოეული ფეთქვა არის მოწმობა იმის ზრუნვისა, ვისითაც ვცოცხლობთ, ვმოძრაობთ და ვარსებობთ (აღზრდა, გვ. 130, 131).

დედამიწა მისთვის უჩვეულო ენერგიით გვაძლევს თავის სიუხვეს და წლიდან წლამდე განაგრძობს მოძრაობას მზის გარშემო. უხილავი ხელი მართავს პლანეტებს მათ წრიულ მოძრაობაში (აღზრდა, გვ. 99).

ზეციური ღმერთი მუდმივად მუშაობს. მისი ძალის წყალობით მცენარეები იძენენ ფერებს, იშლება ყოველი ფოთოლი და იფურჩქნება ყოველი ყვავილი. წვიმის ყოველი წვეთი ან ფიფქი, ბალახის ყოველი ღერო, ყოველი ფოთოლი და ყვავილი - ყველაფერი ღმერთზე მოწმობს. ჩვენთვის ეს ჩვეული

მოვლენები გვასწავლის, რომ უსასრულო ღმერთისათვის არაფერია წვრილმანი და მის ყურადღებას არაფერი გამოეპარება (მოწმობანი ეკლესიისათვის, ტ. 8, გვ. 260).

ბევრი ასწავლის, რომ მატერიას გააჩნია სიცოცხლის ძალა და უნარი, რომ ეს მისი უცვლელი თვისებაა, რომ იგი საკუთარი ენერგიიით მოქმედებს, რომ ბუნების მოვლენებს მართავს მისივე მარადიული კანონები, რომელთა შეცვლაც თვით ღმერთსაც კი არ ძალუძს. ეს ცრუ მეცნიერებაა და არ მტკიცდება ღვთის სიტყვით. ბუნება შემოქმედის მსახურია. ღმერთი არ ცვლის თავის კანონებს და არც არღვევს მათ, არამედ კანონი იარაღია მის ხელში (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 63 [ორიგ. გვ. 114]).

ხელები, რომლებსაც სივრცეში უკავიათ სამყაროები, ხელები, რომლებიც იცავენ მწყობრ მოძრაობასა და განუწყვეტელ შემოქმედებას ღვთის მთელ სამყაროში, - ეს ხელები ჯვარზე იქნა მილურსმული ჩვენი გულისთვის (აღზრდა, გვ. 132).

მალ.1 ორშაბათი

23 იანვარი

ქმნილების გვირგვინი

და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად - ღვთის ხატად შექმნა იგი. და შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად (დაბ. 1:27).

აქ ნათლადაა ნათქვამი კაცობრიობის წარმოშობის შესახებ. უფალმა ისე გასაგებად გვამცნო ამის თაობაზე, რომ სხვა, მცდარი დასკვნების გამოტანა შეუძლებელია...

მას შემდეგ, რაც დედამიწა თავისი მრავალრიცხოვანი ცხოველებითა და მდიდარი მცენარეულობით ადამიანისათვის მომზადდა, უფლის შემოქმედების გვირგვინმა ფეხი შედგა თავის სამფლობელოში...

უფლის შექმნილ ადამიანს დიდებული გარეგნობა და სრულყოფილი აღნაგობა ჰქონდა. მისი ჯანსაღი სახე მუდამ კმაყოფილებასა და სიხარულს გამოხატავდა. ადამი თანამედროვე ადამიანზე ბევრად უფრო მაღალი იყო; ევა - მასზე ოდნავ დაბალი, მაგრამ ტანადი და მშვენიერი...

არავითარი საფუძველი არ არსებობს იმ თვალსაზრისის გასამართლებლად, რომ ადამიანი ევოლუციის, ცხოველთა და მცენარეთა უმდაბლესი ფორმების თანდათანობითი განვითარების შედეგია... ის, ვინც შექმნა ვარსკვლავთა სამყარო ზეცაში, ვინც მშვენიერი მინდვრის ყვავილებით მორთო დედამიწა, ვინც ცა და მიწა თავისი ძლიერების საოცარი ნიშნებით აავსო, განა ვერ შეძლებდა თავის დიდებულ საქმეთა დაგვირგვინებას სიცოცხლის მომცემის ღირსეული არსების შექმნით, არსებისა, რომელსაც დედამიწის მფლობელობას უბოძებდა? ადამიანის წარმოშობას, როგორც ღვთის სიტყვა მიგვითითებს, მივყავართ არა უმარტივეს მიკრობებთან, მოლუსკებთან და ოთხფეხებთან, არამედ უზენაეს შემოქმედთან. ადამი, თუმცა მიწისაგან შეიქმნა, “ღვთის შვილად” იწოდებოდა (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 15 [ორიგ. გვ. 44-45]).

ადამიანთა მოდგმა, შექმნილი ღვთის ხატად და მსგავსად, ანგელოზების შემდეგ არის მისი უდიდესი ქმნილება (ახალგაზრდობის დამრიგებელი, 1907 წ. 16 აპრილი).

შექმნილი ადამი თავისი ფიზიკური, გონებრივი და სულიერი ბუნებით შემოქმედს ჰგავდა... ადამიანი, საუკუნოდ ცოცხალი, დღითი დღე სულ უფრო მეტად ხსნიდა და ირეკლავდა თავისი შემოქმედის დიდებას (აღზრდა, გვ. 15).

სამშაბათი მალ. 2

24 იანვარი

რა არის თქვენი სიცოცხლე?

ვინაიდან სული საზრდოზე მეტია და სხეული - სამოსელზე (ლუკ. 12:23).

ჩვენი სიცოცხლე ღმერთმა გვაჩუქა და დამოკიდებულია მასზე ისევე, როგორც ფოთლის სიცოცხლე დამოკიდებულია რტოსთან კავშირზე (ახალგაზრდობის დამრიგებელი, 1894 წ. 21 ივნისი).

სიცოცხლე არის ღვთის სიყვარულის გამოვლინება. ეს არის საჩუქარი, რომელზე ზრუნვაც ღმერთმა ჩვენ მოგვანდო, და ღვთის ძის მსხვერპლის ფონზე ეს ერთობ ძვირფასი საჩუქარია. ეს ღვთიური კუთვნილების გამოხატვაა. ჩვენ მას ვეკუთვნით, როგორც შემოქმედს და ორმაგად - როგორც გამომსყიდველს. ჩვენ სიცოცხლეს მისგან ვიღებთ. ის არის შემქმნელი და მთელი სიცოცხლის წყარო. იგი არის ავტორი უმაღლესი სიცოცხლისა

და სურს, რომ ადამიანებმა, მის ხატად და მსგავსად შექმნილებმა, შეიძინონ ის (წერილი 164, 1900 წ.).

თითოეულმა თავის თავს უნდა დაუსვას მნიშვნელოვანი კითხვა: “როგორია ჩემი ცხოვრება ღმერთსა და ახლობლებთან მიმართებაში?” არც ერთი ადამიანი არ ცხოვრობს თავისი თავისთვის. შედეგად არც ერთი ცხოვრება არ არის ნეიტრალური...

ყოველი ადამიანი ვალდებულია, ქრისტიანული ცხოვრებით იცხოვროს. ჩვენი ინდივიდუალობა, ჩვენი ნიჭები, გავლენა, უნარები - ყველაფერი ღმერთისგანაა ნაბოძები და მას ხალისიან მსახურებაში უნდა დაუბრუნდეს. ცხოვრების მიზანი და მისწრაფებები უნდა იყოს არა ის, რომ საკუთარი თავი დროებითი უპირატესობით უზრუნველვყოთ, არამედ ის, რომ მარადიულ უპირატესობაზე ვიზრუნოთ. ღმერთი უფლებებს აცხადებს თქვენს სულზე, თქვენს სხეულზე, თქვენს უნარებზე; ვინაიდან ისინი თავისი ძვირფასი სისხლით იყიდა და ეს ყველაფერი მას ეკუთვნის. ღმერთს არიდებდე თავს - ეს ქურდობაა... თქვენთვის მნიშვნელოვან კითხვას წარმოადგენს ის, რომ დაკავშირებულია თუ არა თქვენი ცხოვრება იესოსთან (ახალგაზრდობის დამრიგებელი, 1894 წლის 21 ივნისი).

რა არის ქრისტიანული ცხოვრება? ეს არის გადარჩენილი, ცოდვის სამყაროდან ამოღებული და იესოს სიცოცხლესთან შეერთებული ცხოვრება (იქვე).

თუ ჩვენი ცხოვრება დაფარულია ქრისტესთან ღმერთში, მაშინ ისევე გამოვჩნდებით მასთან ერთად დიდებით, როდესაც ქრისტე კვლავ მოვა. და თუ ამქვეყნად თავს მივუძღვნით

ღმერთს წმინდა მსახურებაში, იგი ყველა უნარს გვიბოძებს ამის გასაკეთებლად (სამედიცინო მსახურება, გვ. 7).

რა არის თქვენი ცხოვრება? ერთხელაც ეს კითხვა დაისმება თქვენს წინაშე და თქვენ მოგიწევთ, პასუხი გასცეთ მას (ახალგაზრდობის დამრიგებელი, 1894 წ. 21 ივნისი).

მალ. 3 ოთხშაბათი

25 იანვარი

შექმნის დროს დადგენილი

და მეშვიდე დღეს დაასრულა ღმერთმა თავისი საქმე. და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი თავისი საქმისაგან, რასაც აკეთებდა. და აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ყოველი თავისი საქმისაგან, რასაც აკეთებდა (დაბ. 2:2, 3).

დიდებულმა ღმერთმა დააფუძნა დედამიწა, სილამაზით შეამკო მთელი სამყარო და ყოველივე სასარგებლოთი აავსო იგი. მიწისა და ზღვის ყოველი საოცრება მან შექმნა. ექვს დღეში დამთავრდა უზენაესის შემოქმედებითი მოღვაწეობა. და უფალმა ღმერთმა "დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი თავისი საქმისგან, რასაც აკეთებდა..." უდიდესი კმაყოფილებით უმზერდა უფალი თავის შემოქმედებას, უფლის ხელით შექმნილი, ყოველივე სრულყოფილი იყო და იგი ისვენებდა არა იმიტომ, რომ დაიღალა, არამედ თავისი სიბრძნის, სიკეთისა და დიდების გამოცხადების ნაყოფით ტკბებოდა.

მას შემდეგ, რაც უფალი დატკბა მეშვიდე დღის სიმშვიდით, მან აკურთხა ეს დღე და ადამიანის დასასვენებლად გამოყო იგი. შემოქმედის მაგალითისამებრ, ადამიანმა უნდა დაისვენოს ამ წმიდა დღეს, რათა დატკბეს ზეცისა და დედამიწის მშვენიერებით და იფიქროს უზენაესის საოცარ შემოქმედებაზე, რათა ღვთიური სიბრძნისა და სიკეთის ამ უტყუარ მტკიცებულებათა დანახვისას სიყვარულითა და მადლიერებით აევსოს გული თავისი შემოქმედის მიმართ...

უფალი ღმერთი ხედავდა, რომ სამოთხეშიც საჭირო იყო შაბათის სიმშვიდე ადამიანისათვის. მას სჭირდებოდა დრო, როდესაც ყოველგვარი შრომისაგან დაისვენებდა და უფლის საქმეებზე, მის ძალასა და სიკეთეზე იმსჯელებდა. ადამიანს ესაჭიროებოდა შაბათი დღე, რომელიც მას ღმერთს გაახსენებდა და შემოქმედის კეთილი საქმეების გამო მადლიერების გრძნობას გაუღვიძებდა (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 17 [ორიგ. გვ. 47,48]).

როდესაც... უფალმა შექმნა დედამიწა, მაშინ დაწესდა შაბათი დღეც... აი, რატომ უნდა მივაგოთ პატივი შაბათს: - იგი არ არის დაწესებული ადამიანის მიერ და არ არის დაფუძნებული ადამიანთა გადმოცემებზე; იგი დადგენილია “ძველი დღეთა”-ს მიერ და მისი მარადიული სიტყვა ბრძანებს ამ დღის დაცვას (დიადი ბრძოლა, გვ. 351, 352 [ორიგ. გვ. 455]).

წმიდა ძეგლი

სამახსოვროდ შექმნა საოცრებანი თვისნი, მოწყალე და შემბრალებელია უფალი

(ფსალმ. 110:4).

მეშვიდე დღის კურთხევა იყო ნიშანი, რომელიც უფალმა ედემში დაგვიტოვა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიშნად. შაბათის სიმშვიდე მიეცა ადამს - მთელი კაცობრიობის მამას და წარმომადგენელს. შაბათის დაცვით ადამის შთამომავლობას მადლიერება უნდა გამოეხატა უფლის, თავისი შემოქმედისა და მბრძანებლის მიმართ, მათი, როგორც თავისი სამეფოს ქვეშევრდომთა შექმნისთვის. ასე დაკანონდა ყოველი ადამიანისათვის განკუთვნილი ეს წესი და გადაეცა კაცობრიობას (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 17 [ორიგ. გვ. 48]).

ყველაფერი ღვთის ძემ შექმნა. “დასაწყისში იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან... ყოველივე მის მიერ შეიქმნა და უიმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა (იოან. 1:1-3). ვინაიდან შაბათი გვახსენებს შემოქმედების პროცესს, იგი არის ქრისტეს სიყვარულისა და ძალის მოწმობა.

შაბათი ჩვენს ფიქრებს ბუნების წიაღისაკენ მიმართავს და შემოქმედთან გვაერთიანებს. ჩიტების ჭიკჭიკში, ფოთოლთა შრიალში და ზღვის ტალღების ხმაურში კვლავინდებურად შეგვიძლია მისი ხმის გარჩევა, როგორც მას ისმენდნენ “საღამო ხანს, ბაღში” ადამი და ევა. ჩვენ გვამშვიდებს მისი ძლიერება, ბუნების წიაღში გადმოცემული, იმიტომ, რომ სიტყვა, რომლითაც მთელი სამყარო შეიქმნა, კვლავინდებურად

სიცოცხლის მომცემია (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 208 [ორიგ. გვ. 281, 282]).

ღმერთმა ადამიანს ექვსი დღე მისცა შრომისათვის, მაგრამ მეშვიდე დღე წმიდაჰყო თავისი დასვენებისათვის და ადამიანს უბოძა, რათა თავისუფალი ჰქონდეს იგი ყოველგვარი საქმისაგან. მაგრამ, ამ სახით შაბათის გამოყოფით ღმერთმა წუთისოფელს მისცა ძეგლი. მან არ გამოჰყო კვირის ერთ-ერთი ან რომელიმე დღე, არამედ გარკვეული, სწორედ მეშვიდე დღე. და შაბათის დაცვით ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ვაღიარებთ ცოცხალ ღმერთს, ცისა და მიწის შემოქმედს (მოწმობანი მქადაგებლებისთვის, გვ. 136).

ადამიანები რომ სათანადოდ აფასებდნენ და იცავდნენ ამ წმიდა დღეს, მსოფლიოში არც ერთი ათეისტი ან კერპთაყვანისმცემელი არ იარსებებდა (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 205 [ორიგ. გვ. 336]).

მათ. 1 პარასკევი
18:05

27 იანვარი

განსაკუთრებული ნიშანი

და ჩემი შაბათებიც მივეცი მათ, რათა ყოფილიყვნენ ნიშნად ჩემსა და მათ შორის, რათა ცოდნოდათ, რომ მე ვარ უფალი, მათი განმწმედელი (ეზეკ. 20:12).

მსგავსად იმისა, როგორც შაბათი იყო ნიშანი, რომელიც ისრაელიანებს განასხვავებდა წარმართებისაგან, რიცა ისინი გამოვიდნენ ეგვიპტიდან, რათა მიწიერ ქანაანში შესულიყვნენ, დღესაც იგი არის ნიშანი, რომელიც განასხვავებს ღვთის ხალხს როდესაც ის გამოდის წუთისოფლიდან, რათა ზეციურ სიმშვიდეში შევიდეს. (მოწმობანი ეკლესიისათვის, ტ. 6, გვ. 349).

შაბათის დაცვა არის საშუალება, რომელიც ღმერთმა დაადგინა იმ მიზნით, რომ შენარჩუნებული იქნას შემეცნება ღვთის შესახებ და იყოს განმასხვავებელი ნიშანი მის ერთგულ ქვეშევრდომთა და მისი რჯულის დამრღვევთა შორის (მოწმობანი ეკლესიისათვის, ტ. 8, გვ. 198).

იგი [შაბათი] ქრისტეს ეკუთვნის... მან შექმნა ყოველივე, მანვე დააწესა შაბათიც. ეს დღე გამოყო მან თავისი შემოქმედებითი დღეების სამახსოვროდ. შაბათი მიუთითებს ქრისტეზე, როგორც შემოქმედზე, რომელმაც განწმიდა ეს დღე. იგი მოწმობს, რომ ის, ვინც ყველაფერი შექმნა ზეცაში და დედამიწაზე, რომლითაც დგას ყოველივე, არის ეკლესიის თავი და და მისი ძალის მეშვეობით შემოგვირიგა ღმერთმა. რადგან ისრაელის შესახებ მან თქვა: “მივეცი შაბათებიც, რომ ჰქონოდათ ნიშნად ჩემსა და მათ შორის. რომ სცოდნოდათ, რომ მე ვარ უფალი, მათი განმწმედელი” (ეზეკ. 20:12). ამიტომ შაბათი არის ქრისტეს ძალის, ჩვენი განმწმედელის, სიმბოლო. შაბათის სიმშვიდე ეძლევა ყველას, ვისაც ქრისტე განწმედს. შაბათი, როგორც უფლის განმწმედელი ძალის ნიშანი, მიცემული აქვს ყველას, ვინც ქრისტეს მეშვეობით უფლის ისრაელის ნაწილი ხდება...

შაბათი არის სიხარული ყველასათვის, ვინც ღებულობს მას, როგორც ქრისტეს აღმშენებლობითი და გადამრჩენი ძალის ნიშანს და ვინც მასში ქრისტეს ხედავს. შაბათი არის ნიშანი და მოწმობა უფლის შემოქმედებითი საქმეებისა და მისი უდიდესი გამომსყიდველი ძალისა. და თუმცა შაბათი დღე გვახსენებს დაკარგულ სამოთხეს, მაგრამ იგი აგრეთვე გვაუწყებს მაცხოვრის მიერ მოცემულ მშვიდობას. და ყველაფერი ბუნებაში იმეორებს მაცხოვრის მოწოდებას: “მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ” (მათ. 11:28) (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 214 [ორიგ. გვ. 288. 289]).

შაბათი არის ოქროს ჯაჭვი, რომელიც ღმერთს თავის ხალხთან აკავშირებს (მოწმობანი ეკლესიისათვის, ტ. 6, გვ. 351).

შაბათი მათ. 2

28 იანვარი

მომზადება წმიდა დღისთვის

გახსოვდეს შაბათის დღე, რათა წმიდაჰყო იგი (გამ. 20:8).

უფალმა მეოთხე მცნების დასაწყისშივე თქვა: “გახსოვდეს”. მან იცოდა, რომ უამრავ საზრუნავსა და მღელვარებაში ადამიანს ექნება ცდუნება, რომ გაამართლოს რჯულის მოთხოვნების ნაწილობრივი შესრულება ან საერთოდ დაივიწყებს მის წმიდა მნიშვნელობას. ამიტომ მან თქვა: “გახსოვდეს შაბათის დღე, რათა წმიდაჰყო იგი”.

მთელი კვირის განმავლობაში ჩვენ უნდა გვახსოვდეს შაბათი და ვემზადოთ იმისათვის, რომ იგი მცნების შესაბამისად ვიზეიმოთ...

როდესაც შაბათი ასეთნაირად ახსოვთ, მაშინ ამქვეყნიური ვერასოდეს ხელყოფს სულიერს. ექვს სამუშაო დღეზე განაწილებული არც ერთი საქმე არ გადაიდება შაბათისთვის. ჩვენი ძალები კვირის განმავლობაში ისე არ გამოილევა საერო საქმეებით, რომ დღეს, როცა უფალი სიმშვიდეში ისვენებდა, ჩვენ ძლიერი გადაღლის გამო ვერ მივიღოთ მონაწილეობა მის მიმართ მსახურებაში...

შაბათისთვის მომზადება პარასკევს უნდა დასრულდეს. შეეცადეთ, რომ მთელი ტანსაცმელი მოაწესრიგოთ და საკვების მომზადება დაასრულოთ. აუცილებლად გაწმინდეთ ფეხსაცმელი და მიიღეთ აბაზანა. ამ ყველაფრის გაკეთება შესაძლებელი გახდება, თუ ამას წესად გაიხდით. შაბათი მოცემულია არა იმისთვის, რომ დააკეროთ ტანსაცმელი ან მოამზადოთ საკვები, ეძებოთ სიამოვნება ან კიდევ სხვა ამქვეყნიური საქმეები. მზის ჩასვლამდე გადადებული უნდა იყოს ყველა საერო საქმე და თვალთახედვიდან მოშორებული - ყველა საერო ქაღალდი. მშობლებო, თქვენს შვილებს აუხსენით თქვენი საქმიანობის არსი და მისი მიზანი და მათაც მიაღებინეთ მონაწილეობა შაბათისთვის მომზადებაში მცნებისამებრ...

არის კიდევ ერთი საქმე, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოთ მომზადების დღეს. ყველა უთანხმოება ძმებს შორის ოჯახში თუ ეკლესიაში პარასკევს უნდა მოგვარდეს. ყოველგვარი ბოღმა, რისხვა და ბრაზი გულიდან უნდა ამოიღოთ. სათნო სულით

“აღიარეთ ცოდვები ერთმანეთის წინაშე და ილოცეთ ერთმანეთისათვის, რათა განიკურნოთ” (იაკ. 5:16)...

მზის ჩასვლამდე ოჯახის წევრები უნდა შეიკრიბონ ერთად, რათა იკითხონ ღვთის სიტყვა, იგალობონ და ილოცონ...

ჩვენ გულმოდგინედ უნდა ვიცავდეთ შაბათის საზღვრებს. გახსოვდეთ, რომ მისი ყოველი წამი არის კურთხეული, წმინდა დრო (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 6, გვ. 353-356).

მათ. 3 კვირა

29 იანვარი

კურთხეულია თაყვანისცემისთვის

გავიხარე, როცა მითხრეს: “უფლის სახლში წავიდეთ” (ფსალმ. 121:1).

ღმერთმა მოგვცა ექვსი სრული დღე, რომ ჩვენი საქმეები ვაკეთოთ და თავისთვის მხოლოდ ერთი შეინახა. შაბათი ჩვენთვის უნდა იყოს კურთხევის დღე, დღე, როცა შეგვიძლია გადავდოთ ყველა ჩვენი საერო საქმე და გულისყური მივაპყროთ ღმერთსა და ზეცას (ბავშვთა აღზრდა, გვ. 529).

მთელი ზეცა იცავს შაბათს, მაგრამ არ იმყოფება გულგრილად და უქმად. ამ დღეს უნდა გამოვაღვიძოთ სულის მთელი ენერგია, ჩვენ ხომ ღმერთს და ჩვენს მხსნელს ქრისტეს უნდა შევხვდეთ, ხომ ასეა? ჩვენ შეგვიძლია მას ვუმზიროთ რწმენით. მას კი მხურვალედ სურს, აღადგინოდ და აკურთხოს ყოველი ადამიანი (მოწმობანი ეკლესიისათვის, ტ. 6, გვ. 362).

შაბათ დილას ოჯახი ადრე უნდა ადგეს. თუ ოჯახის წევრები გვიან ადგებიან, შეიქმნება უწესრიგობა და არეულობა საუზმისა და საშაბათო სკოლისთვის მომზადებაში. დაიწყება ფაცი-ფუცი, ხელების კვრა და გაღიზიანება. ასე დაისადგურებს სახლში უსიამოვნო გრძნობები, ხოლო შაბათი, ამ სახით შებღალული, გახდება დამღლელი, და მის დადგომას სიყვარულით კი არა, შიშით შეხვდებიან (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 6, 357).

შაბათი არის ღვთის დრო. მან აკურთხა მეშვიდე დღე. მან ის ადამიანისთვის გამოჰყო, როგორც თაყვანისცემის დღე (ხელნაწერი 34, 1897 წელი).

ჩვენ უნდა ვანვითარებდეთ და ვუფრთხილდებოდეთ ჭეშმარიტი თაყვანისცემის სულს, სულს, რომელიც უფლის წმიდა, კურთხეული დღისადმია მიძღვნილი. ჩვენ უნდა ვიკრიბებოდეთ ერთად და გვწამდეს, რომ მივიღებთ იესო ქრისტეს ნუგეშსა და იმედს, ნათელსა და მშვიდობას (ხელნაწერი 32ა, 1894 წ.).

მე ვნახე, რომ ამ წმიდა დღეს მთელი ზეცა თვალს ადევნებს იმათ, ვინც აღიარებს მეოთხე მცნების მოთხოვნებს და იცავს შაბათს. ანგელოზები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ ღვთიურ დადგენილებას და მას უმაღლეს პატივს მიაგებენ. იმათ, ვინც თავის გულში აკურთხა უფალი ღმერთი, ვინც მკაცრად შემოინახა სულიერი ზრახვები, შეეცადა, საუკეთესო სახით დაეცვა შაბათის წმინდა საათები და პატივი მიეგო ღმერთისთვის, შაბათს სიხარულს უწოდებდა, იმ ადამიანებს ანგელოზები უძღვნიან განსაკუთრებულ კურთხევებს სინათლისა და ჯანმრთელობის სახით და ძალებით აღავსებენ (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 2, გვ. 704, 705).

ორშაბათი მათ. 4

30 იანვარი

კვირის ყველაზე სასიამოვნო დღე

თუ დააკავებ შაბათს შენს ფეხს შენი სურვილის შესრულებისაგან, ჩემს წმიდა დღეს, და უწოდებ შაბათს - “შვებას”, “უფლის წმიდა დღეს”, “განდიდებულს” და განადიდებ, არ გააკეთებ შენს საკუთარ საქმეს, არ ეძიებ საწადელს და ფუჭად არ ილაპარაკებ, მაშინ გაიხარებ შენ უფალში, აგიყვან დედამიწის სიმაღლეებზე და გამოგკვებავ იაკობის, შენი მამის, წილხვედრით, რადგან უფლის ბაგე ლაპარაკობს!” (ეს. 58:13, 14).

ღმერთმა თავისი სიყვარულით საზღვრები დაუდგინა მძიმე ფიზიკურ შრომას. შაბათის დასვენების მეოხებით იგი მოწყალებას ავლენს ადამიანებისადმი. უფალი თავის დღეს საშუალებას აძლევს ოჯახს ურთიერთობა ჰქონდეს მასთან, ბუნებასთან და ერთმანეთთან (აღზრდა, გვ. 251).

შაბათი და ოჯახი შექმნილი იყო ედემში და ღვთის გეგმაში ისინი განუყრელად არიან დაკავშირებული. შაბათს, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შეიძლება იცხოვრო ედემის ცხოვრებით. ღმერთი ელოდება, რომ ჩვენი ოჯახის წევრებს ერთმანეთთან ურთიერთობა ექნებათ სწავლასა და საქმეში, ღვთისმსახურებასა და დასვენებაში (აღზრდა, 250, 251).

ღვთის სიმშვიდის წმიდა დღე ადამიანისთვისაა განკუთვნილი და მოწყალების საქმეებიც სრულად პასუხობს ამ დღის მოთხოვნებს (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 148 [ორიგ. გვ. 207]).

გაჭირვებულთა დახმარება, მწუხარეთა ნუგეში - ეს სიყვარულის აქტია, რომელიც განადიდებს ღვთის წმიდა დღეს (გამოსყიდვა, ანუ ქრისტეს სწავლებანი, #4, გვ. 46).

შაბათი არის შექმნის ძეგლი, და ამ დღეს შესაძლებლობა გვაქვს, გავიცნოთ ღმერთი მის საქმეებზე დაკვირვებით (აღზრდა, გვ. 251).

ყველასთვის აუცილებელია სუფთა ჰაერზე ყოფნა გარკვეული დროის განმავლობაში. ბავშვები უკეთ გაიცნობენ ღმერთს... თუ დროის ნაწილს ჰაერზე გაატარებენ, მაგრამ თამაშში კი არა, არამედ მშობლებთან ერთად სეირნობაში. დაე, მათი ნორჩი გონება მშვენიერ ბუნების წიაღში შეუერთდეს ღმერთს... როდესაც ისინი იხილავენ სილამაზეს, რომელიც ღმერთმა ადამიანის სასიხარულოდ შექმნა, მაშინ მას ნაზ, მოსიყვარულე მამად მიიჩნევენ... როდესაც ღმერთის ხასიათს დააკავშირებენ სიყვარულთან, გულუხვობასთან, სილამაზესა და მიმზიდველობასთან, მათში გაიღვიძებს სიყვარული უფლისადმი (მოწმობანი ეკლესიისათვის, ტ. 2, გვ. 583, 584).

შაბათი! გადააქციეთ იგი მთელი კვირის ყველაზე სასიამოვნო და ყველაზე კურთხეულ დღედ (ბავშვთა აღზრდა, გვ. 532).

---

31 იანვარი

დაცული იქნება მარადისობაში

და ყოველ თვეს და ყოველ შაბათს მოვა ყოველი ხორციელი თაყვანისსაცემად ჩემს წინაშე!” - ამბობს უფალი (ეს. 66:23).

რა მშვენიერი იყო დედამიწა, როდესაც შემოქმედის ხელიდან გამოვიდა! ღმერთმა სამყაროს წარუდგინა ქვეყნიერება, რომელშიც მისი ყოვლისმხილველი თვალიც კი არ ამჩნევდა ლაქებს ან ნაკლს. მისი ქმნილების ყოველი ნაწილი იკავებდა მისთვის განკუთვნილ ადგილს და პასუხობდა იმ მიზანს, რისთვისაც იყო შექმნილი. მშვიდობა და წმინდა სიხარული ავსებდა დედამიწას. იქ არ იყო ქაოსი და უწესრიგობა. ამ ქვეყნიერებაში არ იყო სნეულებები, რომლებიც ადამიანს ან ცხოველს ტანჯვას აყენებდა, და მცენარეთა სამყაროში ჭკნობის მინიშნებაც კი არ იყო. ღმერთმა შეხედა თავის ხელთა ნამოქმედარს, რომელიც ქრისტემ აღასრულა და თქვა, რომ ყველაფერი “ძალზე კარგია” (რევიუ ენდ გერალდი, 1904 წ. 21 ივლისი).

შაბათი კურთხეული იქნა შექმნის დროს. ბრძანება შაბათის დაცვისა მიცემული იქნა, “როცა გალობდნენ დილის ვარსკვლავები, და ღვთის ძენი ყიჟინებდნენ” (იობ. 38:7)...

შაბათი მიეცა არა მხოლოდ ისრაელიანებს, არამედ მთელ კაცობრიობას. ჯერ კიდევ ადამი იცავდა მას ედემში და შაბათის დაცვას ისეთივე აუცილებელი მნიშვნელობა აქვს, როგორც უფლის დანარჩენ მცნებებს. მეოთხე მცნება რჯულის ნაწილია და ამ რჯულის შესახებ ქრისტემ თქვა: “ვიდრე ცა და დედამიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ

გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება”. და სანამ არსებობს ცა და დედამიწა, შაბათი იქნება ნიშანი შემოქმედის ძალისა. და როდესაც კვლავ აყვავდება დედამიწაზე ედემის ბაღი, უფლის სიმშვიდის წმიდა დღე პატივდებული იქნება ყველა არსების მიერ დედამიწაზე. “...შაბათიდან შაბათამდე მოვა ყოველი ხორციელი ჩემს წინაშე სათაყვანოდ, ამბობს უფალი” /მათ 5:18; ეს. 66:23/ (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 209 [ორიგ. გვ. 281-283]).

ღმერთი გვასწავლის, რომ ვიკრიბებოდეთ მის სახლში, რათა ჩვენში აღვზარდოთ სრულყოფილი სიყვარულის თვისებები. ეს დედამიწის მკვიდრთ დაეხმარება, რომ იცხოვრონ სავანეებში, რომლებსაც ამზადებს ქრისტე ყველა თავისი მოყვარულისთვის. ისინი იქ შეიკრიბებიან შაბათიდან შაბათამდე, თვიდან თვემდე და გაერთიანდებიან ამაღლებულ საგალობლებში, ქებასა და მადლობას უკუნითი უკუნისამდე აღუვლენენ ტახტზე მჯდომსა და კრავს (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 6, გვ. 368).

ოთხშაბათი მათ. 6

თებერვალი - ზეცის სამი სამეფო პიროვნება

1 თებერვალი

ჩვენი მოსიყვარულე ზეციერი მამა

ჩვენ კი ერთი მამა ღმერთი გვყავს, რომლისგანაც არის ყოველი და ჩვენ მისთვის ვართ, და ერთი უფალი იესო ქრისტე, რომლის მიერ არის ყოველი და ჩვენც მის მიერ (1კორ. 8:6).

ღმერთი ჩვენი ნაზი, გულშემატკივარი მამაა და ყოველი მორწმუნე შვილი მისი განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტს წარმოადგენს (ხელნაწერი 153, 1903 წ.).

მან [ქრისტემ] მიუთითა სამყაროს მბრძანებელზე და ახალი სახელი, “მამაო ჩვენო” უწოდა (ქრისტეს ქადაგება მთაზე, გვ. 74).

სახელი, რომლითაც მას მივმართავთ, მის მიმართ ჩვენი სიყვარულისა და ნდობის გამოხატულების ნიშანია. მეორე მხრივ, ეს სახელი ჩვენდამი მისი მამაშვილური სიყვარულისა და მზრუნველობის საწინდარია. როდესაც უფალს ამ სახელით მივმართავთ და მისგან წყალობასა და კურთხევას ვითხოვთ, ეს ტკბილ ჰანგებად ჩაესმის მას...

იგი მოგვიწოდებს, უფრო ერთგულად და მტკიცედ დავენდოთ მას, ვიდრე ყრმა - თავის მიწიერ მამას. ყველა მშობელს უყვარს თავისი შვილი, მაგრამ უფლის სიყვარული უფრო ძლიერი, ღრმა და ვრცელია, ვიდრე ადამიანისა. უსაზღვრო და უსასრულოა იგი (ქრისტეს იგავები, გვ. 77 [ორიგ. გვ. 142]).

ღმერთის შესახებ ასეთი სწავლება არ არის არც ერთ სხვა რელიგიაში, გარდა ბიბლიურისა. წარმართობა ადამიანებს ასწავლის, რომ უმაღლეს არსებას უყუროს უფრო შიშით, ვიდრე სიყვარულით, - როგორც ბრაზიან ღვთაებას, რომელსაც გული უნდა მოულბონ მსხვერპლებით, და არა როგორც მამას, რომელიც თავის შვილებს სიყვარულის ნიჭებით ასაჩუქრებს...

არც საზოგადოებრივი მდგომარეობა, არც დაბადებისას მიღებული უფლებები, არც ეროვნული ან რელიგიური უპირატესობები გვაქცევენ ღვთის ოჯახის წევრებად. ეს შეუძლია მხოლოდ სიყვარულს - სიყვარულს, რომელიც მთელ

კაცობრიობას მოიცავს... იყო კეთილი უმადურთა და ბოროტთა მიმართ, აკეთო სიკეთე და არაფერს ელოდო, - აი, სამეფო ხელმწიფების განმასხვავებელი ნიშნები და სწორი მოწმობები იმ მაღალი მდგომარეობის სასარგებლოდ, რომელიც უზენაესის შვილებს უკავიათ (ქრისტეს ქადაგება მთაზე, გვ. 74, 75).

ხუთშაბათი მათ. 7

2 თებერვალი

მისი დიდება და ძალა

შენია, უფალო, დიდება, ძლიერება, ქება, ძლევა და დიდებულება, ისევე როგორც ყოველივე ცაზე და ქვეყანაზე! შენია, უფალო, მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთავრად! (1ნეშტ. 29:11).

ღმერთი, მოსიყვარულე მამა, ჩვენზე ზრუნავს, როგორც თავის შვილებზე, თან ამავდროულად იგი არის მთელი სამყაროს დიდებული მეფე (ქრისტეს ქადაგება მთაზე, გვ. 107).

არ შეიძლება, ღმერთი შევადაროთ მის ხელთა ნაყოფებს. ეს ყველაფერი მიწიერი რამეებია და თანაც ადამიანის ცოდვების შედეგად დაწყევლილია ღმერთისგან. არ შეიძლება მამის აღწერა მიწიერი კატეგორიებით. მამა თავის პიროვნებაში არის ღვთიურობის მთელი სისრულე და უხილავია მოკვდავის თვალებისთვის (ევანგელიზმი, გვ. 614).

ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ, თავდაჯერებული ხელით გადავწიოთ ფარდა, რომლის მიღმაც იგი თავის დიდებულებას

ფარავს. მოციქულმა წამოიძახა: “რა ჩაუწვდომელნი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები!” (რომ. 11:33). ის ფაქტი, რომ იგი მალავს თავის ძალას და თავის თავს ამოუხსნელი საიდუმლოთი ფარავს, გვიჩვენებს მის წყალობას; რომ გაწეულიყო ფარდა, რომელიც ღვთის სუფევას ფარავს, ეს გარდაუვალ სიკვდილს გამოიწვევდა. ვერც ერთი მოკვდავი ვერ შეაღწევს იმ საიდუმლო ატმოსფეროში, რომელშიც ყოვლისშემძლე მკვიდრობს და მოქმედებს. ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ მისი მხოლოდ ის მოქმედებები და მათი მოტივები, რომლებსაც იგი თვლის აუცილებლად, რომ გვიცხადებდეს. იგი ყველაფერში სწორად იქცევა და ამიტომ ჩვენ უფლება არა გვაქვს, გამოვიჩინოთ უკმაყოფილება ან უნდობლობა, არამედ მის წინაშე მოკრძალებული ღვთისმოსაობით უნდა მოვიდრიკოთ თავი. იგი გაგვიმხელს ზუსტად იმდენ თავის ჩანაფიქრს, რამდენის ცოდნაც სასარგებლო იქნება ჩვენთვის, ხოლო დანარჩენში ჩვენ ყოვლისშემძლე ხელს და მის მოსიყვარულე გულს უბრალოდ უნდა მივენდოთ (მოწმობანი ეკლესიისათვის, ტ. 5, გვ. 301, 302).

ღმერთი ყოველგვარი სიბრძნის, ყოველგვარი ჭეშმარიტებისა და ყოველგვარი შემეცნების წყაროა... ადამიანს დღეს შეუძლია, რომ მხოლოდ მიუახლოვდეს უსასრულობის საზღვრებს და წარმოდგენას მისცეს გასაქანი. შეზღუდულ ადამიანს არ ძალუძს ღვთის სიღრმეების გაზომვა (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1079. ე. უაითის კომენტარი).

ღმერთის წინაშე ჭეშმარიტი მოკრძალება შთაგონებას ღებულობს ღვთის უსასრულო დიდებულებისა და მისი

სუფევის შეგნებით. ყოველი გული, როცა შეიგრძნობს უხილავს, ამ მოკრძალებით განიმსჭვალება (სახარების მსახურნი, გვ. 178).

მათ. 8 18:14 პარასკევი

3 თებერვალი

პიროვნული ღმერთი

ღმერთი... უკანასკნელ დღეებში კი გველაპარაკა ძეში... იგია დიდების ბრწყინვალება და მისი არსების ანაბეჭდი, რომელსაც ყოველივე უპყრია თავისი ძალის სიტყვით, როდესაც მან ჩვენი ცოდვების განწმედა აღასრულა, დაჯდა დიდების[ტახტის] მარჯვნივ მაღალთა შინა (ებრ. 1:1-3).

ღმერთი არის სული, მაგრამ იგი პიროვნებაა, ვინაიდან ასეთად გამოავლინა თავი (განკურნების მსახურება, გვ. 413).

როგორც პიროვნულმა არსებამ, ღმერთმა თავი თავის ძეში გამოავლინა. “დიდების ბრწყინვალება და მისი არსების ანაბეჭდი” (ებრ. 1:3) იესო, როგორც პიროვნული მხსნელი, მოვიდა ჩვენს წუთისოფელში. როგორც პიროვნული მხსნელი, იგი ამაღლდა ზეცაში. როგორც პიროვნული მხსნელი, ის შუამდგომლობს ზეციურ სასახლეებში (განკურნების მსახურება, გვ. 418, 419).

მე ვიხილე ტახტი, რომელზედაც ისხდნენ მამა და ძე. სახეში ვუყურებდი იესოს და აღფრთოვანებული ვიყავი მისი მშვენიერი გარეგნობით. მამას ვერ ვხედავდი, ვინაიდან მას

თვალისმომჭრელი სინათლის ღრუბელი ფარავდა. იესოს ვკითხე, მამასაც იგივე გარეგნობა აქვს, როგორიც იესოს, თუ არა. მან დასტურით მიპასუხა, მაგრამ დასძინა: “ერთხელაც რომ დაინახო მისი დიდება, მოკვდები” (ე. უაითი, ადრეული ნაწარმოებები, გვ. 54).

თეორიას, რომლის თანახმადაც ღმერთი არის არსი და მისით აღვსილია მთელი ბუნება, აღიარებს ბევრი ადამიანი, ვინც აცხადებს, რომ სწამს წმიდა წერილი; მაგრამ ეს თეორია როგორი ლამაზი საბურველითაც არ უნდა შეიმოსოს, იგი ყველაზე საშიში სიცრუეა... თუკი ღმერთი არის არსი, რომელიც თავისი თავით მთელ ბუნებას აღავსებს, მაშასადამე, იგი ყოველ ადამიანში მკვიდრობს და სიწმიდის მისაღწევად საკმარისია, ადამიანმა მხოლოდ განავითაროს თავისი შინაგანი ძალები. მსგავს თეორიებს [პანთეიზმსა და სხვას] მივყავართ ასეთ ლოგიკურ დასკვნებთან.., ანადგურებენ გამოსყიდვის აუცილებლობას და გულისხმობენ, რომ ადამიანს შესწევს ძალა, თავად იხსნას საკუთარი თავი... ისინი, ვინც მათ ღებულობს, იმყოფებიან უდიდეს საფრთხეში, რომ საბოლოოდ იმ აზრამდე მივიდნენ, თითქოს მთელი ბიბლია გამოგონილია...

გამოცხადება, რომელიც ღმერთმა თავის შესახებ მოგვცა თავის სიტყვაში, ჩვენი შესწავლისათვის არის განკუთვნილი. ჩვენ შეგვიძლია ვისწრაფოთ ამ გამოცხადების გაგებისაკენ, მაგრამ ამის იქით წასვლის უფლება არა გვაქვს... და საჭირო არაა, ჩავუღრმავდეთ ვარაუდებს მისი ბუნების შესახებ. ამ საკითხზე ღვთის დუმილი თვითონ ლაპარაკობს თავის თავზე. ყოვლისმცოდნე ღმერთი ყოველგვარ დისკუსიაზე მაღლა დგას (განკურნების მსახურება, გვ. 428, 429).

შაბათი მათ. 9

4 თებერვალი

წმიდა და საშიშია სახელი მისი

ხსნა მოუვლინა თავის ერს, მცნებად დაუდო საუკუნოდ თავისი აღთქმა; წმიდა და საშიშია სახელი მისი (ფსალმ. 110:9).

ჩვენ არავითარ შემთხვევაში აგდებულად არ უნდა გამოვიყენოთ ღვთაების სახელები ან ტიტულები... ანგელოზები სახეს იფარავენ მის წინაშე, ქერუბიმები და ნათელი წმინდა სერაფიმები მის ტახტს ამაღლებული პატივისცემით უახლოვდებიან და განა დიდი მოკრძალებით არ უნდა მივდიოდეთ მასთან ჩვენ, მოკვდავი და ცოდვილი არსებები! (ქრისტეს ქადაგება მთაზე, გვ. 106).

მე ვიხილე, რომ ღვთის წმიდა სახელი უნდა წარმოვთქვათ პატივითა და მოწიწებით (ადრეული ნაწარმოებები, გვ. 122).

ვიღაცა თვლის, რომ ღმერთთან ჩვეულებრივი ტონით აღვლენილი ლოცვა... არის მორჩილების ნიშანი. ისინი ბღალავენ მის სახელს, როცა ლოცვაში გამუდმებით, ყოველგვარი მიზეზის გარეშე უადგილოდ ახსენებენ “დიდებულო ღმერთო”. ეს მიმართვა არის მოკრძალებული, წმინდა სიტყვები, რომელთა წარმოთქმა შეიძლება მხოლოდ მორჩილი ხმით და თაყვანისცემის გრძნობით (სახარების მსახურნი, გვ. 176).

ვინც გააცნობიერა ღმერთის დიდება და სიწმიდე, მის სახელს წმიდა მოწიწებით გამოიყენებს. ის [ღმერთი] მიუწვდომელ ნათელში მკვიდრობს; და ადამიანთაგან არავის ძალუძს მისი დანახვა ისე, რომ ცოცხალი დარჩეს (ადრეული ნაწარმოებები, გვ. 122).

დღეს ქრისტე რომ დედამიწაზე იყოს და მის გვერდით აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებსაც წუთისოფელი მიმართავს "თქვენო უმაღლესობავ", "თქვენო უწმიდესობავ", განა არ გაიმეორებდა თავის ნათქვამს: "თქვენ კი ნუ გიწოდებენ მოძღვარს, ვინაიდან ერთია მოძღვარი - ქრისტე!" წერილი ღმერთის შესახებ ამბობს: "წმიდაა და საშიშია სახელი მისი" (ფსალმ. 110:9). რომელ ადამიანს შეიძლება ეწოდოს ეს სიტყვები? რა მცირე სიბრძნე და სიმართლე გააჩნია ადამიანს ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით! და რამდენი ადამიანი, რომელსაც ასე მიმართავენ, ამახინჯებს და აუწმიდურებს უფლის სახელს! რა სამწუხაროა, რომ ძალიან ხშირად ამ წმიდა და მაღალი მსახურების მდიდრულ საფარქვეშ სასტიკი და საშინელი ცოდვა იმალება! (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 477 [ორიგ. გვ. 613]).

უფლის სახელი არის "ღმერთი შემბრალე და მოწყალე, სულგრძელი და დიდად მოწყალე, და ჭეშმარიტი... შეუნდობს ბრალს და დანაშაულს, და ცოდვას" (გამ. 34:6, 7). ქრისტეს ეკლესიაზე ნათქვამია: "აჰა, რას უწოდებენ მას: უფალია ჩვენი სიმართლე!" (იერ. 33:16). ამ სახელს ღებულობს იესოს ყველა მიმდევარი (ქრისტეს ქადაგება მთაზე, გვ. 106, 107).

---

5 თებერვალი

სწორი და ჭეშმარიტი

მე, უფალი, არ ვიცვლები და თქვენც არ დაილევით, იაკობის ძენო (მალ. 3:6).

რაც შეეხება ღმერთის პიროვნებასა და პრეროგატივებს, სად არის და როგორია იგი, ეს არის თემა, რომლის შეხებასაც ვერ ვბედავთ. დუმილი ამ თემაზე არის მჭევრმეტყველება. ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ პირადი გამოცდილება ღმერთის შეცნობაში, ცდილობენ, მის მიმართ სხვადასხვა ვარაუდები გამოთქვან. ღმერთს რომ უკეთ იცნობდნენ, მაშინ ნაკლებს ილაპარაკებდნენ იმაზე, თუ რას წარმოადგენს იგი. მას, ვინც თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ინარჩუნებს მჭიდრო ურთიერთობას ღმერთთან და გააჩნია მისი პირადი იდუმალი შემეცნება, განსაკუთრებით ღრმად ესმის, რომ ადამიანისთვის ყველაზე სწორია, თუ არ შეეცდება, განმარტოს შემოქმედი...

ღმერთი მუდამ არის. იგია დიდებული - მე ვარ. მეფსალმუნე იძახის: “ვიდრე მთები დაიბადებოდნენ და შექმნიდი დედამიწასა და სამყაროს, და უკუნითი უკუნისამდე შენა ხარ ღმერთი” (ფსალმ. 89:2). იგი არის უდიდესი და უმაღლესი მთელ სამყაროსა და მარადისობაში. “მე, უფალი, არ ვიცვლები”, - აცხადებს ის. მას არ გააჩნია მერყეობა და ცვლილების ჩრდილი. ის “იგივეა გუშინ და დღეს და უკუნისამდეც” (ებრ. 13:8). იგი უსასრულო და მარადმყოფელია. ჩვენი არც ერთი სიტყვა არ გამოდგება მისი დიდებულებისა და ძლიერების გამოსახატავად (სამედიცინო მსახურება, გვ. 92).

დედამიწის უგუნურებისა და სასოწარკვეთილების ზემოთ ზის იგი თავის ტახტზე; ყველაფერი გახსნილია ღვთიური თვალისთვის, და თავისი დიადი და უშფოთველი მარადისობიდან იძლევა ისეთ ბრძანებებს, რომლებსაც მისი განჭვრეტა საუკეთესოდ თვლის (განკურნების მსახურება, გვ. 417).

ღმერთის გეგმაში არ შედის ანგარიში თავისი გზებისა და საქმეების შესახებ. მისი მიზნები ახლა დაფარულია მისი დიდებისთვის; მაგრამ ისინი თანდათან გაიხსნება თავიანთ ჭეშმარიტ მნიშვნელობაში. თუმცა კი მას არ დაუმალავს თავისი დიდი სიყვარული, რომელიც საფუძვლად უდევს მის ყველა ურთიერთობას თავის შვილებთან (გამოსყიდვა, ანუ ქრისტეს სწავლებანი, #4, გვ. 101).

ცისარტყელა ტახტის გარშემო არის დადასტურება იმისა, რომ ღმერთი ჭეშმარიტია... ჩვენ შევცოდეთ მის წინაშე და არ ვიმსახურებთ მის წყალობას; და მაინც თვითონ ათქმევინებს ჩვენს ბაგეებს ლოცვას: “ნუ უარგვყოფ შენი სახელის გულისათვის, ნუ შეარცხვენ ტახტს შენი დიდებისა, გაიხსენე და ნუ დაარღვევ შენს აღთქმას ჩვენთან” (იერ. 14:21). მან დაიფიცა, რომ შეისმენს ჩვენს ღაღადს, როდესაც მასთან მოვდივართ, რომ ვაღიაროთ ჩვენი უღირსობა და ცოდვა. მან თავისი ტახტის ღირსება დაიფიცა, რომ შეასრულებს თავის სიტყვას, რაც გვითხრა (მოწმობანი ელესიისთვის, ტ. 8, გვ. 23).

---

6 თებერვალი

მისი საოცარი სიყვარულის გამოხატვა

ნახეთ, როგორი სიყვარული მოგვცა მამამ, რათა გვეწოდოს და ვიყოთ ღვთის შვილნი. სოფელი იმიტომ არ გვიცნობს ჩვენ, რომ არ შეიცნო იგი (1იოან. 3:1).

სიყვარული წარმოადგენს პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს ღვთის მმართველობას ცაშიც და დედამიწაზეც, და ეს სიყვარული ჩაქსოვილი უნდა იყოს ქრისტიანთა ცხოვრებაში... გული, რომელიც გრძნობს ამ წმიდა პრინციპის გავლენას, ამაღლებული იქნება იმ ყველაფერზე, რაც ეგოისტურ ბუნებას ეკუთვნის (ახალგაზრდობის დამრიგებელი, 1897 წ. 10 ივნისი).

როდესაც ვეძებთ შესაფერის ენას, რათა აღვწეროთ ღვთის სიყვარული, აღმოვაჩენთ, რომ სიტყვები მეტად უბრალოა, მეტისმეტად სუსტია, თვით ამ თემაზე ბევრად დაბლა დგას. ასე, რომ კალამს გვერდით ვდებთ და ვამბობთ: “არა, ამის აღწერა შეუძლებელია”. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია საყვარელი მოწაფის მსგავსად მოვიქცეთ და ვთქვათ: “ნახეთ, როგორი სიყვარული მოგვცა მამამ, რათა გვეწოდოს და ვიყოთ ღვთის შვილნი” (1იოან. 3:1). როცა ვცდილობთ, აღვწეროთ ეს სიყვარული, თავს ვგრძნობთ ყრმებად, რომლებიც თავიანთ პირველ სიტყვებს ტიტინებენ. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია, მდუმარედ მოვიდრიკოთ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მდუმარება ერთადერთი მჭერმეტყველებაა. ვერავითარი ენა ვერ აღწერს ამ სიყვარულს (ქრისტიანული აღზრდის პრინციპები, გვ. 179, 180).

ნათელი მამობრივი სიყვარული, რომელიც თაობიდან თაობაში ადამიანთა გულების არხით გადადიოდა, სინაზის

ყველა წყარო, ადამიანთა სულში არსებული, ჰგავს წვრილ ნაკადულს უკიდეგანო ოკეანის გვერდით, თუკი მათ შევადარებთ ღმერთის უსაზღვრო, ამოუწურავ სიყვარულს. ენას არ ძალუძს მისი გადმოცემა, კალამს არ შეუძლია მისი აღწერა. შეგიძლიათ, მასზე მთელი თქვენი სიცოცხლის განმავლობაში იფიქროთ, შეგიძლიათ, დაწვრილებით იკვლიოთ წერილები, რათა გაიგოთ ის.ზეციური მამის სიყვარულისა და თანაგრძნობის ჩასაწვდომად შეგიძლიათ, მოიშველიოთ ყველა ძალა და უნარი, რაც ღმერთმა გიბოძათ, მაგრამ ამის შემდეგაც კი უსარულო სივრცეები დარჩება თქვენს წინაშე. თქვენ შეგიძლიათ, ასწლეულობით შეისწავლიდეთ ამ სიყვარულს, და მაინც სრულად ვერ შეიცნობთ იმ ღმერთის სიყვარულის სიგრძესა და სიგანეს, სიღრმესა და სიმაღლეს, რომელმაც ჩვენი წუთისოფლის გულისთვის თავისი ძე სასიკვდილოდ გაიმეტა. თვით მარადისობაც კი ვერ გახსნის მას ბოლომდე. მაგრამ მაინც, როდესაც ვსწავლობთ ბიბლიას და ვფიქრობთ ქრისტეს ცხოვრებაზე, გამოსყიდვის გეგმაზე, ეს დიადი თემები სულ უფრო ღრმად და ფართოდ ეხსნება ჩვენს შემეცნებას (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 5, გვ. 740).

მათ. 12 სამშაბათი

7 თებერვალი

სრულყოფილია თავის ყველა გზაზე

მაშ, იყავით სრულყოფილნი, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი (მათ. 5:48).

ღვთის ყველა საქმიანობა სრულყოფილია, რადგან მთელი მისი მრავალფეროვნების მიუხედავად მასში უმცირესი ნაკლიც კი არ არის. ნამცეცა ბალახის ღეროს სიცოცხლესა და განვითარებაზე იგი ისეთივე ღრმა ზრუნვას იჩენს, თითქოს მთელი სამყაროს შექმნაზე იყოს ლაპარაკი. თუ გვინდა, რომ ვიყოთ ისეთივე სრულყოფილები, როგორიც ჩვენი ზეციური მამაა სრულყოფილი, მაშინ ერთგულები უნდა ვიყოთ ყველაზე მცირედშიც კი. ყოველი საქმე, თუკი ის კეთილია, კარგად უნდა ვაკეთოთ (უწყებები ახალგაზრდობისათვის, გვ.144, 145).

ღვთიური იდეალები ღვთის შვილთათვის ყველა ადამიანურ ამაღლებულ ზრახვებზე მაღალია... გამოსყიდვის გეგმა ითვალისწინებს ჩვენს სრულ გამოხსნას სატანის ძალაუფლებისაგან. ქრისტე ყველა შემთხვევაში იცავს მონანიე ადამიანს ცოდვისაგან. იგი სატანის საქმეთა გასანადგურებლად მოვიდა და მისი თანხმობით სულიწმიდა მიეცემა ყველა მომნანიებელ სულს ცოდვისაგან დასაცავად.

არ შეიძლება, არასწორი საქციელი გამართლებული იქნას სატანის მოღვაწეობით. სატანა სიხარულით ისმენს, თუ როგორ ამართლებს, ეგრეთ წოდებული, ქრისტეს მიმდევარი თავის არასრულყოფილებას. ასეთ თავის მართლებას ცოდვისაკენ მივყავართ. ცოდვას არავითარი გამართლება არა აქვს. ღვთისმოსაური და ქრისტეს მსგავსი ცხოვრება შესაძლებელია ყოველი ღვთის შვილისათვის, რომელიც ინანიებს ცოდვებს და აქვს რწმენა

ყოველი ქრისტიანის იდეალი არის ქრისტე. როგორც “კაცის ძე” იყო სრულყოფილი თავის ცხოვრებაში, ასევე უნდა იყვნენ სრულყოფილნი მისი მიმდევრებიც. იგი მოგვიწოდებს, მისი

რწმენის მეშვეობით შევიძინოთ ღვთიური ხასიათის დიდება (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 232, 233 [ორიგ. გვ. 311, 312]).

გაწონასწორებული ხასიათი ყალიბდება ცალკეული გონივრული და კეთილი საქციელებისაგან. ერთი ფესვგადგმული ნაკლიც კი, თუკი არ არის დამარცხებული, ადამიანს არასრულყოფილს ხდის და უკეტავს წმიდა ქალაქში შესასვლელს... გამოსყიდულთა მთელ გუნდში არც ერთი ნაკლი არ იქნება.

როგორიც არ უნდა იყოს შენი საქმე, კეთილსინდისიერად აკეთე იგი... თუ ასეთნაირად აღასრულებ შენს სამუშაოს, ღმერთი კეთილად განეწყობა შენს მიმართ, და ერთხელაც ქრისტე გეტყვის: “კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ!” (მათ. 25:21). (უწყებები ახალგაზრდობისათვის, გვ. 144, 145).

ოთხშაბათი მათ. 13

8 თებერვალი

ღვთის საჩუქარი კაცობრიობას

რადგან იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა არავინ, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე (იოან. 3:16).

ღმერთს უყვარს თავისი მიწიერი შვილები და ეს სიყვარული სიკვდილზე ძლიერია. მან მოგვცა თავისი ძე და ამით მთელი ზეცის საუნჯე მოგვიძღვნა (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 9).

ამ საჩუქრის საშუალებით დღითიდღე ჩვენთან მოდის ღვთის სიკეთის ამოუწურავი ნაკადი. ყოველი ყვავილი ნატიფი შეფერილობითა და ტკბილი სურნელით ჩვენს საამებლად გვაქვს მოცემული ამ ერთადერთი საჩუქრის მეშვეობით. მზე და მთვარე მან შექმნა; არ არსებობს ცის დამამშვენებელი ისეთი ვარსკვლავი, მისი შექმნილი რომ არ იყოს. არ არსებობს ისეთი საკვები ჩვენს სუფრაზე, რომელიც მან არ გაითვალისწინა ჩვენი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ყველაფერს ქრისტეს ნიშანი ატყვია. ადამიანთან ყველაფერი ღვთის ამ მხოლოდშობილი ძის - გამოუთქმელად დიდი ძღვენის მეშვეობით მოდის. იგი მილურსმული იქნა ჯვარზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო, რომ ღვთის მუშაკებზე მრავალი წყალობა გადმოღვრილიყო (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 8, გვ. 288).

ადამიანის ბუნების მიღებით მაცხოვარი კაცობრიობას მარადიული და უწყვეტი კავშირით დაუმეგობრდა. “ღმერთმა ისე შეიყვარა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე” (იოან. 3:16). ღმერთმა ის მისცა არა მხოლოდ იმისათვის, რომ ეტვირთა ჩვენი ცოდვები და მსხვერპლად შეწირვოდა წუთისოფელს; მან იგი მისცა დაცემულ კაცობრიობას სამუდამოდ, რათა დავერწმუნებინეთ თავისი მშვიდობის აღთქმაში. ღმერთმა გამოგზავნა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა იგი მიწიერი ოჯახის ერთ-ერთი წევრი გამხდარიყო და საუკუნოდ შეენარჩუნებინა თავისი ადამიანური სახე. ეს იმის საწინდარია, რომ უფალი შეასრულებს თავის სიტყვას. “რადგან შეგვეძინა შვილი, მოგვეცა ძე და უფლობა იყო მის ბეჭებზე” (ეს. 9:6). ღმერთმა თავის შვილში მიიღო ადამიანის ბუნება და ზეცაში აღამაღლა იგი... ზეცა დაფარულია კაცობრიობაში, ხოლო იგი, თავის მხრივ,

უსასრულო სიყვარულის წიაღშია გახვეული (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 12 [ორიგ. გვ. 25, 26]).

ქრისტემ გადაიტანა შეუდარებელი დამცირება, რათა ღვთის ტახტთან თავის ამაღლებაში შეძლებოდა, აემაღლებინა თავისი მორწმუნეები და მიეცა საშუალება, რომ მასთან ერთად დამსხდარიყვნენ ღვთის ტახტზე (ქრისტიანული აღზრდის პრინციპები, გვ. 179).

მათ. 14 ხუთშაბათი

9 თებერვალი

მარადიული

ახლა კი შენ განმადიდე, მამაო, იმავე დიდებით, რაც მქონდა შენთან სოფლის გაჩენამდე (იოან. 17:5).

ქვეყნიერების შექმნამდე ქრისტე ერთი იყო მამასთან... ეს შუქი ანათებს სიბნელეში, როცა ავლენს ღვთიურ, თავდაპირველ დიდებას (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1126. ე. უაითის კომენტარი).

ქრისტე არის მარადიული, თვითმყოფი ძე ღვთისა... თავის მარადიულ არსებობაზე ლაპარაკისას ქრისტეს უკან, საუკუნეების მიღმა გადავყავართ გონებით. იგი ამტკიცებს, რომ არ ყოფილა ისეთი დრო, როდესაც იგი მარადიულ ღმერთთან მჭიდრო ერთობაში არ იყო...

მისი ღვთიური სიცოცხლის ხანგრძლივობა ადამიანურ გაზომვას არ ექვემდებარება. ქრისტეს არსებობა მის

განკაცებამდე მათემატიკურად ვერ გამოიხატება (ევანგელიზმი, გვ. 615, 616).

ქრისტე, არსებითად, უმაღლესი გაგებით, იყო ღმერთი. იგი მარადიულად იყო ღმერთთან, იყო ყველაფრის ღმერთი, კურთხეული უკუნითი უკუნისამდე. უფალი იესო ქრისტე, ღმერთის ღვთიური ძე, უკუნისიდან არსებობდა, როგორც ცალკე პიროვნება და იმავდროულად ერთი მთლიანობა იყო მამასთან. მასზე დავანებული იყო ზეცის განსაკუთრებული დიდება. იგი იყო გონიერ ზეციურ არსებათა მბრძანებელი და უფლება ჰქონდა, მოწიწებული პატივი მიეღო ანგელოზებისაგან (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1126. ე. უაითის კომენტარი).

იგი იყო უსასრულო და ყოვლისშემძლე ღმერთის ტოლი (ევანგელიზმი, გვ. 615).

მაგრამ მან თავი დაიმდაბლა და მიიღო მოკვდავი ადამიანის სხეული. როგორც ადამიანთა ოჯახის წევრი, იგი მოკვდავი იყო, მაგრამ როგორც ღმერთი, იგი სიცოცხლის წყარო იყო წუთისოფლისთვის. მას, როგორც ღვთიურ პიროვნებას, შეეძლო წინ აღდგომოდა მოახლოებულ სიკვდილს და უარი ეთქვა მისი ძალაუფლებისადმი მორჩილებაზე; მაგრამ მან ნებაყოფლობით გაიღო თავისი სიცოცხლე, ვინაიდან მხოლოდ ასე მოქცევით შეეძლო სიცოცხლის ბოძება და უკვდავების გამოცხადება. მან იტვირთა წუთისოფლის ცოდვები და მიიღო სასჯელი, რომელიც ქვის ლოდივით დაეცა მის ღვთიურ სულს. მან საკუთარი სიცოცხლე გაწირა, რათა ადამიანი საუკუნო სიკვდილით არ მომკვდარიყო. იგი იმიტომ კი არ მოკვდა, რომ

ამას აიძულებდნენ, არამედ საკუთარი ნებით (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1127. ე. უაითის კომენტარი).

და ეს შესანიშნავი საიდუმლო - ქრისტეს განკაცება და მის მიერ აღსრულებული გამოსყიდვა - უნდა ეუწყოს ადამის ყოველ ძესა და ყოველ ასულს (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1082. ე. უაითის კომენტარი).

პარასკევი 18:22 მათ. 15

10 თებერვალი

“მე ვარ, რომელიც ვარ”

და უთხრა ღმერთმა მოსეს: “მე ვარ, რომელიც ვარ”. და თქვა: “ასე უთხარი ისრაელის ძეთ - მე ვარმა მომავლინა-თქო თქვენთან” (გამოს. 3:14).

ქრისტეში იყო სიცოცხლე - დასაბამიდან მასში მყოფი და ჭეშმარიტი. “ვისაც ძე ჰყავს, აქვს სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია” (იოან. 5:12). ქრისტეს ღვთიურობა საუკუნო სიცოცხლის გარანტიაა ყოველი მორწმუნისათვის (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 411 [ორიგ. გვ. 530]).

ყოველგვარი ურთიერთობა ზეცასა და დაცემულ კაცობრიობას შორის ქრისტეს მეშვეობით ხორციელდებოდა. სწორედ ღვთის ძემ აღუთქვა ჩვენს წინაპრებს გამოსყიდვა. სწორედ იგი ეჩვენებოდა პატრიარქებს. ადამი... ჩასწვდა სახარების არსს...

სანამ დედამიწას ადამიანის სახით მოევლინებოდა, ქრისტე უკვე იყო თავისი ხალხისა და წუთისოფლის ნათელი. სწორედ

ქრისტესგან გამოვიდა პირველი სხივი, რომელმაც გაარღვია ცოდვის წყვდიადი. ყოველი ზეციური სხივი დედამიწის მკვიდრთათვის მისგან მოდის. გადარჩენის გეგმაში ქრისტე არის ანი და ჰოე - პირველი და უკანასკნელი (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 223, 224 [ორიგ. გვ. 366, 367]).

სწორედ ქრისტემ უთხრა მოსეს ცეცხლმოდებული ბუჩქიდან ხორების მთაზე: “მე ვარ, რომელიც ვარ... ასე უპასუხე ისრაელიანებს: მე ვარმა გამომგზავნა-თქო თქვენთან” (გამოს. 3:14). ეს იყო აღთქმა ისრაელის გადარჩენის შესახებ. ამიტომ, როდესაც იგი “გამოჩნდა ხორცში” ადამიანის სახით, თავის თავს ჭეშმარიტი უწოდა (მე ვარ). ბეთლემის შვილი, უტყვი და მორჩილი მაცხოვარი არის სწორედ ის ღმერთი, რომელიც “გამოჩნდა ხორცში” (1ტიმ. 3:16) (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 11 [ორიგ. გვ. 24]).

ეს პატარა, უსუსური ბავშვი იყო ის აღთქმული თესლი, რომელზედაც ედემის შესასვლელთან მდგარი პირველი სამსხვერპლო მიუთითებდა. ეს იყო მაცხოვარი... სწორედ მის მოსვლას ჭვრეტდნენ წინასწარმეტყველნი. იგი იყო ყველა ხალხის სურვილი, დავითის ფესვი და შთამომავალი, ცისკრის ვარსკვლავი (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 30 [ორიგ. გვ. 52]).

იგი გვეუბნება: “მე ვარ მწყემსი კეთილი”; “მე ცოცხალი პური ვარ!; “მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე”... იგი არის აღთქმის აღსრულების საწინდარი. “მე ვარ, ნუ გეშინია”. ჩვენთან არს ღმერთი!, - ეს არის ცოდვისაგან ჩვენი გათავისუფლების საწინდარი (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 11 [ორიგ. გვ. 24, 25]).

მათ. 16 შაბათი

11 თებერვალი

შემოქმედის განკაცება

უცილობლად დიდია ღვთისმოსაობის საიდუმლო: ღმერთი გამოჩნდა ხორცში, გამართლებულ იქნა სულში, დანახულ იქნა ანგელოზების მიერ, ნაქადაგები იქნა წარმართებში, მიღებულ იქნა სოფელში რწმენით და ამაღლდა დიდებაში (1ტიმ. 3:16).

ქრისტეს განკაცება ყველა საიდუმლოს საიდუმლოა (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ.1082. ე. უაითის კომენტარი).

ქრისტე ერთი იყო მამასთან, მაგრამ... მზად იყო, დაეტოვებინა ღმერთის თანასწორი ის მაღალი მდგომარეობა (დროის ნიშნები, 1895 წ. 4 ივლისი).

იმისათვის, რომ განეხორციელებინა თავისი მიზანი, გამოწვეული დაცემული კაცობრიობისადმი სიყვარულით, იგი გახდა ჩვენი ძვალი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი (დროის ნიშნები, 1902 წ. 24 სექტემბერი).

რა საოცარი კონტრასტია ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებასა და იმ უსუსურ ახალშობილს შორის, რომელიც ბეთლემის ბაგაში იწვა! როგორ გადავლახავთ მანძილს ყოვლისშემძლე ღმერთსა და ჩვილ ბავშვს შორის? მაგრამ მაინც, სამყაროთა შემოქმედი, ის, ვისშიც ხორციელად მკვიდრობდა ღვთაების მთელი სისავსე, ჩვენ გამოგვეცხადა ბაგაში მწოლარე ახალშობილი ყრმის სახით. ის, ვისაც ეკავა ნებისმიერ ანგელოზზე უფრო მაღალი

მდგომარეობა, ღირსებასა და დიდებაში იყო მამის თანასწორი, ადამიანის ბუნებით შეიმოსა! ღვთიური და ადამიანური ბუნება საიდუმლო სახით შეერთდა; ადამიანი და ღმერთი ერთი მთლიანი გახდა (მდა ბიბიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1130. ე. უაითის კომენტარი).

უფლის ძისათვის განკაცება უდიდესი დამცირება იყო მაშინაც კი, როდესაც ადამი ჯერ კიდევ უცოდველად ცხოვრობდა ედემში. მაგრამ იესო ხომ მაშინ განკაცდა, როდესაც კაცობრიობა ოთხიათასწლიანი ცოდვით იყო დამძიმებული. ნებისმიერი ადამის ძის მსგავსად, ისიც მემკვიდრეობითი კანონის მოქმედების ქვეშ მოექცა. თუ როგორ ვლინდება კანონი, კარგად ჩანს მის მიწიერ წინაპართა ისტორიაში. და ასეთი მემკვიდრეობით მოვიდა იგი ჩვენი ჭირ-ვარამისა და ცდუნების გასაზიარებლად და თავისი უცოდველი ცხოვრების მაგალითის საჩვენებლად (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 27 [ორიგ. გვ. 49]).

ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ ქრისტეს არ ჰქონდა ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა, ვერ იჯერებენ, რომ მან ნამდვილად მიიღო ადამიანის ბუნება. განა ქრისტეს არ აცდუნებდა სატანა გამუდმებით, არა მარტო უდაბნოში, არამედ მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში? (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 7, გვ. 292. ე. უაითის კომენტარი).

ჩვენმა მაცხოვარმა მიიღო ადამიანის თავისი სრული ფიზიკური არასრულყოფილებით. იგი გახდა ადამიანი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცდუნებისადმი აყოლა. ჩვენ არ გვემუქრება ისეთი გამოცდა, რომელსაც მან ვერ გაუძლო (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 76 [ორიგ. გვ. 117]).

კვირა მათ. 17

12 თებერვალი

მისი უნაკლო ცხოვრება

ბევრს აღარ ვილაპარაკებ თქვენთან, რადგან სოფლის მთავარი მოდის და მას ჩემში არაფერი ეკუთვნის (იოან. 14:30).

ჩვენ მცირედი ეჭვიც კი არ უნდა გვეპარებოდეს ქრისტეს ადამიანური ბუნების სრულყოფილ უცოდველობაში (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1131. ე. უაითის კომენტარი).

იგი არის ძმა ჩვენს უძლურებაში და არა ჩვენს ვნებებში. იგი, უცოდველი, თავს არიდებდა ყოველგვარ ბოროტებას, ვინაიდან ბოროტება ეზიზღებოდა. ამ ცოდვიან წუთისოფელში იგი მტანჯველ ბრძოლასა და აუტანელ აგონიას განიცდიდა. მისი ადამიანური ბუნება ლოცვას აქცევდა არსობის მოთხოვნილებად და უპირატესობად (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 2, გვ. 202).

მას შეეძლო შეეცოდა. მას შეეძლო დაცემულიყო. მაგრამ წამითაც კი არ გადახრილა ბოროტებისკენ (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1128. ე. უაითის კომენტარი).

ქრისტემ მიიღო ადამიანის ბუნება ისეთი, როგორიც ის გახდა ადამის ცოდვით დაცემის შემდეგ და ოდნავადაც არ იყო მის ცოდვაში ჩარეული, მას თავს დაატყდა ის უძლურებები და სისუსტე, რომლებიც ადამიანსაც გარემოიცავს... იგი ეხებოდა და გრძნობდა ჩვენს უძლურებებს და ჩვენნაირად გამოიცადა ყველაფერში. და მან მაინც “არ შესცოდა”. იგი იყო კრავი

“ლაქებისა და ნაკლის გარეშე”. სატანას რომ შეძლებოდა ქრისტეს თუნდაც ოდნავ გადახრა ცოდვისკენ, მაშინ ის მაცხოვარს თავში განგმირავდა. მაგრამ სინამდვილეში ის მხოლოდ ქრისტეს ქუსლს შეეხო. ის რომ თავს შეხებოდა, მაშინ კაცობრიობას იმედი გაუქრებოდა. ქრისტეს თავს დაატყდებოდა ღვთის რისხვა, როგორც ერთ დროს ადამს. ქრისტეს და ეკლესიას იმედი აღარ ექნებოდათ (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1131. ე. უაითის კომენტარი).

ქრისტემ ერთი აზრიც კი არ დაუთმო ცდუნების ძალას... ქრისტემ თავის შესახებ გამოაცხადა: “რადგან სოფლის მთავარი მოდის და მას ჩემში არაფერი ეკუთვნის”.

იესო ადამიანთა მტერს ნებას არ აძლევდა, რომ იგი ურწმუნოების ჭაობში ან სასოწარკვეთილებისა და გამოუვალი მდგომარეობის უფსკრულში ჩაეთრია...

ქრისტეს ადამიანური ბუნება შეერთებული იყო ღვთაებრივთან, და ამ ძალით მან გადაიტანა ყველა ცდუნება, რომლებითაც სატანა უტევდა, და თავისი სული ცოდვით დაულაქავებელი შენარჩუნა. და ამ ძალას იგი გამარჯვებისთვის მისცემს ადამის ყოველ ძესა და ყოველ ასულს, ვინც მისი ხასიათის მართალ თვისებებს რწმენით მიიღებს (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 7, გვ. 929. ე. უაითის კომენტარი).

მათ. 18 ორშაბათი

13 თებერვალი

ის მოკვდა ჩვენთვის

მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით (რომ. 5:8).

წმიდა წერილების გამოკვლევის დროს ჩვენ მხედველობიდან არასდროს უნდა გამოგვრჩეს მთავარი ჭეშმარიტება - ჯვარცმული ქრისტე. ყოველი სხვა ჭეშმარიტება ძალასა და გავლენას იძენს იმის მიხედვით, თუ როგორ შეესაბამება იგი ამ თემას... ცოდვით დადამბლავებულ სულს შეუძლია სიცოცხლე შეიძინოს მხოლოდ იმ საქმის საშუალებით, რომელიც ჩვენი გადარჩენის ავტორმა ჯვარზე აღასრულა (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1084. ე. უაითის კომენტარი).

როდესაც ქრისტემ თავი დახარა და განისვენა, სატანის სამეფოს ბურჯები დაანგრია. მან გაიმარჯვა სატანაზე (იქვე, ტ. 5, გვ. 1108).

ქრისტეს მიუსაჯეს ჯვარცმა, თუმცა ზეციურ კრებულს შეეძლო მისი დახსნა. ანდელოზები ქრისტესთან ერთად იტანჯებოდნენ. თავად ღმერთი იქნა ჯვარცმული ქრისტესთან ერთად, რადგანაც ქრისტე და მამა ერთნი იყვნენ. ქრისტეს უარმყოფელთ, რომლებსაც არ სურთ, რომ ქრისტე მეფობდეს მათზე, ურჩევნიათ, იყვნენ სატანის ბატონობის ქვეშ, რომ აკეთონ მისი საქმეები, როგორც მისმა მონებმა. თუმცაღა ქრისტემ მათი გულისთვისაც გაიღო სიცოცხლე გოლგოთაზე (იქვე).

ის, ვინც წუთისოფლის ცოდვებისთვის მოკვდა, განსაზღვრული დრო სამარხში უნდა ყოფილიყო დასვენებული.

ამ ქვის საპატიმროში ის ღვთიური მართლმსაჯულების ტუსაღი იყო და პასუხს აგებდა სამყაროს მსაჯულის წინაშე. წუთისოფლის ცოდვები ქრისტეს დაეკისრა და მხოლოდ მამა ღმერთს შეეძლო მისი გათავისუფლება (იქვე, გვ. 1114).

მან თავისი თავი ჩვენს ინტერესებთან გააიგივა, თავისი მკერდი სასიკვდილო დარტყმას მიუშვირა, თავის თავზე აიღო ადამიანის ცოდვები და მისი სასჯელი, და სრულყოფილი მსხვერპლი შესწირა ღმერთს ადამიანის გულისთვის. ამ გამოსყიდვის წყალობით მას აქვს ხელმწიფება, ადამიანს შესთავაზოს სრული სამართლიანობა და მთლიანი გადარჩენა. ყოველი, ვისაც იგი სწამს, როგორც პირადი მხსნელი, არ დაიღუპება, არამედ ექნება საუკუნო სიცოცხლე (იქვე, ტ. 7, გვ. 925).

ადამიანის გამოსყიდვის ფასი გადახდილი იქნა და ყველაფერი, რაც მას აქვს, მთელი მისი ბუნება ნაპკურები უნდა იყოს ქრისტეს სისხლით და მიძღვნილი ღმერთისადმი; ვინაიდან იგი ღმერთს ეკუთვნის (დროის ნიშნები, 1900 წ. 1 აგვისტო).

სამშაბათი მათ. 19

14 თებერვალი

ქრისტეს აღდგომა და ახალი სიცოცხლე

ქურდი მხოლოდ იმისათვის მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს. მე იმისთვის მოვედი, რომ სიცოცხლე ჰქონდეთ მათ და უხვად ჰქონდეთ (იოან. 10:10).

იესოს აღდგომა ყველა მონანიებული ცოდვილის მკვდრეთით აღდგომის პირველსახეა (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 631 [ორიგ. გვ. 804]).

ის, ვინც თქვა: “მე ჩემს სიცოცხლეს ვდებ, რათა კვლავ მივიღო იგი”, საფლავიდან აღდგა იმ სიცოცხლისთვის, რომელიც მასში იყო. მოკვდა ადამიანური ბუნება და არა ღვთიური. თავისი ღვთიურობით ქრისტეს ჰქონდა ძალა, რომ დაემსხვრია სიკვდილის ბორკილები. ის ამბობს, რომ თავის თავში აქვს სიცოცხლე, რათა მკვდრეთით აღადგინოს ის, ვინც სურს...

იგი არის ყოველი სიცოცხლის წყარო. მხოლოდ მას, ვისაც ერთადერთს გააჩნია უკვდავება, ვინც მკვიდრობს ნათელში და სიცოცხლეში, შეეძლო ეთქვა: “მე მაქვს ხელმწიფება მის დასადებად და მაქვს ხელმწიფება კვლავაც მის მისაღებად”...

ქრისტეს ჰქონდა უფლება, მიენიჭებინა უკვდავება. სიცოცხლე, რომელიც მან კაცობრიობისთვის გაწირა, ისევ მიიღო და იგი კაცობრიობას მიუძღვნა. “მე მოვედი, - ამბობს ის, - რომ სიცოცხლე ჰქონდეთ მათ და უხვად ჰქონდეთ” (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1113, 1114. ე. უაითის კომენტარი).

ქრისტე არის თვით სიცოცხლე. ის, ვინც გადაიტანა სიკვდილი, რათა სიკვდილის არსებული ხელისუფლება გაენადგურებინა, ყოველგვარი სასიცოცხლო ძალის წყაროა. იგი გალაადის მალამო და უდიდესი მკურნალია. ქრისტემ დაითმინა მოწამებრივი სიკვდილი ყველაზე დამამცირებელ ვითარებაში, რათა ჩვენ გვქონოდა სიცოცხლე. მან თავისი ძვირფასი სიცოცხლე გაიღო სიკვდილზე გამარჯვების გულისთვის. მაგრამ იგი აღდგა საფლავიდან და გუნდი ანგელოზებისა, რომლებიც მოვიდნენ იმის სანახავად, ვინც მიიღო მიცემული

სიცოცხლე, ისმენდა მის საზეიმო სიხარულის სიტყვებს, როდესაც იგი იოსების სამარხიდან აღდგა და გამოაცხადა: “მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე” (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 6, გვ. 230).

ჩვენი უფლის აღდგომა და ამაღლება არის დამაჯერებელი მოწმობა ღვთის წმიდათა ტრიუმფისა სიკვდილსა და საფლავზე, აგრეთვე საწინდარი იმისა, რომ ზეცა გახსნილია მათთვის, ვინც თავიანთი ხასიათის სამოსელი გაწმინდეს და გაასუფთავეს კრავის სისხლით. იესო მამასთან ამაღლდა, როგორც ადამიანთა რასის წარმომადგენელი. ღმერთი ყველას, ვინც მის სახეს ირეკლავს, ნებას მისცემს, უმზიროს ღვთის დიდებას და იგემოს იგი (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 9, გვ. 286).

მათ. 20 ოთხშაბათი

15 თებერვალი

ღვთაების მესამე პიროვნება

მადლი უფლისა იესო ქრისტესი, სიყვარული ღვთისა და თანაზიარება სულიწმიდისა იყოს ყველასთან თქვენთან (2კორ. 13:13).

საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ სულიწმიდა ისეთივე პიროვნებაა, როგორიც ღმერთია...

სულიწმიდა არის პიროვნება, თორემ ის ვერ დაუმოწმებდა ჩვენს სულს, რომ ჩვენ ღვთის შვილები ვართ. სულიწმიდა სწორედ ღვთაებრივი პიროვნება უნდა იყოს, თორემ არ

ეცოდინებოდა ღმერთის გონებაში დაფარული საიდუმლოებები (ევანგელიზმი, გვ. 616, 617).

სულიწმიდა არის თავისუფალი, შემოქმედებითი, დამოუკიდებელი პიროვნება. ზეციური ღმერთი თავის სულს ისე იყენებს, როგორც სურს; ადამიანის გონება, განსჯა და მეთოდები ისევე უძლურია დაადგინოს მისი საქმიანობისთვის საზღვრები, როგორც უუნაროა, ქარს უთხრას: "გიბრძანებ, გარკვეული მიმართულებით იქროლო და მოიქცე ასე ან ისე" (დროის ნიშნები, 1910 წ. 8 მარტი).

დასაბამიდან ღმერთი სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც რჩეულ ადამიანებს აღძრავდა, თავის ზრახვებს განახორციელებდა დაცემული კაცობრიობის სასიკეთოდ. პატრიარქების ცხოვრებაში ეს სული ვლინდებოდა... ზუსტად იგივე ძალა, რომელიც ამხნევებდა პატრიარქებს, რომელიც ქალებსა და იესო ნავეს ძეს რწმენითა და სიმამაცით მოსავდა, რომელიც სამოციქულო ეკლესიის მუშაობას ქმედითსა და პროდუქტიულს ხდიდა, ღვთის ერთგულ შვილებს განამტკიცებდა ყველა მომდევნო საუკუნეში (მოციქულთა საქმეები, გვ. 53).

სულიწმიდა არის უდიდესი იმ ძღვენთაგან, რომელიც იესომ სთხოვა მამას თავისი ხალხის ზნეობრივი ამაღლებისათვის. სულის მოქმედებას ადამიანის განახლება უნდა გამოეწვია, ვინაიდან ამის გარეშე ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლი ამაო იქნებოდა. ბოროტების გავლენა თანდათან უფრო ძლიერდება საუკუნეთა განმავლობაში და ადამიანებიც გასაოცარი მზადყოფნით ემორჩილებიან და ემსახურებიან სატანას. ცოდვასთან ბრძოლა მხოლოდ წმიდა სამების მესამე

პიროვნების - სულიწმიდის მეშვეობითაა შესაძლებელი, რომელიც ვლინდება არა სახეშეცვლილი ენერგიის სახით, არამედ ღვთიური ძალის მთელი სისავსით, რომელიც განწმედს და გარდაქმნის ადამიანის გულს (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 529 [ორიგ. გვ. 671]).

სულიწმიდა არის ქმედითი დამხმარე ადამიანის სულში ღვთის ხატების აღდგენის საქმეში (რჩევები მშობლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, გვ. 67).

ხუთშაბათი მათ. 21

16 თებერვალი

ღვთის ძღვენი თქვენთვის

ხოლო პეტრემ უთხრა მათ: “მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს” (საქმ. 2:38).

ქრისტემ თავის ეკლესიას აღუთქვა სულიწმიდის ძღვენი და ეს აღთქმა არა მხოლოდ მის პირველ მოწაფეებს, არამედ ჩვენც გვეხება (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 530 [ორიგ. გვ. 672]).

ჩვენ სულიწმიდის გადმოსვლაზე ისევე გულწრფელად უნდა ვილოცოთ, როგორც მოწაფეები ლოცულობდნენ ორმოცდაათობის დღეს. თუ მათ ეს სჭირდებოდათ იმ დროს, მით უფრო გვჭირდება დღეს ჩვენ (რევიუ ენდ გერალდი, 1896 წ. 25 აგვისტო).

სულიწმიდას მივიღებთ ჩვენი რწმენისა და სურვილის შესაბამისად, რათა იგი გამოვიყენოთ იმ სინათლისა და ცოდნის გავრცელებაში, რომლებიც მოგვეცა (რევიუ ენდ გერალდი, 1896 წ. 5 მაისი).

ბევრს სჯერა უფლის აღთქმისა და ხმამაღლა აცხადებს, რომ იგი მას ეკუთვნის. ისინი ქადაგებენ ქრისტესა და სულიწმიდის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ, ვინაიდან არ ხელმძღვანელობენ ღვთის ძალით. ჩვენ ვერ გამოვიყენებთ ღვთის სულს, არამედ მან უნდა გამოგვიყენოს ჩვენ. სულიწმიდის მიერ "ღმერთი იქმს ჩვენში სურვილსაც და მოქმედებასაც თავისი სათნოებით" (ფილ. 2:13). მაგრამ ბევრს არ სურს დაემორჩილოს მას, არამედ თვითმმართველობას ირჩევს. აი, რატომ არ ღებულობენ ისინი ამ ზეციურ ძღვენს, მის მადლსა და ხელმძღვანელობას. ადამიანებმა მორჩილებით უნდა ითხოვონ ღვთის ძალა და მიიღებენ კიდეც. ამ რწმენით მიღებულ აღთქმულ კურთხევას თან სხვა კურთხევაც მოაქვს. იგი ეძლევა ადამიანს უფლის მადლის უსასრულო საგანძურიდან და ქრისტე მზად არის გაიღოს ყოველი ადამიანისთვის იმის მიხედვით, თუ ვის რამდენის მიღება შეუძლია (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 530 [ორიგ. გვ. 672]).

როდესაც გულში სულიწმიდაა დამკვიდრებული, იგი ადამიანს აჩვენებს მისი ხასიათის ნაკლოვანებებს, ასწავლის თანაგრძნობის გამოჩენას გარშემომყოფთა სისუსტეების მიმართ და მიტევებას ისე, როგორც თავად ისურვებდა, რომ მას მიუტევებდნენ. ასეთი ადამიანი იქნება თანამგრძნობელი, წინდახედული და ქრისტეს მსგავსი (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 2, გვ. 1038. ე. უაითის კომენტარი).

სულიწმიდას მოაქვს სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, ძალა და ნუგეში; იგი ჰგავს წყლის წყაროს, რომელიც საუკუნო სიცოცხლეში მიედინება. ეს კურთხევა ხელმისაწვდომია ყველასთვის (დროის ნიშნები, 1892 წ. 22 აგვისტო).

მათ. 22 პარასკევი 18:30

17 თებერვალი

იდუმალი და ნაზი სუფევა

ქარი ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი (იოან. 3:8).

ჩვენთვის მიუწვდომელია ღვთის დიდებულება, “ცაშია უფლის ტახტი” (ფსალმ. 10:4), და სულიწმიდით ის მაინც ყველგან არის. მან იცის ყველაფერი დაფარული და პირადად ინტერესდება იმ ყველაფრის ცხოვრებით, რაც მისმა ხელებმა შექმნა...

სწორედ შემოქმედმა... შექმნა ადამიანი, რომელიც მიისწრაფის ცოდნისკენ და სწყურია სიყვარული. იგი გაუზიარებელს არ დატოვებს ჩვენი დაუკმაყოფილებელი სულის მოთხოვნებს. ვერც მოჩვენებითი პრინციპები, ვერც რეალობა, ვერც აბსტრაქტული ოცნებები ვერ დააკმაყოფილებს მამაკაცებისა და ქალების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს ცოდვასთან, მწუხარებასა და ტკივილთან ბრძოლისას ამ წუთისოფელში. საკმარისი არაა გწამდეს რჯული და ძალა - ის, რასაც არ გააჩნია

სიბრალული და არასოდეს ესმის ძახილი საშველად. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყოთ დარწმუნებულნი მარადიულ მეგობარში, რომელსაც ვეცოდებით, ყოვლისშემძლე ხელში, რომელიც გაგვამხნევებს. ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ ხელს, რომლისგანაც მოდის სითბო, მივენდოთ გულს, სინაზით აღსავსეს. და ღმერთმაც ასეთად გამოაცხადა თავი თავის სიტყვაში (აღზრდა, გვ. 132, 133).

სულიერი უნდა სულიერით შევიცნოთ. ხორციელი გონება ვერ ჩაწვდება ღვთიურ საიდუმლოებებს... ამჟამინდელი სიბრძნის მქონენი ცდილობენ, რომ მეცნიერული თვალსაზრისით ახსნან ღვთის სულის ზემოქმედება გულზე. ამ მიმართულებით უმცირეს წინსვლას სული მიჰყავს სკეპტიციზმის ლაბირინთებში. ბიბლიური რელიგია - ესაა ღვთისმოსაობის საიდუმლო; არც ერთ ადამიანურ გონებას არ შეუძლია, მთლიანად გააცნობიეროს იგი, და სრულიად მიუწვდომელია განუახლებელი გულისთვის (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 4, გვ. 585).

სულიწმიდის ბუნება რჩება საიდუმლოდ, რომელსაც ჩვენ ვერ ჩავწვდებით, რადგან უფალმა არ გაგვიხსნა იგი. მდიდარი წარმოსახვის ადამიანებს შეუძლიათ გამოძებნონ წმიდა წერილის მუხლები, მოიგონონ საკუთარი განმარტებები, მაგრამ ეს ეკლესიას ვერ განამტკიცებს. ეს საიდუმლოებები მეტად ღრმაა ადამიანის შემეცნებისთვის, და აქ დუმილი - ოქროა (მოციქულთა საქმეები, გვ. 52).

---

18 თებერვალი

გამოსყიდვის მონაწილე

ხოლო სასოება არ არის შემარცხვენელი, ვინაიდან ღვთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მოგვეცა ჩვენ (რომ. 5:5).

ადამიანის გული თავისი ბუნებით ცოდვილია. “ვინ შექმნის წმიდას უწმიდურისაგან? არავინ” (იობ. 14:4).ადამიანები ვერასოდეს გამოიგონებენ ცოდვისაგან განწმედის წამალს... ზრახვათა სიწმიდისათვის თვით გულის განწმედაა საჭირო. ის, ვინც სასუფეველში შესვლას იმედოვნებს რჯულის აღსრულებით, შეუძლებელს ცდილობს. ის, ვინც აღიარებს რჯულისმიერ რელიგიას და გარეგნულ ღვთისმოსაობაზე ზრუნავს, უშიშრად ვერ იგრძნობს თავს. ქრისტიანის ცხოვრება არ არის ძველის გარდაქმნა ან გაუმჯობესება; ახლებურად ცხოვრება შეუძლებელია საკუთარი “მე”-სა და დანაშაულებრივ ზრახვათა მოკვდინების გარეშე. ხოლო ეს ცვლილება მხოლოდ სულიწმიდის ზეგავლენითაა შესაძლებელი (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 118, 119 [ორიგ. გვ. 172]).

სული მოქმედს ხდის ყოველივეს, რაც კაცობრიობის გამომსყიდველმა გააკეთა. სულიწმიდის მეშვეობით მორწმუნე ღვთიური არსის მოზიარე ხდება. ქრისტემ გვიბოძა თავისი სული, როგორც ღვთიური ძალა, რათა დავამარცხოთ მემკვიდრეობით მიღებული თუ შეძენილი მიდრეკილება ცოდვისაკენ. ამგვარად უკვდავყო მან საკუთარი თავი თავის

ეკლესიაში (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 529 [ორიგ. გვ. 671]).

ღვთის სულის მოქმედება ადამიანის გულზე შედარებულია ქარის ქროლვასთან. ქარს ვერ ვხედავთ, მაგრამ ვგრძნობთ მის არსებობას. ის გარდამქმნელი ძალა, რომელსაც ადამიანი თვალით ვერ ხედავს, ახალი სიცოცხლის დასაწყისია. ის ქმნის ახალ, ღმერთის მსგავს ადამიანს (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 28).

თავქარიანები და უზრუნველები სერიოზულები ხდებიან, სასტიკნი თავიანთ ცოდვებს ინანიებენ, ხოლო ურწმუნოები რწმენას იძენენ. მოთამაშეები, ლოთები, გარყვნილები იწყებენ გაწონასწორებულ, ფხიზელ და წესიერ ცხოვრებას. ღმერთის ჯიუტი მოწინააღმდეგენი სათნო ქრისტიანებად გადაიქცევიან. ადამიანთა ხასიათში მსგავსი ცვლილებების დანახვისას ვრწმუნდებით, რომ ღვთის გარდამქმნელი ძალა მთელ ადამიანს სრულად ცვლის (ევანგელიზმი, გვ. 288).

ისინი, ვინც ქრისტეს უბრალო ბავშვური რწმენით უმზერენ, სულიწმიდის დახმარებით გახდნენ ღვთიური ბუნების თანაზიარნი (რევიუ ენდ გერალდი, 1892 წ. 29 ნოემბერი).

მათ. 24 კვირა

19 თებერვალი

ნუგეშისმცემელი და მასწავლებელი

ხოლო ნუგეშისმცემელი კი, სულიწმიდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს (იოან. 14:26).

სულიწმიდა არის ქრისტეს წარმომადგენელი, რომელსაც არა აქვს ადამიანის გარეგნობა და ამიტომ დამოუკიდებელია. ადამიანის სხეულით მოსულ ქრისტეს არ შეეძლო ერთდროულად ყველგან ყოფნა. ამიტომ იგი უნდა დაბრუნებულიყო მამასთან, ხოლო მოწაფეთა დასახმარებლად და დედამიწაზე თავისი საქმის გასაგრძელებლად სულიწმიდა გამოგზავნა. ახლა აღარავის ექნება უპირატესობა იმის გამო, რომ უფრო ახლო ურთიერთობაშია ქრისტესთან ან იმ ადგილებში ცხოვრობს, სადაც უფალი მოღვაწეობს. ახლა სულიწმიდის მეშვეობით უფალი ყველასათვის უფრო მისაწვდომი და მახლობელი გახდება, ვიდრე დედამიწაზე ყოფნის დროს...

ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, ყოველგვარ მწუხარებასა და ტანჯვაში, როდესაც მომავალი გაურკვეველია და წყვდიადითაა მოცული, როდესაც მარტოობასა და უძლურებას ვგრძნობთ, რწმენით ლოცვის პასუხად ნუგეშისმცემელი მოგვევლინება. შესაძლოა, სხვადასხვა გარემოებათა გამო დავშორდეთ ჩვენს მიწიერ მეგობრებს, მაგრამ არავითარ მოვლენასა და მანძილს არ შეუძლია ზეციურ ნუგეშისმცემელთან ჩვენი დაშორება. სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, იგი ყოველთვის ჩვენ გვერდითაა, რათა დაგვეხმაროს, განგვამტკიცოს და გაგვამხნევოს...

ნუგეშისმცემელს უფალი “ჭეშმარიტების სულს” უწოდებს. მისი მიზანია ჭეშმარიტების განსაზღვრა და მისი დაცვა. თავიდან იგი შედის ადამიანში, როგორც ჭეშმარიტების სული

და ამიტომ ნუგეშისმცემელი ხდება. ჭეშმარიტებაში არის ნუგეში და მშვიდობა, რაც არ არსებობს სიცრუეში... წმიდა წერილით მოქმედებს სულიწმიდა ადამიანის გონებაზე და ჭეშმარიტებას ასწავლი მას (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 527-529 [ორიგ. გვ. 669-671]).

ისინი, ვინც ღვთის სულის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, იქნებიან არა ფანატიკური, არამედ მშვიდნი და მიზანდასახულნი, თავისუფლები უკიდურესი თვალსაზრისის, სიტყვებისა თუ საქციელებისგან. სულიწმიდა გზამკვლევი იქნება უამრავ სხვადასხვა მაცდუნებელ სწავლებას შორის ყველასთვის, ვინც არ ეწინააღმდეგებოდა მტკიცებულებებს ჭეშმარიტების სასარგებლოდ და ახშობდა ყველა ხმას, გარდა იმ ხმისა, რომელიც მოდიოდა იმისგან, ვინც თვითონ არის ჭეშმარიტება (სახარების მსახურნი, გვ. 289).

ყოველი მამაკაცი, ქალიც და ყოველი ბავშვიც, რომლებიც არ იმყოფებიან ღვთის სულის წინამძღოლობის ქვეშ, საკუთარ თავზე გამოცდიან სატანისტური ცდუნების გავლენას. სატანა სიტყვებითა და მაგალითით ცდილობს, რომ ისინი ჭეშმარიტ გზას ააცდინოს (უწყებები ახალგაზრდობისათვის, გვ. 278).

ორშაბათი მათ. 25

20 თებერვალი

დამკვიდრებული სული

მისი მცნებების დამცველი რჩება მასში, ის კი - მასში. ის რომ ჩვენში რჩება, გავიგებთ სულით, რომელიც მან მოგვცა (1იოან. 3:24).

სულიწმიდა - ეს ადამიანის სულიერი ცხოვრების გულისცემაა. სულის მიღება ქრისტეს ცხოვრების მიღებას ნიშნავს. ადამიანი მისი მსგავსი ხდება (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 623 [ორიგ. გვ. 805]).

სულიწმიდა შევა გულში, რომელსაც დასაკვეხნი არაფერი აქვს. იესოს სიყვარული შეავსებს სიცარიელეს, დარჩენილს საკუთარი “მე”-ს გამოთავისუფლების შედეგად (რევიუ ენდ გერალდ, 1896 წ. 2 ივნისი).

ის, ვინც ქრისტეს ჭეშმარიტი არსი შეიცნო და შეუშვა გულში, საუკუნო სიცოცხლეს იძენს. ქრისტე ჩვენში სულით ცოცხლობს და რწმენით მიღებული ღვთის სული არის სწორედ მარადიული სიცოცხლის დასაწყისი (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 294 [ორიგ. გვ. 388]).

ჩვენ ქრისტეს თვალით ვერ ვხედავთ და პირისპირ ვერ ველაპარაკებით, მაგრამ მისი წმიდა სული მუდამ ჩვენ გვერდითაა. იგი მოქმედებს თითოეულში და თითოეულის მეშვეობით, ვინც ქრისტეს ღებულობს და სწამს მისი. ისინი, ვისშიც სულიწმიდაა დამკვიდრებული, გამოაჩენენ სულის ნაყოფებს: სიყვარულს, სიხარულს, მშვიდობას, სულგრძელობას, სიკეთეს, გულმოწყალებას, სათნოებას, სამართლიანობასა და რწმენას (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1112. ე. უაითის კომენტარი).

სულიწმიდა მოწოდებულია, მუდმივად იმყოფებოდეს მორწმუნე ადამიანთან. საჭიროა, უფრო სერიოზულად დავუფიქრდეთ იმ ფაქტს, რომ ნუგეშისმცემელი ჩვენთან უნდა იყოს. თუ ამ ჭეშმარიტებას პირადულ დონეზე შევიცნობთ, მაშინ არასოდეს ვიგრძნობთ თავს მარტოდ. როდესაც მტერი გვიტევს, როდესაც ცდუნება გვერევა, უნდა ჩავეჭიდოთ ჩვენს რწმენას ღმერთში, ვინაიდან მან აღგვითქვა, რომ არასოდეს ვიქნებით მარტონი და მიტოვებულნი ამ ბრძოლაში. ყოველი ადამიანი, რომელსაც ცოდვა მიეტევა, ძვირფასია უფლის თვალში, უფრო ძვირფასი, ვიდრე მთელი სამყარო. მისთვის იქნა გადახდილი განუზომლად მაღალი ფასი და ქრისტე არასოდეს მიატოვებს ადამიანს, რომლისთვისაც ის მოკვდა (ახალგაზრდობის დამრიგებელი, 1894 წ. 13 დეკემბერი).

სულიწმიდა წარმოადგენს ქრისტეს, და როდესაც ადამიანები უფრთხილდებიან ამ სულს და გარშემო მყოფებს მისი წინამძღოლობით გადასცემენ ძალას, რომლითაც თვითონ არიან აღვსილნი, მოძრაობას იწყებს უხილავი სიმი, რომელიც ყველაფერს ენერგიით მუხტავს. ო, ნეტავი ყველას შეგვეძლოს იმის შეცნობა, თუ რაოდენ ამოუწურავია ღვთის წყაროები (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1053. ე. უაითის კომენტარი).

მათ. 26 სამშაბათი

21 თებერვალი

ნუ დაანაღვლიანებთ სულიწმიდას

ნუ დაანაღვლიანებთ ღვთის სულიწმიდას, რომლითაც თქვენ აღიბეჭდეთ გამოსყიდვის დღისათვის (ეფეს. 4:30).

სინდისი - ესაა ღმერთის ხმა, რომელიც ადამიანის ვნებათა ქარიშხალში აღწევს. როდესაც ხმა უგულებელყოფილია, ღვთის სული ნაღვლიანდება (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 5, გვ. 120).

ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, ჩაახშონ თავის თავში ღვთის სულის ხმა - არჩევანი მათზეა. მათ მოქმედებათა თავისუფლება აქვთ მიცემული. ადამიანებს შეუძლიათ გამოიჩინონ მორჩილება ჩვენი გამომსყიდველის სახელისა და მადლის წყალობით, და შეუძლიათ გამოიჩინონ ურჩობა, თან აცნობიერებდნენ ამის შედეგებს (სახარების მსახურნი, გვ. 174).

სულიწმიდის გმობის ცოდვა მდგომარეობს არა რომელიმე გაუფრთხილებელ სიტყვაში ან საქციელში, არამედ ჭეშმარიტებასთან და მის მტკიცებულებებთან ჯიუტ, შეგნებულ წინააღმდეგობაში (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1093. ე. უაითის კომენტარი).

ღმერთი კი არ გამოსცემს ბრძანებას, რომლის თანახმადაც მოცემული ადამიანი კარგავს ხსნას. ის ადამიანს არ ახვევს გაუვალ წყვდიადში. არამედ თვითონ ადამიანი ჯერ უძალიანდება სულიწმიდის ზემოქმედებას, და თუ პრველად ამის გაკეთება უძნელდება, მეორედ უკვე ეადვილება, მესამედ კიდევ უფრო, ხოლო მეოთხე ჯერზე სულ იოლი ხდება. შემდეგ კი ურწმუნოებისა და სიჯიუტის თესლიდან ამოდის მოსავალი, რომელიც უნდა მოიმკას. ო, რა ცოდვიანი ახირებების მკა ელოდება ნამგალს!..

მეორეს მხრივ, ყოველი სინათლის სხივი, სათუთად გადანახული, სინათლეს მოიმკის. ერთხელ დაძლეული ცდუნება მოგცემთ ძალას, რომ უფრო მტკიცედ აღუდგეთ წინ ცდუნებას მეორედ. ყოველი ახალი გამარჯვება, რომელსაც საკუთარ “მე”-ზე მოიპოვებთ, ასწორებს გზას უფრო მაღალი და კეთილი მიღწევებისაკენ. ყოველი გამარჯვება არის თესლი, საუკუნო სიცოცხლეში დათესილი (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 5, გვ. 120).

ღმერთი არავის ღუპავს. ცოდვილი თვითონ იღუპავს თავს საკუთარი მოუნანიებლობით (იქვე).

არავინ უნდა ჩათვალოს ცოდვა სულიწმიდის წინააღმდეგ, როგორც რაღაცა იდუმალი და აუხსნელი. ცოდვა სულიწმიდის წინააღმდეგ - ესაა მონანიებისკენ მოწოდებაზე ჯიუტად უარის თქმის ცოდვა (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 5, გვ. 1093. ე. უაითის კომენტარი).

ცოდვისაგან... თავის დაღწევა და სულიერად ამაღლებული ცხოვრებით სიცოცხლე შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი მივენდობით ქრისტეს (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 14).

ოთხშაბათი მათ. 27

22 თებერვალი

ღმერთი სიყვარულია

ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია (1იოან. 4:8).

“ღმერთი სიყვარულია” (1იოან. 4:16). მისი არსი, მისი კანონი სიყვარულს წარმოადგენს. ასე იყო და ასე იქნება მარად...

მისი შემოქმედებითი ძალის ყოველი გამოვლინება მისი უსასრულო სიყვარულის გამოხატულებაა (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 7 [ორიგ. გვ. 33]).

მისი ძალის წყალობით ენაცვლება ერთმანეთს ზამთარი და ზაფხული, თესვა და მკა, დღე და ღამე. მისი სიტყვით აღმოცენდება მცენარეები, გამოდის ფოთლები და იფურჩქნება ყვავილები. ყველაფერი კეთილი, რაც გაგვაჩნია, ყოველი მზის სხივი, ყოველი წვიმის წვეთი, ყოველი პურის ნაჭერი, ჩვენი სიცოცხლის ყოველი წამი - მისი სიყვარულის ძღვენია (ქრისტეს ქადაგება მთაზე, გვ. 75).

ბოროტებასა და სიკეთეს შორის დიადი ბრძოლის ისტორია, რომელიც ზეცაში დაიწყო და გრძელდება დედამიწაზე ამ ამბოხების საბოლოო ჩახშობამდე და ცოდვის სრულ განადგურებამდე, აგრეთვე უფლის უცვლელი სიყვარულის მოწმობას წარმოადგენს (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 7 [ორიგ. გვ. 33]).

მაგრამ მსხვერპლად შეწირული ქრისტე უფლის ჭეშმარიტ ზრახვათა ნათელი მოწმობაა (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 32 [ორიგ. გვ. 57]).

ღმერთმა ჩვენს წუთისოფელს უძღვნა საოცარი საჩუქარი - თავისი მხოლოდშობილი ძე. ამ საქციელის ფონზე სხვა სამყაროთა მკვიდრნი ვერასოდეს იტყვიან, რომ ღმერთს შეეძლო, გაეკეთებინა იმაზე მეტი, რაც გააკეთა, რათა ადამიანებისთვის თავისი სიყვარული ეჩვენებინა. მან

განუზომელი მსხვერპლი გაიღო (რევიუ ენდ გერალდი, 1907 წ. 3 იანვარი).

ათასობით ადამიანს არასწორი წარმოდგენა აქვს ღმერთსა და მის თვისებებზე. ისინი ისევე ემსახურებიან ცრუ ღმერთებს, როგორც ბაყალის თაყვანისმცემლები ძველად. ვეთაყვანებით თუ არა ჭეშმარიტ ღმერთს, გაცხადებულს ბუნებაში, ქრისტეს პიროვნებაში, მის სიტყვაში, თუ ვაღმერთებთ რომელიმე ფილოსოფიურ კერპს და მას ღმერთის ადგილზე ვაყენებთ? ღმერთი არის ჭეშმარიტების ღმერთი. სამართლიანობა და წყალობა - აი, მისი მმართველობის საფუძვლები. ის არის ღმერთი მოსიყვარულე, მწყალობელი, ნაზი თანაგრძნობით აღვსილი. სწორედ ასე გაცხადდა იგი თავის ძეში და ჩვენს მხსნელში. იგი არის ღმერთი სულგრძელი. თუ ასეთია ის, რომელიც ჩვენ გვიყვარს და რომლის ხასიათის მიბაძვასაც ვცდილობთ, მაშასადამე, ჩვენ ჭეშმარიტ ღმერთს ვცემთ თაყვანს (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 5, გვ. 174).

მათ. 28 ხუთშაბათი

23 თებერვალი

ღმერთი მიუკერძოებელია

გახსნა პეტრემ ბაგე და თქვა: ჭეშმარიტად ვრწმუნდები, რომ ღმერთი მიკერძოებული არ არის, არამედ ყოველ ხალხში მისი მოშიში და სიმართლის მოქმედი სათნოა მისთვის (საქმ. 10:34, 35).

ღმერთი მიუკერძოებელია... მათ, ვისაც ჰქონდათ სინათლე, მაგრამ არ ცხოვრობდნენ მის მიხედვით, არამედ უგულებელყოფდნენ ღმერთის მოთხოვნებს, უცებ აღმოაჩინეს, რომ მათი კურთხევები წყევლად გადაიქცა, ხოლო დაპირებული წყალობები - სამსჯავროდ (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ, 3, გვ. 172).

უფალი არ თვლის, რომ ყველა ცოდვა ერთნაირად მძიმეა. ღმერთი ისევე, როგორც ადამიანი, სხვადასხვანაირად აფასებს დანაშაულის ხარისხს, მაგრამ არც ერთი ცოდვა არ არის მცირე უფლის თვალში. ადამიანის მსჯელობა არასრულფასოვანია, ღმერთი კი განსჯის თავისი სიმართლის მიხედვით. ლოთი სძულთ და მას ეუბნებიან, რომ ცოდვილია და მისთვის სამოთხის კარი დახშულია. და ამავე დროს სიამაყეს, თვითგანდიდებას და სიძუნწეს ცოდვად არ თვლიან. მაგრამ ღმერთისათვის ეს უკანასკნელი უფრო შეურაცხმყოფელია, რადგან სწორედ ისინი ეწინააღმდეგება უფლის სიკეთეს და იმ უანგარო სიყვარულს, რომელიც გამეფებულია სამყაროს სხვა, უცოდველ გარემოში (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 13).

ცოდვის სიბილწე გოლგოთას ჯვრის ნათელში გამოიცნობა. თუკი ვინმე ამტკიცებს, რომ უფალი იმდენად კეთილია, რომ ხელს არ ჰკრავს ცოდვილს, შეხედოს გოლგოთას. ქრისტემ თავის თავზე აიღო ცოდვილ ადამიანთა დანაშაული და ეწამა მათთვის, ვინაიდან გადარჩენისათვის სხვა გზა არ იყო. ამ მსხვერპლის გარეშე კაცობრიობა ვერ გათავისუფლდებოდა ცოდვის უწმიდური ძალისაგან და ვერ აღადგენდა წმინდანებთან ურთიერთობას. ქრისტემ თავის თავზე აიღო დანაშაული მათი შეუსმენლობისათვის, ეწამა მათი

ცოდვებისათვის, რათა ადამიანებს მისცემოდათ შესაძლებლობა სულიერი ცხოვრების თავიდან დაწყებისა. უფლის ძის სიყვარული, ტანჯვა და სიკვდილი მოწმობს იმას, თუ რა საშინელებაა ცოდვა და მისი ბრჭყალებიდან თავის დაღწევა; და სულიერად ამაღლებული ცხოვრებით სიცოცხლე შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი მიენდობით ქრისტეს (იქვე, გვ. 14).

დაე, სული ამაღლდეს ცოდვის სიბილწისგან, რათა უმზიროს ყოველგვარი სიკეთის, წყალობისა და სიყვარულის ღმერთს, რომელიც მაინც არანაირად არ დაიწყებს დამნაშავეთა გამართლებას (რევიუ ენდ გერალდი, 1889 წ. 19 მარტი).

პარასკევი 18:39 მარკ. 1

24 თებერვალი

უსასრულოდ ბრძენი და კეთილი

კეთილია უფალი - ციხე-სიმაგრე გასაჭირში, და სცნობს მათ, ვინც მას ესავენ (ნაუმ. 1:7).

ღმერთი ყოველგვარი სიბრძნის წყაროა. ის უსასრულოდ ბრძენი, სამართლიანი და კეთილია. ქრისტეს გარეშე თვით ყველაზე ბრძენკაცებიც კი, ოდესღაც მცხოვრებნი დედამიწაზე, ვერ შეიცნობენ მას... ადამიანებმა ერთი წამით მაინც რომ შეძლონ თავიანთი შეზღუდული სამყაროს მიღმა გახედვა, წამიერად მაინც რომ შეძლონ მარადმყოფელის დიდების დანახვა, მაშინ ქედმაღლური სიტყვები არასოდეს წაბილწავდა

მათ ბაგეებს. სამყაროს ამ ქვიშის ნამცეცზე მცხოვრები ადამიანები შეზღუდულები არიან, ღმერთს კი ურიცხვი სამყაროები აქვს, რომლებიც ემორჩილებიან მის კანონს და ყველაფერში ცდილობენ, განადიდონ ის (რჩევები მშობლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, გვ. 66).

არაფერი წარმოიშვება სამყაროს რომელიმე ნაწილში ისე, რომ ყველგანმყოფმა არ იცოდეს. ადამიანის ცხოვრების ერთი მოვლენაც კი არაა დაფარული ჩვენი შემოქმედისაგან. იმ დროს, როცა სატანა გამუდმებით განიზრახავს ბოროტებას, ჩვენი ღმერთი ყველაფერს აკონტროლებს ისე, რომ ბოროტება ზიანს ვერ აყენებს მის მორჩილ შვილებს, მასზე დაიმედებულებს. იგივე ძალა, რომელიც ოკეანის ბობოქარ ტალღებს აკონტროლებს, ამბოხებისა და ბოროტების ყველა ტალღასაც აკავებს. ღმერთი ამბობს: “აქამდე მოხვალ და მეტს არა” (იობ. 38:11).

მორჩილებისა და რწმენის რომელ გაკვეთილებს ვერ ისწავლი, თუ თვალს მიადევნებ ღმერთისა და მისი ქმნილების ურთიერთმოქმედებას? უფალს ადამიანებისთვის მხოლოდ ცოტას გაკეთება შეუძლია, რადგან ისინი აღვსილნი არიან სიამაყითა და ამაოებით. ისინი ამაღლებენ თავის თავს, აქებენ საკუთარ ძალას, განათლებასა და სიბრძნეს. ღმერთისთვის აუცილებელია, მათ იმედი გაუცრუოს და ჩაშალოს მათი გეგმები, რათა მათ ისწავლონ, რომ მხოლოდ ღმერთის იმედი უნდა ჰქონდეთ. ყველა ჩვენი ძალა (შესაძლებლობა) ღმერთისგან მოდის; ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია იმ ძალისგან დამოუკიდებლად, რომელსაც ის გვაძლევს. რომელ მამაკაცს, ქალს ან ბავშვს არ უჭერს ღმერთი მხარს? სად არის ის

მიყრუებული ადგილი, რომელსაც ღმერთი არ აღავსებდა? რომელი საჭიროების შევსება შეუძლია ვინმეს, გარდა ღმერთისა? (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 3, გვ. 1141. ე. უაითის კომენტარი).

ჩვენ არ ვცნობთ ღმერთს, როგორც პატარა ბავშვები, მაგრამ თუნდაც პატარა ბავშვები ვიყოთ, შეგვიძლია გვიყვარდეს იგი და ვემორჩილებოდეთ მას. იმის ნაცვლად, რომ ვიმსჯელოთ მისი ბუნებისა თუ პრეროგატივების შესახებ, მოვუსმინოთ სიტყვებს, ჩვენს მიმართ ნათქვამს: “შეჩერდით და გაიგეთ, რომ მე ვარ ღმერთი” (ფსალმ. 45:11) (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 8, გვ. 279).

მარკ. 2 შაბათი

25 თებერვალი

უცვლელი ღვთიური სუფევა ჩვენს შორის

საით წაუვალ შენს სულს და შენს სახეს სად გავექცევი? ზეცაში რომ ავიდე, შენ იქა ხარ, ქვესკნელში ჩავიდე - იქაც ხარ შენ! (ფსალმ. 138:7, 8).

მეფსალმუნე ლაპარაკობს უსასრულო ღმერთის მთელი სამყაროს ამავსებელ სუფევაზე. “ზეცაში რომ ავიდე, შენ იქა ხარ, ქვესკნელში ჩავიდე - იქაც ხარ შენ!”. ჩვენ ვერასოდეს ვიპოვით ისეთ იზოლირებულ ადგილს, სადაც ღმერთი არ არის (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 3, გვ. 1153, 1154. ე. უაითის კომენტარი).

ყოვლისშემძლე უფალი ღმერთი, რომელიც ცაში მეფობს, ამბობს: “მე შენთან ვარ”. იგი თავის ხალხს არწმუნებს, რომ ვინც მორჩილებას იჩენს, გახსნილია მისი კურთხევებისთვის მისი სახელის სადიდებლად... იგი დროული დამხმარე იქნება ყველა იმ მსახურისთვის, ვინც პირველ რიგში ემსახურება მას და არა თავის “მე”-ს (რევიუ ენდ გერალდი, 1907 წ. 12 დეკემბერი).

თუმცა ღმერთი ხელთქმნილ ტაძრებში არ მკვიდრობს, მაგრამ თავისი სუფევით პატივს სდებს თავისი ხალხის შეკრებებს. იგი შეგვპირდა, რომ თუ მორწმუნეები ერთად შეიკრიბებიან, რათა ეძებონ იგი, აღიარონ თავიანთი ცოდვები და ერთმანეთისთვის ილოცონ, მათ თავისი სულით ესტუმრება (წინასწარმეტყველები და მეფეები, გვ. 50).

ქრისტეს ზეცით ამაღლების შემდეგ მისი მიმდევრები კვლავ გრძნობდნენ მის სიახლოვეს დედამიწაზე...

ამიერიდან ქრისტე სულიწმიდით მარად უნდა დარჩენილიყო თავისი შვილების გულში. ამიერიდან ისინი უფრო ახლოს იყვნენ მასთან, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი დედამიწაზე იყო. მათგან გამოდიოდა ნათელი, სიყვარული და ქრისტეს ძალა და მათ შემყურე ადამიანებს “უკვირდათ... თანაც სცნობდნენ მათ, რომ იესოსთან იყვნენ” (საქმ. 4:13). ქრისტეს დღესაც სურს თავისი შვილებისთვის გააკეთოს ის, რაც თავისი პირველი მოწაფეებისათვის გააკეთა (ქრისტესკენ მიმავალიგზა, გვ. 36, 37).

ჩვენ შეგვიძლია, უფალში გავმაგრდეთ მისი ძალის სიმტკიცით. ქრისტეს მიღებისას ჩვენ ვიმოსებით ძალით. ჩვენს გულში დამკვიდრებული მაცხოვარი თავის ძალას ჩვენს მონაპოვრად აქცევს... ქრისტეს ყოფნა გულში - ესაა

მაცოცხლებელი ძალა, მთელი ჩვენი ბუნების განმამტკიცებელი (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 7, გვ. 71).

არასოდეს იფიქროთ, რომ ქრისტე შორს იმყოფება. ის მუდამ გვერდითაა. თქვენ მისი სიყვარულის ატმოსფეროთი ხართ გარემოცულნი (განკურნების მსახურება, გვ. 85).

კვირა მარკ. 3

26 თებერვალი

ნაზი, სიყვარულით აღსავსე ზრუნვა

თქვენი ყველა საზრუნავი მას მიანდეთ, რადგან ის ზრუნავს თქვენზე (1პეტრ. 5:7).

ღმერთი თავის ყველა ქმნილებაზე ზრუნავს. მას ისინი ყველა უყვარს და ერთმანეთისგან არ ანსხვავებს იმ გამონაკლისის გარდა, რომ განსაკუთრებულ სინაზესა და სიბრალულს იჩენს ადამიანებისადმი, რომლებიც მოწოდებულნი არიან, ცხოვრების ყველაზე მძიმე ტვირთი ატარონ. ღვთის შვილები აუცილებლად ხვდებიან განსაცდელებსა და სიძნელეებს. მაგრამ მათ უნდა მიიღონ თავიანთი ხვედრი, არ დაღონდნენ და ახსოვდეთ: იმას, რასაც წუთისოფელი არ სთავაზობს მათ, ღმერთი თვითონ აღავსებს ყველაზე უხვი კურთხევებით.

სწორედ მაშინ, როცა მძიმე სიტუაციაში ვვარდებით, იგი თავის ძალასა და სიბრძნეს ავლენს ჩვენს მორჩილ ლოცვაზე. მიენდეთ მას - ლოცვების მომსმენსა და მათზე პასუხის გამცემ ღმერთს. იგი თავს გაგიცხადებთ, როგორც ერთადერთი ხსნა ნებისმიერ

უბედურებასა და ნებისმიერ მძიმე სიტუაციაში. ის, ვინც შექმნა ადამიანი, ვინც შეამკო იგი საოცარი ფიზიკური, გონებრივი და სულიერი უნარებით, უარს არ იტყვის იმაზე, რაც ყველაზე აუცილებელია სიცოცხლის შესანარჩუნებლად, სიცოცხლისა, რომელიც თვითონ მისცა. ის, ვინც მოგვცა თავისი სიტყვა - სიცოცხლის ხის ფოთლები - არ მიგვატოვებს და გვასწავლის, თუ როგორ დავაპუროთ მისი გაჭირვებული შვილები (განკურნების მსახურება, გვ. 199).

ზოგიერთებს თან სდევთ რაღაც უბედურების წინათგრძნობა ან აზვიადებენ სიძნელეებს, რომლებიც ცხოვრების გზაზე ხვდებათ, ამიტომ ვერ ხედავენ იმ კურთხევათა სიუხვეს, რისთვისაც მადლობა უნდა შესწირონ ღმერთს.

სიძნელეთა გადასალახავად ისინი არ ეძებენ დახმარებას უფალში - ძალის ერთადერთ წყაროში; პირიქით, უფრო შორდებიან მას და კიდევ უფრო მეტი შფოთი და შიში ეუფლებათ.

განა სამართლიანად ვიქცევით, როცა ასეთ ურწმუნოებას ვავლენთ? განა გვაქვს ასეთი უმადურობისა და უნდობლობისათვის საბაბი? იესო ხომ ჩვენი მეგობარია. მთელი ზეცაა დაინტერესებული ჩვენი კეთილდღეობით, ჩვენი მოუსვენრობა და შიში კი ანაღვლიანებს ღვთის სულიწმიდას. ნუ შემოვუშვებთ გულში შფოთს, იგი ხომ ვერ დაგვეხმარება განსაცდელის ჟამს, პირიქით, გვტანჯავს და გვასუსტებს... მაცხოვარი უხმობს ყველა დაქანცულს და გაჭირვებულს: “მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე მოგასვენებთ თქვენ”. მოიხსენით მწუხარებისა და ამქვეყნიური მოუსვენრობის უღელი, რომელიც თავად დაიდგით მხრებზე და

იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს” (მათ. 11:28, 29). ჩვენ შეგვიძლია, ვპოვოთ სიმშვიდე და მოსვენება უფალში (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 176, 177 [ორიგ. გვ. 293, 294]).

მარკ. 4 ორშაბათი

27 თებერვალი

ღმერთის გადამრჩენელი განგება

ჩვენ კი ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველმხრივ ეწევა სასიკეთოდ (რომ. 8:28).

 იმ განცდებისა და განსაცდელების გარდუვალობა, რომელთა გადატანაც გვიწევს, აჩვენებს: უფალი იესო ჩვენში ხედავს რაღაცა ძვირფასს, რაც სურს, რომ განავითაროს. იგი რომ არაფერს ხედავდეს ჩვენში, მაშინ რას შეეძლებოდა მისი სახელის განდიდება, ის არ დაიწყებდა დროის კარგვას ჩვენს განწმედაზე, იგი თავის ცეცხლის ღუმელში არ ჩაყრიდა ქვებს, რომლებსაც არავითარი ფასი არ გააჩნიათ. ის მხოლოდ ღირებულ მადანს ასუფთავებს (განკურნების მსახურება, გვ. 471).

 ღვთის შვილები თვითონვე აირჩევდნენ იმ გზებს, რომლებითაც ისინი ღმერთს მიჰყავს, თუკი შეეძლებოდათ ამ გზების თავიდან ბოლომდე დანახვა და განჭვრეტა მთავარი

მიზნისა, რომელსაც ისინი აღწევენ, როგორც ღმერთის თანამუშაკნი (განკურნების მსახურება, გვ. 479).

ის ყველაფერი, რაც საგონებელში გვაგდებდა ღვთიური განგების გზებზე ამ წუთისოფელში, ცხადი გახდება. რაც მიუწვდომელი იყო ჩვენი შემეცნებისთვის, ახლა თავის ახსნას ჰპოვებს. ჩვენ წინაშე გადაიშლება ღვთის მადლის საიდუმლოებები, ყველაფერი, რაც ჩვენს შეზღუდულ ადამიანურ გონებას აშფოთებდა და რაშიც აღთქმის დარღვევას ვხედავდით, ახლასრულყოფილ მშვენიერ ჰარმონიად გაგვეხსნება. ჩვენ შევიგნებთ, რომ მხოლოდ უსასრულო სიყვარული გვატანინებდა იმ განცდებს, რომლებიც ყველაზე ძნელი გვეჩვენებოდა (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 9, გვ. 286).

ის, ვინც ქრისტეს სულით არის აღსავსე, უფალში იქნება. ქრისტიანისკენ მიმართულ დარტყმას თავის თავზე მიიღებს მაცხოვარი, რომელიც მას თავისი თანხლებით იცავს. ყველაფერი, რაც მას ემართება, ქრისტესგან მოდის. ქრისტიანს არა აქვს საჭიროება, შეეწინააღმდეგოს ბოროტებას, ვინაიდან ქრისტე იცავს მას. ღვთის ნების გარეშე მას ვერ შეეხება რაიმე განსაცდელი, და თანაც “ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველმხრივ ეწევა სასიკეთოდ” (ქრისტეს ქადაგება მთაზე, გვ. 71).

ჩვენს ზეციურ მამას ჩვენთვის უცნობი ათასობით შესაძლებლობა გააჩნია, რათა უზრუნველგვყოს. ყველა, ვინც ღმერთის მიმართ მსახურებას პრინციპულად მთავარს ხდის თავის ცხოვრებაში, ნახავს, რომ მისი სიძნელეები ქრება, ხოლო თავად სწორ გზაზე დგას (განკურნების მსახურება, გვ. 481).

როგორც პატარა ბავშვი, დაეყრდენით იმის წინამძღოლობას, ვინც თავის წმიდანთა ნაბიჯებს იცავს” (1მეფ. 2:9) (განკურნების მსახურება, გვ. 479).

თუ ჩვენს გზებს უფალს ვანდობთ, ის ჩვენს ნაბიჯებს წარმართავს (განკურნების მსახურება, გვ. 479).

სამშაბათი მარკ. 5

28 თებერვალი

ყველა ადამიანის მოსიყვარულე

ამისათვის ვიდრეკ მუხლს მამის წინაშე, ვის მიერაც იწოდება ყოველი მამობა ცაში და ქვეყანაზე (ეფეს. 3;14, 15).

ღვთის სიყვარულის შეცნობა გვაიძულებს, უარი ვთქვათ ეგოიზმზე, ვინაიდან, როცა ღმერთს მამას ვუწოდებთ, ამით მის ყველა შვილს ჩვენს ძმებად ვაღიარებთ. ჩვენ ყველა ვართ ერთი დიდი ადამიანური ოჯახის წევრები (ქრისტეს ქადაგება მთაზე, გვ. 105).

ღმერთი არ აღიარებს არავითარ ეროვნულ, რასობრივ ან კასტურ განსხვავებას. იგი მთელი კაცობრიობის შემოქმედია. ადამიანები შექმნილნი არიან, როგორც ერთი ოჯახი, რომლის თითოეული წევრი გამოსყიდულია. ქრისტე მოვიდა, რომ დაენგრია ყოველი გამყოფი კედელი, გაეუქმებინა ყოველი მიჯნა ტაძრის ეზოებში, ყოველ ადამიანს ჰქონოდა თავისუფალი წვდომა ღმერთთან (წინასწარმეტყველები და მეფეები, 370).

იგი მოვიდა, რათა ეჩვენებინა, რომ მისი გულმოწყალებისა და სიყვარულის ძღვენი ისევე ვერ ჩაეტევა რაიმე ჩარჩოებში, როგორც ჰაერი, სინათლე ან წვიმის ნაკადი, მიწას რომ აცოცხლებს (სახარების მსახურები, გვ. 46).

მისი სიყვარული იმდენად ფართო, ღრმა და სრულია, რომ ყველგან აღწევს. იგი სატანის გავლენისგან ათავისუფლებს იმათ, ვინც იყო მოტყუებული და ამაღლებს მათ ღვთის ტახტამდე, რომელსაც გარს აღთქმის ცისარტყელა აკრავს (წინასწარმეტყველები და მეფეები, გვ. 370).

ღმერთი ჩვენი მამა და მმართველია... ზეცაში გაბატონებული პრინციპები დედამიწაზეც უნდა გამეფდეს; აუცილებელია, რომ ის სიყვარული, რომელიც ანგელოზებს ამოძრავებს და იგივე უმანკოება და სიწმინდე, რომელიც ზეცას მართავს, შეძლებისდაგვარად, დედამიწაზე აღვადგინოთ (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 4, გვ. 268).

როცა ღმერთს მამას უწოდებთ, თქვენ საკუთარ თავს აღიარებთ მის შვილებად, რომლებსაც სურთ, იხელმძღვანელონ მისი ბრძნული დარიგებებით, ყველაფერში დაემორჩილონ და ახსოვდეთ, რომ მისი სიყვარული უცვლელია. თქვენ მიიღებთ მის განზრახვებს თქვენი ცხოვრების მიმართ. მისი სიტყვები, მისი ხასიათი, მისი ღირსება, მისი ოჯახი, მისი საქმე თქვენთვის მთავარი ინტერესი იქნება და თქვენ, როგორც ღვთის შვილები, სიხარულითა და სათანადო პატივით აღიარებთ ნათესაობას ზეციერ მამასთან და მისი ოჯახის თითოეულ წევრთან. თქვენ სიხარულით გააკეთებთ ყველაფერს მისი განდიდებისა და თქვენი ახლობლების სასიკეთოდ, როგორი დამამცირებელიც არ

უნდა გეჩვენებოდეთ ეს სამუშაო (ქრისტეს ქადაგება მთაზე, გვ. 105, 106).

მარტი - სატანა და დიდი აჯანყება

1 მარტი

ამბოხების წარმოშობა

რადგან თქვენმა ურჯულოებამ გაგმიჯნათ ერთმანეთისგან თქვენ და თქვენი ღმერთი, და თქვენმა ცოდვებმა დაფარეს მისი სახე თქვენგან, რომ არ ესმინა! (ეს. 59:2).

ბოროტება დაიწყო ლუციფერისაგან, რომელიც აჯანყდა ღვთის მმართველობის წინააღმდეგ. თავის დაცემამდე იგი იყო თავისი აღმატებულებით გამორჩეული ნათელი ქერუბიმი. ღმერთმა იგი შექმნა კეთილი და მშვენიერი, რამდენადაც შეიძლებოდა, თავისი მსგავსი (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 4, გვ. 1163. ე. უაითის კომენტარი).

წერილი სრულიად ნათლად გვასწავლის, რომ ღმერთი არავითარ შემთხვევაში არ აგებს პასუხს ცოდვის წარმოშობაზე, თვითნებურად არ შეუწყვეტია მას ღვთიური მადლი, არც რაიმე ხინჯი ყოფილა მის მმართველობაში, რასაც შეეძლო, ზეცაში აჯანყება გამოეწვია. ცოდვა - დაუპატიჟებელი სტუმარია, რომლის გამოჩენას არავითარი ახსნა არა აქვს. ეს ჩვენთვის

მიუწვდომელი საიდუმლოა. ცოდვის გამართლება ნიშნავს მის დაცვას. და რომ შესაძლებელი ყოფილიყო ცოდვის წარმოშობის მიზეზის მოძებნა ან მისი გამოჩენის გამართლება, მაშინ ის უკვე ცოდვა აღარ იქნებოდა (დიადი ბრძოლა, გვ. 381 [ორიგ. გვ. 492, 493]).

პირველი ცოდვილი იყო ის, ვინც ღმერთმა ასე აღამაღლა. იგი წარმოდგენილია ცორის მეფის სახით, რომელიც თავისი სიძლიერითა და დიდებულებით ყვაოდა. სატანამ ნელ-ნელა დაიწყო თავისი განდიდების სურვილის გაღვივება... თუმცა მთელი მისი დიდება ღმერთისგან მოდიოდა, მაგრამ ამ ძლევამოსილმა ანგელოზმა ჩათვალა, რომ ეს მას ეკუთვნის. უკმაყოფილომ თავისი მდგომარეობით, თუმცა მთელ ზეციურ კრებულზე უფრო მაღლა მდგომმა და პატივდებულმა, გაბედა და მოისურვა თაყვანისცემა, რომელიც მხოლოდ შემოქმედს ეკუთვნის. ნაცვლად იმისა, რომ პირველ რიგში ეცადა, ღმერთისკენ წარემართა ყველა ქმნილების სიყვარული და ერთგულება, მოიწადინა, რომ მათი მსახურება და ერთგულება თვითონ მიეღო...

განა იგი /სატანა/ არ არის პირველი დიდი განდგომილი ღმერთისგან? (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 4, გვ. 1162, 1163. ე. უაითის კომენტარი).

ლუციფერის ტახტი არის საწყისი წერტილი და საყრდენი ყოველი ბოროტი საქმისათვის (წერილი 43, 1893 წ.).

---

2 მარტი

პატივმოყვარეობას დარდი მოაქვს

უფლის კურთხევა ამდიდრებს და დარდი არ ემატება მას (იგავ. 10:22).

სანამ ღვთის მმართველობას აუჯანყდებოდა, ლუციფერი ზეცაში ყველაზე დიდებული და მშვენიერი ანგელოზი იყო და მასზე მეტი პატივით მხოლოდ ღვთის საყვარელი ძე სარგებლობდა. როგორც სხვა ანგელოზების, ისე მის სახეზეც სათნოება და ბედნიერება ირეკლებოდა. მისი მაღალი შუბლი მძლავრ ინტელექტზე მოწმობდა. იგი ყველაფერში სრულყოფილი იყო. მას კეთილშობილური და დიდებული მანერები ჰქონდა, მისი სახე ბრწყინავდა განსაკუთრებული ელვარებით, რომელიც ირგვლივ ყველაფერს ანათებდა. ეს სინათლე უფრო კაშკაშა და მშვენიერი იყო, ვიდრე ის, რომელიც სხვა ანგელოზების სახიდან გამოდიოდა. და მაინც ქრისტე, ღვთის საყვარელი ძე, შეუდარებლად უფრო დიდებული იყო, ვიდრე მთელ ზეციურ ანგელოზთა მხედრობა. ის მამასთან ერთობაში იყო ანგელოზების შექმნამდე..

იესო ქრისტეს მიმართ ეჭვიანობამ და შურმა შეიპყრო ლუციფერი. მართალია, როცა ყველა ანგელოზმა თაყვანი სცა ქრისტეს, აღიარა მისი ხელმწიფება და კანონიერი უფლება სამყაროს მართვისა, ლუციფერმაც მოიყარა მუხლი ყველასთან ერთად, მაგრამ მისი გული სიძულვილითა და შურით იყო სავსე... მაშ, რატომ აქვს ქრისტეს მეტი პატივი, ვიდრე მას? (ხსნის ისტორია, გვ. 5, 6).

ზეცაში ლუციფერმა მოინდომა მიეღო უმაღლესი ხელისუფლება; მას სურდა, გამხდარიყო ღმერთი და ცათა მმართველი; შედეგად მან თავის მხარეზე მრავალი ანგელოზი მიიმხრო. როდესაც თავის აჯანყებულ მხედრობასთან ერთად ზეციური სასახლეებიდან გამოაძევეს, თავისი ამბოხებისა და საკუთარი ანგარების საქმე მან დედამიწაზე განაგრძო. სატანამ ჩვენი წინაპრები აცდუნა პატივმოყვარეობითა და საკუთარი სურვილების გაღვივებით, ისინი ცოდვამდე მიიყვანა და მას შემდეგ ეგოისტური სურვილების, ვნებებისა და ახირებების დაკმაყოფილებისა და წაქეზებისკენ მისწრაფება განაგრძობს კაცობრიობის ნგრევას (რჩევები მშობლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, გვ. 32, 33).

ვინც საკუთარ თავს განადიდებს, თავად ართმევს საკუთარ თავს ღვთის მადლს, რომელიც იძლევა უდიდეს საუნჯესა და ნამდვილ სიხარულს. მაგრამ ის, ვინც ყველაფერს გასცემს და აკეთებს ქრისტესთვის, შეიცნობს სიხარულს აღსრულებული აღთქმიდან: “უფლის კურთხევა ამდიდრებს და დარდი არ ემატება მას” (წინასწარმეტყველები და მეფეები, გვ. 36).

პარასკევი 18:48 მარკ. 8

3 მარტი

სიამაყე წინ უძღვის დაცემას

სიამაყე წინ უძღვის დაღუპვას და დაცემას წინ უძღვის ქედმაღლობა (იგავ. 16:18).

სატანა დაეცა იმ ქედმაღლური მისწრაფების გამო, რომ ღმერთის ტოლი გამხდარიყო. მან მოისურვა, მონაწილეობა მიეღო ზეციურ გეგმებსა და თათბირებში, სადაც არ ჰქონდა დასწრების უფლება, როგორც შექმნილ არსებას, რომელსაც არ გააჩნია უნარი, შეიცნოს უსასრულო ღმერთის მთელი სიბრძნე. პატივმოყვარეობამ და სიამაყემ მიიყვანა ის აჯანყებამდე და სწორედ ამ სახით ცდილობს იგი ადამიანის დაღუპვას (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 5, გვ. 702).

ცოდვა ეგოიზმით იწყება. ლუციფერმა, ნათელმა ქერუბიმმა, ზეცაში პირველობა ისურვა. მას სურდა ზეციურ არსებებზე ძალაუფლების მითვისება, რათა მათ არა ღმერთისათვის, არამედ მისთვის ეცათ თაყვანი. ამის გამო მან, ბრალი დასდო რა უზენაესს თვითგანდიდებისაკენ სწრაფვაში, ცრუდ წარუდგინა ღმერთი მათ, თავისი მანკიერი თვისებები მან სიყვარულის ღმერთს მიაწერა (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 8 [ორიგ. გვ. 21, 22]).

ლუციფერს რომ ჭეშმარიტად სდომებოდა უზენაესთან გატოლება, იგი არასოდეს მიატოვებდა თავის ადგილს ზეცაში, რადგან უზენაესის სული მისდამი ერთგულ მსახურებაში ვლინდება. ლუციფერს სწყუროდა ღმერთის ძალაუფლება, მაგრამ არ სურდა ჰქონდა მისი ხასიათი. მას ყველაზე მაღლა აღზევება სურდა და ყოველი მისი სულის მქონე არსება ამასვე მოიმოქმედებს (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 336 [ორიგ. გვ. 435, 436]).

როდესაც სიამაყე და პატივმოყვარეობა წახალისებულია, ცხოვრება მძიმდება, ვინაიდან სიამაყეს არაფერი სჭირდება და

ამგვარად გულს უკეტავს ზეცის ამოუწურავ კურთხევებს (წინასწარმეტყველები და მეფეები, გვ. 60).

გულის სიამაყე ხასიათის საშინელი თვისებაა. “სიამაყე წინ უძღვის დაღუპვას” (იგავ. 16:18). ეს სამართლიანია ოჯახის, ეკლესიისა და მთელი ქვეყნის მიმართ (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 4, გვ. 377).

ღვთის შვილები ერთიმეორის მორჩილნი უნდა იყვნენ. ისინი ერთმანეთს რჩევას უნდა ეკითხებოდნენ, რათა ერთის დანაკლისი მეორის სიჭარბით შეივსოს (ქველმოქმედების მსახურება, გვ. 202).

ღმერთს სძულს სიამაყე, “და ყველა ამპარტავანი და უკეთურობის მოქმედი ჩალა იქნება და გადაბუგავს მათ მომავალი დღე” (მალ. 4:1) (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 1. გვ. 132).

“ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს” (მათ. 11:29) (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 4, გვ. 376).

მარკ. 9 შაბათი

4 მარტი

სიცრუისაგან დაცვა

მაშ, იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულნი და სიმართლის ჯავშნით შემოსილები (ეფეს. 6:14).

ღმერთმა ნება დართო სატანას, ემოქმედა მანამ, სანამ უკმაყოფილების სული აშკარა ამბოხებაში არ გადაიზარდა. ეს აუცილებელი იყო მაცდურის ზრახვებისა და გეგმების სრული გამოვლინებისათვის, რათა მათი ჭეშმარიტი მიმართულება და არსი სრულად გამჟღავნებულიყო მთელი სამყაროს წინაშე... მას ცდუნებაში შეყვანის უდიდესი ნიჭი აღმოაჩნდა. სიცრუის სამოსელში გახვეულმა ლუციფერმა პირველ ხანებში მართლაც საკმაო წარმატებებს მიაღწია. ყოველი მისი მოქმედება ისე იყო შენიღბული, რომ ანგელოზები თავდაპირველად ვერ ჩასწვდნენ მის ჭეშმარიტ არსს. მეამბოხე იმდენად ფრთხილად მოქმედებდა თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, რომ მის სრულ გამოაშკარავებამდე ისინი ვერაფერს მიხვდნენ. თვით უფლის ერთგული ანგელოზებიც კი ვერ გარკვეულიყვნენ, საით იყო გამიზნული მისი ქმედებანი... ყოველგვარი ხერხებით ცდილობდა სატანა, უფლის ზრახვების მიმართ უნდობლობა დაეთესა. სულ უბრალო საკითხებსაც კი ისეთი საიდუმლოებით მოსავდა, რომ ოსტატურად ბადებდა ეჭვს ღმერთის წესდებების მიმართ (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 13 [ორიგ. გვ. 41]).

საიდუმლო მუშაობა ისე ოსტატურად ტარდებოდა, რომ ზეციური კრებული ამას ვერ ამჩნევდა; ამიტომ ზეცაში მოხდა ომი და სატანა გამოძევებული იქნა იმათთან ერთად, ვინც დაკარგა ნდობა ღვთის მმართველობის მიმართ (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 4, გვ. 1143. ე. უაითის კომენტარი).

მე დამევალა, ცრუ განცხადების გამკეთებელი ყველა გამეფრთხილებინა, რომ ისინი ემსახურებიან იმას, ვინც თავიდანვე მატყუარა იყო. მაშ, მოვერიდოთ სიცრუეს,

რომლითაც იზრდება ის, ვინც მას იყენებს. მე ყველას მივმართავ, იყავით წელშემოსარტყლულნი სიმართლით... მიატოვეთ ყოველგვარი ტყუილი და გაზვიადება; არასოდეს გააკეთოთ ცრუ განცხადებები (ხელნაწერი 82, 1900 წ.).

მოტყუების განზრახვა სიცრუეს შობს. შეიძლება წარმატებით იცრუო არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ წამიერი შემოხედვით, ჟესტით და თვალთა გამომეტყველებითაც. საქმის არსის ყოველი გაზვიადება, ცრუ შთაბეჭდილების მოსახდენად განზრახული ქარაგმა, ცილისწამება ან ფაქტების არასწორად აღწერა - სიცრუეს წარმოადგენს (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 187 [ორიგ. გვ. 309]).

საჭიროა მუდმივი ძალისხმევა, რათა დავემსგავსოთ საზოგადოებას, რომელთან შეერთებასაც მალე ვაპირებთ. ესენია ღვთის ანგელოზები, რომლებსაც არასოდეს შეუცოდავთ. ხასიათი უნდა იყოს წმიდა, მანერები სასიამოვნო, სიტყვები არა ვერაგული და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ წავიწიოთ წინ, სანამ არ მოვემზადებით ზეცაში გადასახლებისათვის (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 1, გვ. 216).

კვირა მარკ. 10

5 მარტი

ცოდვის უკიდურესი დამღუპველობა

ნუთუ სიკეთე სიკვდილად მექცა? არამც და არამც. მაგრამ ცოდვა იმიტომ აღმოჩნდა ცოდვად, რომ კეთილის მეშვეობით

მოაქვს ჩემთვის სიკვდილი, რათა ცოდვა მეტისმეტად ცოდვილი იყოს მცნების მეშვეობით (რომ. 7:13).

უფალი, მისთვის დამახასიათებელი უდიდესი თანაგრძნობით, დიდხანს უთმენდა ლუციფერს. უთანხმოებისა და უკმაყოფილების სული ადრე არასოდეს გამოვლენილა ზეცაში. ეს იყო რაღაც ახალი მოვლენა - უცნაური, ამოუხსნელი, იდუმალი.

თავიდან თვით ლუციფერსაც არ ესმოდა თავისი გრძნობების ჭეშმარიტი არსი, ერთხანს ეშინოდა კიდეც, გამოეთქვა თავისი აზრი, თუმცა არც კი უცდია მისი სულისათვის მტანჯველი ეჭვებისა და ფიქრებისაგან გათავისუფლება. მას არც უფიქრია, თუ სადამდე მიიყვანდა ყოველივე ეს. უფალმა ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეეძლო უზენაესის უსაზღვრო სიყვარულსა და სიბრძნეს, რათა ლუციფერი თავის შეცდომებში დარწმუნებულიყო. მისი უკმაყოფილების უსაფუძვლობა, მისი ამბოხების არასასურველი შედეგი - ყოველივე განემარტა მას. ლუციფერი მიხვდა თავის შეცდომას. იგი ხედავდა, რომ “მართალია უფალი ყველა თავის გზაზე და მოწყალეა ყველა თავის საქმეში” (ფსალმ. 144:17), რომ ღვთიური წესდებები სამართლიანია და რომ მან მთელი ზეცის წინაშე უნდა აღიაროს ეს... ერთხანს ლუციფერი თითქოს მზად იყო, თავის შემოქმედს დაბრუნებოდა, მაგრამ სიამაყემ არ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი... თავის ადრინდელ პოზიციებზე მდგარმა ლუციფერმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადა შემოქმედს...

ზეცაში სატანის ამბოხება გაკვეთილი უნდა ყოფილიყო მთელი სამყაროსათვის მომავალ საუკუნეებში, მარადიული მოწმობა ცოდვის ჭეშმარიტი არსისა და მისი დამღუპველი

შედეგებისა. შედეგებს, რომლებიც ადამიანებსა და ანგელოზებზე სატანის გავლენასა და ბატონობას მოჰყვებოდა, ის დამღუპველი ნაყოფი უნდა წარმოეჩინა, რომელსაც ღვთიური ხელმწიფების გაუქმება მოიტანდა. ეს იმის მოწმობა უნდა ყოფილიყო, რომ ყოველი ცოცხალი არსების კეთილდღეობა ღვთიური მმართველობით არის განპირობებული. ამგვარად, ეს საშინელი ამბოხება ზეცაში ყველა წმიდა არსებისათვის უნდა ყოფილიყო გაფრთხილება, რომელიც მათ ცდუნებისაგან, ცოდვის ჩადენისა და მისი საზღაურისაგან დაიცავდა (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 11-14 [ორიგ. გვ. 39-43]).

უსაზღვრო ფასი მსხვერპლისა, რომელიც ჩვენს გამოსყიდვას სჭირდებოდა, მოწმობს იმას, რომ ცოდვა საშინელი ბოროტებაა (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 6, გვ. 66).

მარკ. 11 ორშაბათი

6 მარტი

სიცოცხლე თუ სიკვდილი?

ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღვთის მადლი - საუკუნო სიცოცხლე ჩვენს უფალში, ქრისტე იესოში (რომ. 6:23).

უსასრულო და ყოვლისმცოდნე ღმერთმა დასაბამიდანვე იცის დასასრული და მისი გეგმები ცოდვის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით ყოვლისმომცველი და დიდებულია. მას განზრახული აქვს არა მხოლოდ ბოლო

მოუღოს ამბოხებას, არამედ მთელ უსასრულო სამყაროს სატანის არსი აჩვენოს... მაშინ ცხადი გახდება, რომ ღვთიურ დადგენილებათა ყოველი უარმყოფელი სატანას მიემხრო ქრისტეს წინააღმდეგ ბრძოლაში. როდესაც წუთისოფლის მთავარი დაისჯება და მისი თანამზრახველნიც მის ხვედრს გაიზიარებენ, მაშინ ზეცის ყველა მკვიდრი, მოწმე განაჩენისა, გამოაცხადებს: "წრფელი და ჭეშმარიტია შენი გზები, წმიდანთა მეფეო!" (გამოცხ. 15:3) (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 39 [ორიგ. გვ. 78, 79]).

სამსჯავროს დასრულებისას ყველასათვის ნათელი გახდება, რომ ცოდვის აღმოცენებისათვის არავითარი მიზეზი არ არსებობდა. როდესაც დედამიწის მსჯავრმდებელი მოსთხოვს პასუხს სატანას: "რატომ აჯანყდი ჩემს წინააღმდეგ და გადაიბირე ჩემი სამეფოს ქვეშევრდომნი?", ბოროტების სათავე ვერაფერს იტყვის თავის გასამართლებლად. ვერავინ ამოიღებს ხმას, მთელი ამბოხებული მხედრობა დადუმდება... მთელი სამყარო დაინახავს, თუ რა არის ცოდვა და როგორია მისი შედეგები. მისი სრულად მოსპობა თავიდანვე რომ მომხდარიყო, შეაშინებდა ანგელოზებს და შელახავდა უფლის ავტორიტეტს, ახლა კი უფლის სიყვარულის დადასტურება იქნება და აამაღლებს მას სამყაროს ყოველ მცხოვრებთა თვალში... არასოდეს, არსად აღარ იარსებებს ბოროტება. ღვთის სიტყვა ამბობს: "და უბედურება აღარ განმეორდება" (ნაუმ. 1:9)... სამყაროს უკვე გამოცდილ მცხოვრებთ, რომელთაც გაუძლეს გამოცდას, არასოდეს გაუჩნდებათ რაიმე ეჭვი და ისინი მარად ერთგული დარჩებიან მისი, ვინც სრულიად ნათლად გამოავლინა თავისი უსაზღვრო სიყვარული და უსასრულო სიბრძნე (დიადი ბრძოლა, გვ. 390, 391 [ორიგ. გვ. 503, 504]).

ადამიანი, რომელიც ღვთის რჯულისადმი ურჩობის გზას ირჩევს, ამგვარად წყვეტს თავის მომავალ ხვედრს; იგი თესავს ხორცში, იმკის ცოდვის საზღაურს, საუკუნო დაღუპვას, ნაცვლად საუკუნო სიცოცხლისა. ღმერთისადმი მორჩილებასა და მისი წმიდა კანონის შესრულებას სწორ შედეგამდე მივყავართ. “ესაა საუკუნო სიცოცხლე, რომ გიცნობდნენ შენ, ერთ ჭეშმარიტ ღმერთს, და მას, ვინც მოავლინე - იესო ქრისტეს” (იოან. 17:3) (ქრისტიანული აღზრდის პრინციპები, გვ. 376).

სამშაბათი მარკ. 12

7 მარტი

აჯანყება ჩახშობილი იქნება

ხოლო მშვიდობის ღმერთი მალე თქვენს ფერხთით შემუსრავს სატანას. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი თქვენთანაა! (რომ. 16:20).

მას შემდეგ, რაც ადამი გაება სატანის მახეში, ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის, ღმერთსა და სატანას შორის სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობს. ჭეშმარიტების აღსრულებაში არის ძალა, რომლის გადალახვაც სატანას არ შეუძლია. სამართლიანობას გააჩნია ღვთიური სიცოცხლისუნარიანობა. საბოლოოდ, ჭეშმარიტება გაიმარჯვებს სიცრუეზე და ღმერთი დაამარცხებს მტერს (ხელნაწერი 82, 1900 წ.).

ქრისტე ჩვენ ჩაგვენაცვლა და სატანა დაამარცხა... ის სატანაზე ძლიერია და მალე მტერს ჩვენს ფერხთით შემუსრავს (მოწმობანი ეკლესიისათვის, ტ. 3, გვ. 526).

სწორედ მთელი სამყაროს სიყვარულისა და თანაგრძნობის გამო ღმერთი საბოლოოდ გაანადგურებს მათ, ვინც უარს ამბობს მის მადლზე (დიადი ბრძოლა, გვ. 423 [ორიგ. გვ. 543]).

“აწვიმებს ბოროტთა ზედა, ცეცხლსა და გოგირდს; და ქარბორბალა ხვედრია მათი” (ფსალმ. 10:6)(იქვე, გვ. 524 [ორიგ. გვ. 672]).

სიცოცხლე მართალთა მემკვიდრეობაა, სიკვდილი კი უწმიდურთა ხვედრია. მოსემ ასე მიმართა ისრაელს: “აჰა, დღეს გადმოვეცი შენს წინაშე სიცოცხლე და სიკეთე, სიკვდილი და ბოროტება” (რჯლ. 30:15). სიკვდილი, რომლის შესახებაც აქაა საუბარი, არ არის ის სიკვდილი, რომელიც ადამს მიეცა, რადგან მთელი კაცობრიობა დაისაჯა მისი ურჯულოებისათვის. აქ ლაპარაკია “მეორე სიკვდილზე”, რომელიც მარადიული სიცოცხლის საპირისპიროა (იქვე, გვ. 423 [ორიგ. გვ. 544]).

განმწმედელ ცეცხლში უწმიდურნი, - ფესვებიც და ტოტებიც საბოლოოდ მოისპობიან. სატანა - ფესვია, მისი მიმდევარნი კი - ტოტები. აღსრულდა სრული შურისგება უფლის კანონის დარღვევისათვის. სამართლიანობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და ზეცა და დედამიწაც აღიარებენ ღმერთის სიმართლეს

სამუდამოდ მოეღო ბოლო სატანის დამანგრეველ საქმიანობას. ექვსი ათასი წლის განმავლობაში მოქმედებდა იგი თავის ნებისამებრ, უბედურებით ავსებდა დედამიწას და ტკივილს

აყენებდა მთელს ქვეყნიერებას. ყოველი ცოცხალი არსება იტანჯებოდა ტკივილისაგან. ახლა კი უფლის შექმნილნი სამუდამოდ გათავისუფლდნენ მისგან და მისი ცდუნებისაგან (დიადი ბრძოლა, გვ. 525 [ორიგ. გვ. 673]).

ღირს, მთელი ცხოვრება მიუძღვნა იმას, რომ მიიღო ურთიერთობის უფლება გამოსყიდულებთან, წმინდა ანგელოზებთან და იესოსთან, წუთისოფლის გამომსყიდველთან (დროის ნიშნები, 1889 წ. 8 აპრილი).

მარკ. 13
ოთხშაბათი

8 მარტი

ადამიანის ურჩობა

ნეტავ ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შინებოდათ ჩემი და დაეცვათ ყველა ჩემი მცნება ყოველდღე, რათა კარგად ყოფილიყვნენ ისინი და მათი ძენი უკუნისამდე! (რჯლ. 5:29).

როდესაც სატანას დაცემულ ანგელოზებთან ერთად წაერთვა ცაში ყოფნის უფლება, შეიგნო, რომ სამუდამოდ დაკარგა ის უმანკოება და დიდება, რომლითაც ადრე იყო შემოსილი...

მან თავის ანგელოზებთან ერთად თათბირი ჩაატარა და ყველამ ერთად შეიმუშავა მოქმედების გეგმა ღვთის მმართველობის წინააღმდეგ. როცა ედემის ბაღში ადამი და ევა გაჩნდნენ, სატანამ მათი დაღუპვა განიზრახა...

თავისი დანაშაულებრივი საქმე სატანამ დაიწყო იმით, რომ შეეცადა, ევა ღვთის მიმართ ურჩობისაკენ გადაეხარა. ქალის პირველი შეცდომა იყო ის, რომ ქმარს მოშორდა, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეკეთებინა; მეორე შეცდომა იყო ის, რომ შეჩერდა აკრძალულ ხესთან; და ბოლოს, მესამე - მოუსმინა მაცდურს და თავს უფლება მისცა, ეჭვი შეეტანა ღმერთის სიტყვებში, რომელმაც უთხრა: “რა დღესაც შეჭამ ამ ხის ნაყოფს, სიკვდილით მოკვდები”. მას ეგონა, რომ უფალს სულ სხვა რამ ჰქონდა მხედველობაში და გაბედა, ხისკენ გაიწოდა ხელი, მოწყვიტა ნაყოფი და იგემა... მან ნაყოფი ქმარსაც შესთავაზა, რითაც აცდუნა იგი...

მე ვიხილე, როგორ გამოიხატა ადამის სახეზე დარდი, შერეული შიშისა და გაკვირვების გრძნობასთან და ჩანდა, რომ მის სულში ბრძოლა მიმდინარეობს. იგი მიხვდა... რომ მისი ცოლი უნდა მოკვდეს და ისინი სამუდამოდ დაშორდებიან ერთმანეთს. მისი სიყვარული ევასადმი იმდენად დიდი იყო, რომ სასოწარკვეთილმა გადაწყვიტა, ქალის ხვედრი გაეზიარებინა. ადამმა აიღო ნაყოფი, რომელიც ევამ მისცა და სასწრაფოდ შეჭამა. ამ მომენტში სატანა ზეიმობდა...

ევასადმი სიყვარულის გამო ადამმა დაარღვია ღვთის ბრძანება და მასთან ერთად შესცოდა (სულიერი ნიჭები, ტ. 1, გვ. 18-21).

ღვთის სიტყვაში მოცემული მისი ყოველი შეგონება - რჩევა და გაფრთხილებაა ჩვენთვის, რომლებიც იმისათვის მოგვეცა, რომ არ შევცდეთ. მათი უარყოფით თავს დავიღუპავთ. ეჭვგარეშეა, რომ ღვთის სიტყვის მიმართ ყოველი წინააღმდეგობა სატანისაგან მოდის (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 23 [ორიგ. გვ. 55]).

ხუთშაბათი მარკ. 14

9 მარტი

ცოდვილთა გზა

კეთილი მოხედვა წყალობას გასცემს, მოღალატეთა გზა კი მძიმეა (იგავ. 13:15).

ადამიანის დაცემის ამბავი მთელ ზეცაში გავრცელდა და ყველა ქნარი დადუმდა. ანგელოზებმა ღრმა მწუხარებით მოიხსნეს გვირგვინები. მთელი ზეცა აღელდა. შეიკრიბა სათათბირო, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, როგორ მოქცეოდნენ დამნაშავე წყვილს. ანგელოზებს ეშინოდათ, რომ ადამი და ევა გაიწვდიან ხელს, მოწყვეტენ სიცოცხლის ხის ნაყოფს, შეჭამენ მას და გახდებიან უკვდავი ცოდვილები. მაგრამ ღმერთმა გადაწყვიტა დამნაშავენი ბაღიდან გამოეძევებინა. ანგელოზებს დაავალა, დაეცვათ სიცოცხლის ხისკენ მიმავალი გზა. სატანა იმედოვნებდა, რომ ადამი და ევა არ დაემორჩილებიან ღმერთს, მის უკმაყოფილებას გამოიწვევენ, შემდეგ კი იგემებენ სიცოცხლის ხის ნაყოფს, რათა მუდმივად იცხოვრონ ცოდვასა და ურჩობაში. ამგვარად, ცოდვა უკვდავყოფილი იქნებოდა. მაგრამ ღმერთმა წმიდა ანგელოზები გაგზავნა, რათა ადამი და ევა ბაღიდან გაეძევებინათ და მათთვის სიცოცხლის ხისკენ მიმავალი გზა გადაეღობათ...

სატანა ზეიმობდა, რადგან თავისი დაცემით სხვებს მიაყენა ტანჯვა. ის გამოაძევეს ზეციდან, ადამიანები კი - სამოთხიდან (სულიერი ნიჭები, ტ. 1, გვ. 21, 22).

ურჯულობის მეშვეობით ადამმა დაკარგა ედემი. ღვთის მცნებებისადმი ურჩობის მეშვეობით ადამიანი დაკარგავს ზეცას და საუკუნო ნეტარებას. ეს უსარგებლო გამონაგონი კი არაა, არამედ სიმართლეა. მე გეკითხებით... ვის მხარეზე ხართ თქვენ? (მოწმობანი მქადაგებლებისათვის, გვ. 141).

რა თქმა უნდა, სატანა თავის მხრივ ცდილობს, თავისი გზა მიმზიდველი სახით წარმოადგინოს, მაგრამ ეს ყველაფერი სიცრუეა. ბოროტების გზაზე თქვენ შეხვდებით მწარე სინდისის ქენჯნას და მტანჯველ საზრუნავს... ფართო გზაზე კარიბჭე შეიძლება ყვავილებით იყოს მორთული, მაგრამ თავად ეკალ-ბარდებით იყოს მოფენილი...

“მოღალატეთა გზა... მძიმეა”, ხოლო სიბრძნის გზა - “საამური გზებია და მისი ყველა ბილიკი მშვიდობაა” (იგავ. 13:15; 3:17). ყოველი მორჩილება ქრისტეს ბრძანებებისადმი, ყოველი თავგანწირვა მისი სახელისათვის, ყოველი გადატანილი გამოცდა, ყოველი გამარჯვება ცდუნებაზე არის ნაბიჯი, რომელიც დიად საბოლოო გამარჯვებასთან გვაახლოვებს. ვინც ქრისტეს თავის გზამკვლევად ირჩევს, ის უსაფრთხო გზაზე დგას (ქრისტეს ქადაგება მთაზე, გვ. 139, 140).

მარკ. 15 პარასკევი
18:56

10 მარტი

პირველი აღთქმა გამოსყიდვის შესახებ

ჩამოვაგდებ მტრობას შენსა და დედაკაცს შორის, და შენს თესლსა და მის თესლს შორის; იგი თავს გაგიჭეჭყავს და შენ მას ქუსლს დაუგესლავ (დაბ. 3:15).

გადარჩენის გეგმა ადამიანს პირველად ეუწყა ედემის ბაღში, სატანისადმი გამოტანილ განაჩენში, როდესაც უფალმა წარმოთქვა: “ჩამოვაგდებ მტრობას შენსა და დედაკაცს შორის, და შენს თესლსა და მის თესლს შორის; იგი თავს გაგიჭეჭყავს და შენ მას ქუსლს დაუგესლავ” (დაბ. 3:15). ეს განაჩენი აღთქმად იქცა ჩვენი წინაპრებისათვის. მართალია, ბრძოლა სატანასა და ადამიანს შორის გარდაუვალია, მაგრამ, უფლის აღთქმისამებრ, უდიდესი მატყუარა საბოლოოდ დამარცხდება... ადამი და ევა დაარწმუნეს, რომ მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი ცოდვისა, ისინი არ იქნებიან მიტოვებული სატანის ანაბარა. უფლის ძე გაწირავს თავის სიცოცხლეს მათი გადარჩენისათვის. მათ გამოცდა ელით ცხოვრებაში და მონანიებითა და ქრისტეს რწმენით კვლავ ღვთის შვილები გახდებიან (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 31 [ორიგ. გვ. 65, 66]).

როგორც კი ადამიანი გამოეხმაურა სატანის ცდუნებას და გააკეთა სწორედ ის, რაზეც ღმერთმა უთხრა, რომ ეს არ გაეკეთებინა, ქრისტე, ღვთის ძე, ჩადგა ცოცხლებსა და მკვდრებს შორის და თქვა: “დაე, სასჯელი მე დამეკისროს. მე დავიკავებ ადამიანის ადგილს. მას კიდევ ერთი შანსი უნდა ჰქონდეს” (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 1, გვ. 1085. ე. უაითის კომენტარი).

ცოდვის გაჩენის მომენტისთვის მაცხოვარი უკვე არსებობდა. ქრისტემ იცოდა, რომ დაიტანჯებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ჩაანაცვლა ადამიანი. როგორც კი ადამმა შესცოდა, ღვთის ძე ადამიანთა მოდგმის თავდების როლში გამოვიდა და

ისევე გარკვევით ააცილა მისი ბოროტი ხვედრი, როგორც გოლგოთის ჯვარზე (იქვე, გვ. 1084).

თუმცა ნაღველმა და წყვდიადმა სიკვდილის საფარველში გახვია მომავალი, აღთქმამ გამომსყიდველის შესახებ იმედის ვარსკვლავი აანთო. სახარება თავდაპირველად ადამს ქრისტემ უქადაგა. ადამი და ევა გულწფელ წუხილს განიცდიდნენ თავიანთი ცოდვის გამო. მათ დაიჯერეს ღვთის ძვირფასი დაპირება და გადაურჩნენ საბოლოო დაღუპვას (იქვე).

შაბათი მარკ.16

11 მარტი

მხსნელი მარადისობიდან

კურთხეულია ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთი და მამა, რომელმაც გვაკურთხა ქრისტეში ყოველგვარი სულიერი კურთხევით ცათა შინა, როგორც ამოგვარჩია ჩვენ მასში სოფლის შექმნამდე, რათა წმიდანი და უბიწონი ვყოფილიყავით მის წინაშე სიყვარულით (ეფეს. 1:3, 4).

ადამიანის დაცემისთანავე უფალმა განსაზღვრა თავისი ნება გამოსყიდვის გეგმაში, გეგმაში, რომლის მეშვეობითაც ცდილობს, ადამიანი მის პირველდაწყებით სრულყოფილებასთან დააბრუნოს. ჯვარზე ქრისტეს სიკვდილმა ღმერთს მისცა საშუალება, მიიღოს ყოველი მონანიე ადამიანი და მიუტევოს მას (დროის ნიშნები, 1901 წ. 12 ივნისი).

როდესაც ღვთაებრივი წამებული ჯვარზე იყო გაკრული, გარშემო ანგელოზები შეგროვდნენ, უყურებდნენ მას, ესმოდათ მისი კვნესა, მღელვარება ემატებოდათ და კითხულობდნენ: “განა მამა ღმერთი არ გადაარჩენს მას?” შემდეგ გაისმა სიტყვები: უფალმა დაიფიცა, და ის არ გადაიფიქრებს. მამამ და ძემ აღთქმა დადეს, რომ შეასრულებდნენ მარადიული აღთქმის პირობებს. ღმერთმა ისე შეიყვარა “სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა არავინ, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე”. ქრისტე არ იყო ერთადერთი, ვინც ეს დიდებული მსხვერპლი გაიღო. ეს იყო შესრულება აღთქმისა, რომელიც მან და მისმა მამამ ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე დადეს. მათ ერთმანეთს ჩაკიდეს ხელი და დაიფიცეს, რომ ქრისტე გახდება კაცობრიობის თავმდები, თუკი ადამიანებს სატანისტური მცდარად გაკეთებული დასკვნა დაჯაბნიდა (ახალგაზრდობის დამრიგებელი, 1900 წ. 14 ივნისი).

კაცობრიობის ხსნა მუდმივი თემაა ზეციურ თათბირებზე. წყალობის აღთქმა დადებული იყო წუთისოფლის შექმნამდე. ის მარადისობიდან არსებობს და მარადიული აღთქმა ეწოდება. როგორც სწორია ის, რომ არასდროს ყოფილა ისეთი მომენტი, როცა ღმერთი არ არსებობდა, ისევე სწორია ისიც, რომ არასოდეს ყოფილა ისეთი მომენტი, როდესაც მარადიულ გონებას არ ანიჭებდა კმაყოფილებას თავისი წყალობის გამოჩენა კაცობრიობის მიმართ (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 7, გვ. 934. ე. უაითის კომენტარი).

რაც უფრო მეტს ვფიქრობთ ამ თემაზე, მით უფრო ღრმად გვემჟღავნება იგი, მაგრამ ამავე დროს არის სიღრმეები, რომლებამდეც ვერ ვაღწევთ, როცა გამომსყიდველის დიდებას

ვიკვლევთ. ეს არის სიცოცხლის მთავრის დიდება და მისი შეცნობა შეუძლებელია ყველაზე მძლავრი ადამიანური უნარებითაც. თავად ანგელოზებს სურთ, შეისწავლონ ადამიანთა მოდგმის გამოსყიდვის ეს იდუმალი და საოცარი თემა (ხელნაწერი128, 1897 წ.).

ლუკ. 1 კვირა

12 მარტი

ადამიანის გამოსყიდვის ღვთიური გეგმა

და დავამყარებ ჩემს აღთქმას ჩემსა და შენს, და შენს შემდგომ, შენს შთამომავლობას შორის, მათ მოდგმაში, საუკუნო აღთქმად, რათა ვიყო შენი და, შენს შემდგომ, შენი შთამომავლობის ღმერთი (დაბ. 17:7).

ისევე, როგორც ბიბლია წარმოგვიდგენს ორ რჯულს: პირველს უცვლელს და მარადიულს; და მეორეს - დროებითსა და პირობითს, ასევე არსებობს ორი აღთქმა: მადლისა, რომელიც პირველად ედემში მიეცა ადამიანს, როცა მისი დაცემის შემდეგ გაისმა ღვთიური აღთქმა იმის შესახებ, რომ დედაკაცის თესლი თავს გაუჭეჭყავს გველს. ეს აღთქმა ადამიანს სთავაზობდა მიტევებას და ღვთიური ხსნის მადლს მომავალში ქრისტეს რწმენით. ასევე - საუკუნო სიცოცხლეს უფლის რჯულის ერთგულად დაცვის შემთხვევაში.

სწორედ ეს აღთქმა განაახლა ღმერთმა აბრაამთან: “და იკურთხება შენი შთამომავლობით დედამიწის ყოველი ხალხი,

რადგან ისმინე ჩემი ხმა” (დაბ. 22:18). აღთქმა ქრისტეზე მიუთითებდა. აბრაამმა შეიცნო ეს და ირწმუნა, რომ ცოდვათა მიტევება მხოლოდ ქრისტეს მსხვერპლის მეშვეობითაა შესაძლებელი. აი, როგორი რწმენა ჩაეთვალა მას სიმართლეში. აბრაამთან დადებულ აღთქმას ღვთის რჯულის ავტორიტეტიც განამტკიცებდა. გამოეცხადა უფალი აბრაამს და უთხრა: “მე ვარ ღმერთი ყოვლადძლიერი. იარე ჩემს წინ და იყავი უმწიკვლო” (დაბ. 17:1). შემდეგ უფალი მოწმობს თავის ერთგულ მსახურზე: “ისმინა აბრაამმა ჩემი ხმა და დაიცვა ჩემი დასაცველი, ჩემი ბრძანებები, ჩემი წესები და ჩემი რჯულდებები” (დაბ. 26:5)...

აბრაამის აღთქმა ქრისტეს სისხლით განმტკიცდა და ეწოდა “მეორე” ანუ “ახალი აღთქმა”, ვინაიდან სისხლი, რომლითაც ის განმტკიცდა, პირველი აღთქმის შემდეგ დაიღვარა (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 226 [ორიგ. გვ. 370, 371]).

მადლის აღთქმა არ არის ახალი ჭეშმარიტება, რადგანაც ის ღვთის გონებაში არსებობდა მარადისობიდან. აი, რატომაც ეწოდება მას მარადიული აღთქმა (დროის ნიშნები, 1891 წ. 24 აგვისტო).

ჩვენთვის იმედი არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევალთ აბრაამის აღთქმაში, რომელიც არის წყალობის აღთქმა იესო ქრისტეს რწმენის მეშვეობით. აბრაამის მიმართ ნაქადაგები სახარება, რომლის წყალობითაც ჰქონდა მას იმედი, იყო იგივე სახარება, რომელიც ჩვენ დღეს გვექადაგება... აბრაამი უმზერდა იესოს, რომელიც არის ჩვენი შემოქმედი და დღეს ჩვენი რწმენის აღმსრულებელი(მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1077. ე. უაითის კომენტარი).

ორშაბათი ლუკ. 2

13 მარტი

ადამიანს არ შეუძლია საკუთარი თავის გადარჩენა

რაკი შევიტყვეთ, რომ ადამიანი გამართლდება არა რჯულის საქმეებით, არამედ იესო ქრისტეში რწმენით, ჩვენც ვირწმუნეთ იესო ქრისტე, რათა გავმართლდეთ ქრისტეში რწმენით და არა რჯულის საქმეებით. ვინაიდან რჯულის საქმეებით ვერა ხორციელი ვერ გამართლდება (გალ. 2:16).

სხვა აღთქმა, რომელიც ბიბლიაში "ძველი აღთქმით" არის ცნობილი, დაიდო ღმერთსა და ისრაელს შორის სინაიზე და განმტკიცდა მსხვერპლის სისხლით...

ღმერთმა... მისცა რჯული და მორჩილების შემთხვევაში კურთხევა აღუთქვა. "თუ შეისმენთ ჩემს სიტყვას და დაიცავთ ჩემს აღთქმას... მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად მეყოლებით" (გამ. 19:5, 6). ადამიანებს ვერ შეეცნოთ თავიანთი ცოდვილი მდგომარეობა; ვერ ხვდებოდნენ, რომ ქრისტეს გარეშე შეუძლებელია უფლის რჯულის აღსრულება და... სასწრაფოდ დაუდეს ღმერთს აღთქმა. ეყრდნობოდნენ რა საკუთარ სიმართლეს, განაცხადეს: "ყველაფერს აღვასრულებთ და შევისმენთ, რაც უბრძანებია უფალს" (გამ. 24:7). იხილეს საკუთარი თვალით, თუ როგორი მრისხანე დიდებულებით წარმოთქვა ღმერთმა თავისი რჯული, შიშისაგან ძრწოდნენ მთის შემოგარენთან, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ სულ დაივიწყეს დადებული ფიცი და თაყვანსაცემად კერპი

ჩამოასხეს. ფიცის გატეხვის შემდეგ მათ აღარ ჰქონდათ უფლის კეთილგანწყობის მოპოვების იმედი; ახლა უკვე შეიგრძნეს თავისი ცოდვილი მდგომარეობა და მიტევების აუცილებლობა, მხსნელის საჭიროება, რომელიც აბრაამის აღთქმაში და მსხვერპლშეწირვის სიმბოლურ მსახურებაში აისახა...

პირობა ძველი აღთქმისა: “რომელიც უნდა შეასრულოს ადამიანმა, რომ ცოცხალი დარჩეს”, ასეთია: დაემორჩილე და იცოცხლებ (ეზეკ. 20:11; იხ. ლევ. 18:5). და, “წყეულიმც იყოს, ვინც გატეხს ამ რჯულის სიტყვებს და არ შეასრულებს მათ!” (რჯლ. 27:26). ახალი აღთქმა “უკეთეს დაპირებებზე” - ცოდვათა მიტევებაზე და უფლის მადლზეა დაფუძნებული, რათა განახლებულმა გულმა უფლის რჯულის პრინციპების მიხედვით ცხოვრება შეძლოს (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 226, 227 [ორიგ. გვ. 371, 372]).

ხსნის ერთადერთი გზა გათვალისწინებულია აბრაამისთვის მიცემული აღთქმის მეშვეობით (დროის ნიშნები, 1892 წ. 5 სექტემბერი).

ლუკ. 3 სამშაბათი

14 მარტი

ანგელოზები - ჩვენი მეგობრები და მცველები

განა ყველანი მომსახურე სულები არ არიან, მათდა სამსახურად წარმოგზავნილნი, ვინც ხსნა უნდა დაიმკვიდროს? (ებრ. 1:14).

მთელი ზეცა განაცვიფრა და აღაფრთოვანა ამ უჩვეულო თავგანწირვის დიდებულებამ - ადამიანის გადარჩენის ერთადერთმა საშუალებამ. როცა ქრისტემ ზეციურ ანგელოზებს გამოსყიდვის გეგმა გაუზიარა, ისინი დიდად დანაღვლიანდნენ, რადგან მიხვდნენ, რომ მხოლოდ უდიდესი ტანჯვის ფასად შეძლებდა მათი საყვარელი მეუფე ადამიანის ხსნას. უდიდესი გულისტკივილითა და გაკვირვებით უსმენდნენ ისინი ქრისტეს გადაწყვეტილებას, დაეტოვებინა ზეციური წმიდა სავანე, მასში გამეფებული სიმშვიდე, სიხარული, დიდება, მარადიული სიცოცხლე და მოვლენოდა ცოდვილ დედამიწას, რათა ეგემა ტანჯვა, სირცხვილი და სიკვდილი...

ანგელოზები... თავიანთ სიცოცხლეს სთავაზობდნენ ადამიანის ხსნისათვის. მაგრამ ანგელოზის სიცოცხლეს არ შეეძლო ცოდვის გამოსყიდვა: ადამიანის გადარჩენას მხოლოდ ის შეძლებდა, ვინც შექმნა იგი. თუმცა ანგელოზებსაც მიეცათ განსაზღვრული როლი გამოსყიდვის განხორციელებაში. იესო “ოდნავ იყო დამცირებული ანგელოზთა წინაშე, რათა მას... ეგემა სიკვდილი ყველას გულისათვის” (ებრ. 2:9). იგი განკაცდება, ადამიანად იქცევა და აღარ ექნება ისეთი ძლიერება, როგორიც მათ გააჩნიათ - და მაშინ ისინი მოემსახურებიან და ანუგეშებენ ღვთის ძეს ტანჯვისა და მწუხარების ჟამს. ანგელოზები ასევე გაიგზავნებიან მათ სამსახურში, ვინც ხსნის მემკვიდრე უნდა გახდეს (იხ. ებრ. 1:14). მათ უნდა დაიცვან ისინი ბოროტ ანგელოზთა ზეგავლენისაგან და გაფანტონ წყვდიადი, რომელსაც სატანა თავს ახვევს მართალთ (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 29, 30 [ორიგ. გვ. 64, 65]).

ანგელოზები მუდამ იქ იმყოფებიან, სადაც უფრო არიან საჭირონი, ისინი იმათ გვერდით არიან, ვინც სასტიკ ბრძოლას ეწევა საკუთარ თავთან და რომელთა გარემოცვაც ყველაზე მეტად აკარგვინებს მათ მხნეობას. ანგელოზები განსაკუთრებით ზრუნავენ შეშინებულ და უძლურ ადამიანებზე, რომლებსაც არასასურველი ხასიათის თვისებები აქვთ. ის, რასაც ეგოისტური ბუნების ადამიანები ჩათვლიდნენ დამამცირებელ მოვალეობად, სახელდობრ, მსახურებას გაუბედურებული, ხასიათის ყოველგვარი ნაკლის მქონეთა მიმართ, წარმოადგენს უმანკო, უცოდველი არსებების საქმეს, რომლებიც ზეციურ დარბაზებში მკვიდრობენ (დროის ნიშნები, 1916 წ. 30 მაისი).

ყველა ზეციური ანგელოზი გაერთიანებულია სამუშაოში, რომელიც მიმართულია იმაზე, რომ ადამიანს მოუტანოს უკეთესი ქვეყნიერების აურაცხელი სიმდიდრე (რევიუ ენდ გერალდი, 1890 წ. 21 იანვარი).

ღმერთი, ქრისტე და ზეციური ანგელოზები თქვენთან ერთად იბრძვიან... გამომსყიდველის ძალით თქვენ შეგიძლიათ იყოთ მეტი, ვიდრე გამარჯვებული (ახალგაზრდობის დამრიგებელი, 1903 წ. 1 იანვარი).

ოთხშაბათი ლუკ. 4

15 მარტი

ღვთის მცნებები სარწმუნოა

მის ხელთა საქმენი ჭეშმარიტება და სამართალია, სარწმუნოა ყველა მცნება მისი, მტკიცე არიან უკუნითი უკუნისამდე, დაფუძნებულნი ჭეშმარიტებასა და სისწორეზე (ფსალმ. 10:7,8).

ღვთის რჯული არსებობდა ადამიანის შექმნამდე, სხვაგვარად, ადამის ქმედება ცოდვად არ ჩაითვლებოდა. ადამის ცოდვით დაცემის შემდეგ რჯულის პრინციპები არ შეცვლილა, მაგრამ შესაბამისი სახით იქნა მოწესრიგებული და გამოხატული, რათა ადამიანის დაცემული მდგომარეობის შესაფერისი ყოფილიყო (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 1, გვ. 1104. ე. უაითის კომენტარი).

ანგელოზებისა და ზეცის ყველა მკვიდრის ცხოვრება განისაზღვრებოდა მისი /რჯულის/ ზნეობრივი პრინციპებით. სატანა იმიტომ დაეცა, რომ დაარღვია ღვთის მმართველობის წმიდა პრინციპები. ადამი და ევა რომ შექმნა, უფალმა თავისი რჯული გამოუცხადა მათ. მაშინ მან წერილობითი ფორმით კი არა, არამედ ზეპირად უთხრა ეს (დროის ნიშნები, 1880 წ. 10 ივნისი).

თავისი სიყვარულით, ჩვენი ამაღლებისა და გაკეთილშობილების სურვილით, ღმერთმა იზრუნა იმაზე, რომ გვქონოდა მორჩილების სტანდარტები. საზეიმო დიდებულებით, ჭექა-ქუხილსა და ელვაში მან სინაის მთიდან გამოაცხადა თავისი წმიდა ათი მცნება. ეს რჯული განმარტავს ადამიანთა ოჯახზე დაკისრებულ მოვალეობებს; პირველი ოთხი მცნება განსაზღვრავს ჩვენს ვალდებულებებს ღმერთის, ხოლო ბოლო ექვსი - ადამიანის მიმართ (დროის ნიშნები, 1912 წ. 9 იანვარი).

უფლის რჯული უფლის ნების გამოცხადება, მისი ხასიათის ანარეკლია, როგორც “ჭეშმარიტი მოწმე ზეცაში”. არც ერთი მცნება არ გაუქმებულა მასში, არც ერთი იოტა, არც ერთი წერტილი. მეფსალმუნე ამბობს: “უკუნისამდე, უფალო, შენი სიტყვა დაფუძნებულია ზეცაში” (ფსალმ. 118:89) (დიადი ბრძოლა, გვ. 335 [ორიგ. გვ. 434]).

უფლის რჯულთან დაკავშირებით თავიდანვე უდიდესი ბრძოლა გაჩაღდა. სატანა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ღმერთი უსამართლოა, რომ მისი რჯული არასრულყოფილია და სამყაროს ინტერესებიდან გამომდინარე - იგი უნდა შეიცვალოს. რჯულზე იერიშის მიტანით სატანა კანონმდებლის ხელმწიფების დამხობას შეეცადა (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 33 [ორიგ. გვ. 69]).

სატანის მიერ ცდუნებაში შეყვანილმა მთელმა კაცობრიობამ დაარღვია უფლის მცნებები, მაგრამ მისი ძის მსხვერპლის მეშვეობით გაიხსნა უფალთან მისასვლელი გზა - ქრისტეს მადლის წყალობით ადამიანს კვლავაც შეუძლია, დაემორჩილოს ზეციერი მამის რჯულს (იქვე, გვ. 206 [ორიგ. გვ. 338]).

როდესაც ღმერთს სრულიად მივენდობით, როდესაც ჩვენს სასოებას დავამყარებთ იესოს, როგორც ცოდვების მიმტევებელი მხსნელის დამსახურებებზე, მაშინ მივიღებთ ნებისმიერ დახმარებას, როგორსაც კი მოვისურვებთ (რევიუ ენდ გერალდი, 1884 წ. 5 აპრილი).

---

16 მარტი

ჩარევა მცნებაში

უზენაესის წინააღმდეგ სიტყვებს იტყვის და უზენაესის წმიდებს შეავიწროვებს. განიზრახავს დროთა და რჯულის შეცვლას. ისინი ხელში მიეცემიან მას დროის, ორი დროისა და ნახევარი დროის მანძილზე (დან. 7:25).

სატანას არ შეეძლო, ხსნის გეგმა ჩაეშალა. იესო ჯვარს აცვეს და მესამე დღეს აღდგა. მაგრამ სატანამ თავისი ანგელოზები დაარწმუნა, რომ ჯვარცმასა და აღდგომას თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა. მას საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა, თუკი იესოს მორწმუნეები ჩათვლიდნენ, რომ იუდეური მსხვერპლშეწირვის მარეგულირებელმა კანონებმა ძალა დაკარგა, და თუკი მათ სხვა უკიდურესობამდე მიიყვანდა, კიდეც აიძულებდა ერწმუნათ ის, რომ ათი მცნება ქრისტესთან ერთად მოკვდა...

მან თავის მსახურებს უთხრა... რომ ათი მცნება იმდენად გასაგებია, რომ ბევრი ჩათვლის მათ სავალდებულოდ, ამიტომ საჭიროა, თუნდაც ერთი მათგანი მაინც შეიცვალოს. ამიტომ მან თავის მოადგილეებს ჩააგონა აზრი - შეეცვალათ მეოთხე მცნება რჯულში - მცნება შაბათის შესახებ, რომელიც ადამიანებს უცხადებს ჭეშმარიტ ღმერთს, როგორც ცისა და მიწის შემქმნელს. სატანამ მათი ყურადღება მიაქცია ქრისტეს დიდებულ აღდგომაზე, თანაც აღნიშნა, რომ კვირის პირველ დღეს აღდგომით შაბათის სიმშვიდე მეშვიდე დღიდან პირველ დღეზე თავად უფალმა გადაიტანა. ამგვარად გამოიყენა სატანამ თავისი მიზნებისთვის ქრისტეს აღდგომა. მას თავის ანგელოზებთან ერთად უხაროდა ის, რომ მათი ვერაგული

ტყუილი ასე კარგად მიიღეს მათ, ვინც თავს ქრისტეს მეგობრებს უწოდებდნენ (სულიერი ნიჭები, ტ. 1, გვ. 109-111).

არაქრისტიან ხელმძღვანელთა მეშვეობით სატანა მეოთხე მცნებასაც შეეხო და შეეცადა უფლის მიერ განწმედილი და კურთხეული დღის, “უფლის შაბათის” (იხ. დაბ. 2:2, 3) გაუქმებას და მის, წარმართთა თაყვანისცემისა და მათ მიერ პატივცემული “მზის საპატიო დღით”, შეცვლას (დიადი ბრძოლა, გვ. 34 [ორიგ. გვ. 52]).

უფალმა გარკვევით მიუთითა ღვთის ქალაქისკენ მიმავალი გზა; მაგრამ დიდმა განდგომილმა აიღო გზის მაჩვენებელი და მის ნაცვლად ცრუ მაჩვენებელი - ყალბი შაბათი დააყენა... ყოველგვარი სიკეთის მტერმა მაჩვენებელი ბოძი ისე შეაბრუნა, რომ იგი უჩვენებს ურჩობის გზას, თანაც მას ასაღებს, როგორც ბედნიერებისკენ მიმავალს... მან ჩაიფიქრა, შეცვალოს დროები და კანონები (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 4, გვ. 1171, 1172. ე. უაითის კომენტარი).

პარასკევი 19:04 ლუკ. 6

17 მარტი

ადამიანი - თავისუფალი ზნეობრივი პიროვნება

ვისაც სურს შეასრულოს მისი ნება, იგი გაიგებს ამ მოძღვრების შესახებ - ღვთისგანაა იგი თუ ჩემით ვლაპარაკობ (იოან. 7:17).

უფალმა ზნეობრივად თავისუფალ არსებად შექმნა ადამიანი და არ სურს მისი დამონება. სხვა სამყაროების მკვიდრთა მსგავსად,

მისი მორჩილებაც უნდა გამოეცადა ღმერთს, მაგრამ უფალი არასოდეს უქმნის ადამიანს ისეთ ვითარებას, რომელიც აიძულებს მას, დაემორჩილოს ცოდვას. არ დაუშვებს უფალი მის ცხოვრებაში ისეთ განსაცდელს ან გამოცდას, რომლის გადალახვასაც იგი ვერ შეძლებს. ყოველივე უბოძა ღმერთმა ადამიანს, რაც საჭიროა სატანასთან ბრძოლაში გამარჯვებისათვის (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 201 [ორიგ. გვ. 331, 322]).

სატანა არის ცოდვის დიდი მამამთავარი, მაგრამ ეს გარემოება არ ამართლებს ცოდვილს, ვინაიდან ეშმაკს არ შეუძლია, ძალის გამოყენებით აიძულოს ადამიანი, შესცოდოს. სატანა ადამიანებს აცდუნებს ცოდვით, როცა მას მიმზიდველი და სასიამოვნო სახით წარმოადგენს, მაგრამ იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ნებას, რომელიც ღმერთმა ყოველ ადამიანს უბოძა... თითოეული ადამიანი თავისუფალია, მიიღოს ან უარყოს მისი ცდუნებები.

მოქცევა - ესაა სამუშაო, რომელსაც უმრავლესობა სათანადოდ ვერ აფასებს. სახუმარო საქმე არაა - შეცვალო მიწიერი, ცოდვის მოყვარული გონება და ის მიიყვანო ენით აუწერელ, ქრისტეს სიყვარულის შეცნობამდე, ისე დაატყვევო უფლის მადლისა და ღმერთის ზნეობრივი აღმატებულების მომხიბვლელობით, რომ სული ღვთიური სიყვარულით აღივსოს (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 2, გვ. 294).

ღმერთმა თავის გეგმაში გაითვალისწინა, რომ ადამიანი არ დარჩენილიყო მარტოდ თავისი მისწრაფებებით, არ ყოფილიყო შემოფარგლული მხოლოდ თავისი უნარებით ბნელეთის ძალებთან ბრძოლაში, თორემ აუცილებლად დამარცხდებოდა

(მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1120. ე. უაითის კომენტარი).

ღმერთი მოგმართავს შენ, როგორც ზნეობრივად თავისუფალ არსებას, რომლის გულისთვისაც უსაზღვრო გამოსასყიდია გადახდილი. ის მოგიწოდებს, იდგე თავისუფლებაში და სურს, რომ გამოიყენო შენი, როგორც ზეციური სამეფოს მოქალაქისთვის მინიჭებული უნარები... შენ მთლიანად უნდა გათავისუფლდე ბოროტების ძალაუფლებისაგან (უწყებები ახალგაზრდობისათვის, გვ. 29, 30).

დაე, დაგეუფლოთ საზეიმო, უცვლელი მიზანი; ღვთის ძალითა და მისი მადლით მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან მისთვის იცხოვრებთ და რომ ვერავითარი მიწიერი მოსაზრება ვერ დაგარწმუნებთ, უარყოთ ათი მცნების ღვთიური რჯული (რევიუ ენდ გერალდი, 1894 წ. 9 ოქტომბერი).

ლუკ. 7 შაბათი

18 მარტი

ზეცასთან ჰარმონიაში

დიდია სიყვარული შენი რჯულის მოყვარულთა, და არ არსებობს მათთვის დაბრკოლება (ფსალმ. 118:165).

ადამი თავის თანამედროვეთ ასწავლიდა ღვთის რჯულს; ეს ცოდნა მამიდან შვილებს გადაეცემოდა თაობიდან თაობაში. მაგრამ... მხოლოდ უმცირესობა დაემორჩილა უზენაესის მცნებებს. მალე ისე ღრმად დაეცა განდგომილი წUთისოფელი,

რომ მისი ცოდვისგან განწმედა მხოლოდ საყოველთაო წარღვნით გახდა შესაძლებელი. ნოე და მისი ოჯახიც იცავდა უფლის მცნებებს. ოჯახის მამა მათ მნიშვნელობას აცნობდა შვილებს. ხოლო, როცა ადამიანები კვლავ განუდგნენ ღმერთს, უფალმა ამოირჩია აბრაამი, რომელზედაც თქვა: “დამიჯერა აბრაამმა და ასრულებდა ჩემს ნაანდერძევს, ჩემს ბრძანებებს, ჩემს მცნებებს, ჩემს სჯულდებებს” (დაბ. 26:5)...

სინაის მთაზე მოცემული რჯულის შესახებ ნეემია წინასწარმეტყველი ამბობს: “სინაის მთაზე ჩამოხველ, ზეციდან ელაპარაკე მათ და სწორი სამართალი, ჭეშმარიტი რჯულნი, კეთილი წესები და მცნებები მიეცი” (ნეემ. 9:13). პავლე კი აცხადებს: “ამრიგად, რჯული წმიდაა, მცნებაც წმიდაა, მართალი და კეთილი” (რომ. 7:12) (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 221, 222 [ორიგ. გვ. 363-365]).

მთელი წუთისოფელი გასამართლებული იქნება ზნეობრივი კანონით, იმ შესაძლებლობიდან გამომდინარე, რომელიც ადამიანს ჰქონდა, რომ გაცნობოდა ამ მსჯელობა-აზროვნების, ტრადიციების თუ დაწერილი სიტყვის მეშვეობით (დროის ნიშნები, 1881 წ. 9 ივნისი).

მასში ჩვენ ვხედავთ ღმერთის სიკეთეს, რომელიც ადამიანებს უცხადებს სამართლიანობის გარდაუვალ პრინციპებს, თან ცდილობს, დაიცვას ისინი იმ მანკიერებებისგან, რაც რჯულის დარღვევის შედეგია...

რჯული არის ღვთის აზრების გამოხატვა. როდესაც მას ვიძენთ ქრისტეში, ის ჩვენი აზრი ხდება. იგი გვაყენებს იმ ბუნებრივ სურვილებსა და მიდრეკილებებზე, ცდუნებებზე მაღლა, რომლებსაც ცოდვასთან მივყავართ. “დიდია სიყვარული შენი

რჯულის მოყვარულთა, და არ არსებობს მათთვის დაბრკოლება” (ფსალმ. 118:165). უსამართლობაში არ არის მშვიდობა; უწმიდური იმყოფება ომის მდგომარეობაში ღმერთთან. ის კი, ვინც იძენს რჯულის სამართლიანობას ქრისტეში, იმყოფება თანხმობაში ზეცასთან (ხელნაწერი 23ა, 1896 წ.).

ქრისტეში მიღებული ღვთის რჯული ასუფთავებს ჩვენს ხასიათს, რომელიც სიხარულს მოგვიტანს მთელ მარადისობაში (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1110. ე. უაითის კომენტარი).

კვირა ლუკ. 8

19 მარტი

საოცარი ჭეშმარიტებები ღვთის რჯულში

აღმიხილნე თვალნი და ვჭვრეტდე საოცრებებს შენი რჯულისას! (ფსალმ. 118:18).

იესო ქრისტე არის რჯულის დიდება. სამართლიანობის მზის ნათელი სხივები ღვთის წარგზავნილებიდან უნდა აირეკლოს ცოდვილთა გონებაზე, რათა მათ ერთ-ერთი ძველთაგანი ადამიანის მსგავსად თქვან: “აღმიხილნე თვალნი და ვჭვრეტდე საოცრებებს შენი რჯულისას!” ბევრი... ვერ ამჩნევს ღვთის რჯულში დაფარულ სასწაულებს. მათ ვერ შენიშნეს ის, რაც გაეხსნა მოსეს, როცა ლოცულობდა: “მაჩვენე შენი დიდება” (გამ.

33:18). მოსეს ღვთის ხასიათი გაუცხადდა (ხელნაწერი 21, 1891 წ.).

რჯულში ყოველი დეტალი აცხადებს მარადიული ღმერთის ხასიათს (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 1, გვ.1104. ე. უაითის კომენტარი).

ზეციური კანონი მუდამ მოწყალე, კეთილი, ნაზი და სასარგებლოა ადამიანებისათვის, იგი აღამაღლებს მათ (წერილი 42, 1893 წ.).

ღვთის გათელილი რჯული ამაღლებული უნდა იქნას ადამიანების წინაშე; როგორც კი გულწრფელად და ღვთისმოსაობით მიმართავენ ისინი წმიდა წერილს, ზეციური შუქი გაუხსნის მათ ღვთის რჯულის სასწაულებს... ჭეშმარიტებები, რომლებიც მიუწვდომელია ინტელექტის გიგანტებისთვის, ადვილი გასაგებია ჩვილებისთვის ქრისტეში (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 5, გვ. 388).

ათი მცნების რჯული განხილული უნდა იყოს არა იმდენად მისი აკრძალვების პოზიციიდან, რამდენადაც მისი წყალობის მხრიდან. მისი აკრძალვები წარმოადგენს ბედნიერების საიმედო გარანტიას მორჩილებაში...

ჩვენ ღმერთში არ უნდა ვხედავდეთ იმას, ვისაც სურს ცოდვილის დასჯა ცოდვის გამო. ცოდვილი თავად იტეხავს თავზე სასჯელს. მისი საკუთარი საქციელები ვარაუდობს დასაწყისს გარემოებათა ჯაჭვისა, რომელსაც გარდაუვალი შედეგები მოსდევს. ყოველი შეცდომა აისახება ცოდვილზე, ახდენს ცვლილებას მის ხასიათში და უადვილებს შემდეგი ცოდვის ჩადენას. ადამიანები, ვინც ცოდვას ირჩევენ, შორდებიან

ღმერთს, კეტავენ კურთხევების ნაკადს, რომლის გარდაუვალი შედეგი ხდება მარცხი და სიკვდილი (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1085. ე. უაითის კომენტარი).

ამ რჯულის მორჩილების მეშვეობით გონება მყარი ხდება, ხოლო სინდისი იღვიძებს და ფაქიზდება. ახალგაზრდობას ესაჭიროება, რომ ჰქონდეს ღვთის რჯულის მკაფიო შეგნების უნარი (ახალგაზრდობის დამრიგებელი, 1903 წ. 22 სექტემბერი).

ლუკ. 9
ორშაბათი

20 მარტი

იესოს მაგალითი რჯულის დაცვაში

თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ, ჩემს სიყვარულში დარჩებით, როგორც მე დავიცავი ჩემი მამის მცნებები და ვრჩები მის სიყვარულში (იოან. 15:10).

ღვთის რჯული არის ზნეობრივი სრულყოფილების ერთადერთი ჭეშმარიტი კრიტერიუმი. ეს რჯული პრაქტიკულად განხორციელდა ქრისტეს ცხოვრებაში. ის თავის თავზე ამბობს: “მე დავიცავი ჩემი მამის მცნებები” (განწმედილი ცხოვრება, გვ. 80).

რჯული არის ღმერთის ზრახვათა გამომჟღავნება. და როდესაც ქრისტეს რწმენით ვღებულობთ მას /რჯულს/, იგი იწყებს ჩვენი ზრახვების გამოხატვას... ჩვენი ბედნიერებისთვის დაადგინა

უფალმა რჯული, რომლის აღსრულებით ვპოვებთ სიხარულს. იესოს დაბადებისას ანგელოზები გალობდნენ:

“დიდება მაღალთა შინა ღმერთს, მშვიდობა ქვეყანაზე, და კაცთა შორის სათნოება!” (ლუკ. 2:14).

ასე იქნა ჩამოყალიბებული რჯულის პრინციპები, რომელთა განსადიდებლადაც იესო მოვიდა დედამიწაზე...

იესომ თქვა: “ვიდრე ცა და დედამიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება” (მათ. 5:18). მზე, რომელიც ცაზე ანათებს, დედამიწა, სადაც შენ ცხოვრობ, უფლის მოწმენი არიან, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მისი კანონი უცვლელი და მარადიულია. ისინი შეიძლება გაქრნენ, უფლის მცნებები კი დარჩებიან. “უმალ ცა და მიწა გადაივლის, ვიდრე ერთი წერტილი ამოვარდება რჯულიდან” (ლუკ.16:17)...

და რადგანაც “უფლის რჯული სრულყოფილია”, ყოველგვარი გადახრა მისგან ბოროტებაა. ის, ვინც არღვევს უფლის მცნებებს და ასე ასწავლის სხვებსაც, ქრისტესგან მსჯავრდადებულია. ღვთის ნებისადმი თავისი მორჩილებით მაცხოვარმა დაამტკიცა რჯულის ყველა მოთხოვნა. მან დაამტკიცა, რომ ადამიანს შეუძლია რჯულის დაცვა და ხილული გახადა პიროვნების სრულყოფილება, რომელიც მხოლოდ მცნებებისადმი მორჩილებით მიიღწევა. ყველა, ვინც უფლის მცნებებს ასრულებს იესოს მსგავსად, ამტკიცებს, რომ “რჯული წმიდაა, მცნებაც წმიდაა, მართალი და კეთილი” (რომ. 7:12) (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 229, 230 [ორიგ. გვ. 308, 309]).

როდესაც ადამიანი იესო ქრისტეს რწმენის მეშვეობით ყველაფერს საუკეთესო სახით აკეთებს თავისი შესაძლებლობების შესაბამისად და ცდილობს, არ გადაუხვიოს უფლის გზიდან, ემორჩილება ათ მცნებას, მაშინ ეს მას ეთვლება ქრისტეს სრულყოფილებად, რომელიც ფარავს მონანიე და მორჩილი ადამიანის ცოდვას (ქრისტიანული აღზრდის პრინციპები, გვ. 135).

სამშაბათი ლუკ. 10

21 მარტი

რჯულის დიადი პრინციპი

თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებები დაიცავით (იოან. 14:15).

მაშინ გამოცხადებული რჯული მხოლოდ ებრაელთათვის არ იყო განკუთვნილი. ღმერთმა გამოარჩია ისინი მისი რჯულის დამცველებად და საპატიო გუშაგებად, რათა წუთისოფლისათვის შეენახათ იგი, როგორც წმიდა მემკვიდრეობა. უფლის ათი მცნება მთელ კაცობრიობაზე ვრცელდება. ყოველ ადამიანს მისცა იგი ღმერთმა სასწავლებლად და სახელმძღვანელოდ. ათი მოკლე, ყოვლისმომცველი და სამართლიანი პრინციპი გამოხატავს ღმერთისა და მოყვასისადმი ადამიანის დამოკიდებულებას და ყოველი მათგანი სიყვარულის უდიდეს პრინციპზეა დაფუძნებული. “შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი გონებით, და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი” (ლუკ.

10:27) (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 184 [ორიგ. გვ. 305]).

ღვთის რჯული ახალი არაა. იგი წარმოადგენს გამოხატვას არა ახალი სიწმიდისა, არამედ იმ სიწმიდისა, რომელიც დიდი ხანია ცნობილია. ესაა ღმერთის წყალობის, სიკეთისა და სიყვარულის ამსახველი პრინციპების კრებული. ის დაცემულ კაცობრიობას უცხადებს ღვთის ხასიათს და მკაფიოდ აყალიბებს ადამიანის მოვალეობას ღმერთის წინაშე (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 1, გვ. 1104, 1105. ე. უაითის კომენტარი).

თავისი წმიდა რჯულის მცნებებში ღმერთმა მოგვცა ცხოვრების სრულყოფილი წესი, როცა თქვა, რომ ეს რჯული იოტისოდენადაც კი არ შეიცვლება და ყველასთვის სავალდებულო დარჩება ჟამთა დასასრულამდე. ქრისტე მოვიდა, რათა განედიდებინა და აღემაღლებინა იგი... თავისი საკუთარი ცხოვრებით მან მოგვცა ღვთის რჯულისადმი მორჩილების მაგალითი, ხოლო მთაზე ქადაგებაში გვაჩვენა, რომ მისი მოთხოვნები სცილდება კონკრეტული საქციელების საზღვრებს და ვრცელდება აზრებსა და გულის ზრახვებზე (მოციქულთა საქმეები, გვ. 505).

დღეს უფალი ადამიანებს საშუალებას აძლევს, საქმით აჩვენონ, უყვართ თუ არა თავიანთი მოყვასი, როგორც საკუთარი თავი. ვისაც გულწრფელად უყვარს ღმერთი და თავისი მოყვასი, ის წყალობას გამოიჩენს უბედურთა, დატანჯულთა, დამწუხრებულთა და დაღუპვის პირას მდგომთა მიმართ. უფალი თითოეულს მოუწოდებს, ხელი მოკიდონ ამ საქმეს, რომელსაც ასე დიდხანს უგულებელყოფდნენ, რათა

კაცობრიობაში აღადგინოს შემოქმედის ზნეობრივი სახე (ქველმოქმედების მსახურება, გვ. 49)

ღვთის ათი მცნება არის ჩვენთვის მოცემული ათი აღთქმა, განპირობებული ჩვენი მორჩილებით მათ, როგორც სამყაროს მმართველი კანონის მიმართ. “თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებები დაიცავით” (იოან. 14:15) (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 1, გვ. 1105. ე. უაითის კომენტარი).

ლუკ. 11 ოთხშაბათი

22 მარტი

ჩვენი დაუცველი მდგომარეობა ცოდვაში

მეძიეთ მე და მიპოვნით, როდესაც მეძიებთ მთელი თქვენი გულით. ნაპოვნი ვიქნები თქვენს მიერ, - სიტყვა უფლისა (იერ. 29:13, 14).

ცოდვამ ჩამოგვაშორა ღმერთთან ერთად ცხოვრებას. ჩვენი სულები დადამბლავებულია... ცოდვიანობის შეგნება წამლავს სიცოცხლის წყაროებს (განკურნების მსახურება, გვ. 84, 85).

ჩვენი ბუნებით ჩვენ შორსა ვართ უფლისაგან. სულიწმიდა ასე აღწერს ჩვენს მდგომარეობას: “მკვდრები დანაშაულით და ცოდვებით”; “მთელი თავი დასნეულებული გაქვთ”, “გული შეღონებული”, “საღი ადგილი აღარ შეგრჩათ”. ჩვენ მაგრად ვართ გაბმულნი სატანის მახეში, რომელშიც “მან თავისი ნებისამებრ დაგვატყვევა” (ეფეს. 2:1; ეს. 1:5, 6; 2ტიმ. 2:26). უფალს ჩვენი განკურნება და გათავისუფლება სურს, მაგრამ

ამისათვის საჭიროა მთელი ჩვენი ბუნების ძირფესვიანად გარდაქმნა და განახლება. ამიტომ სრულად უნდა მივენდოთ ღმერთს.

ბრძოლა საკუთარ “მე”-სთან, - ეს არის უდიდესი ბრძოლა, რომელიც კი როდისმე ჰქონია ადამიანს. დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ ვძლიოთ საკუთარ “მე”-ს და სრულად დავემორჩილოთ უფალს. ღვთისადმი სრული მორჩილების გარეშე შეუძლებელია ახალი, წმინდა ცხოვრების დაწყება (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 21).

ბევრს შეგნებული აქვს თავისი დაუცველობა. მათ გულით სწადიათ ის სულიერი ცხოვრება, რომელიც მოუტანს ჰარმონიას ღმერთთან და ცდილობენ, მოიპოვონ იგი. მაგრამ ამაოდ... დაე, ამ უსიცოცხლო, ბრძოლით დაქანცულმა ადამიანებმა თავისი მზერა ზევით მიმართონ...

როდესაც ცოდვა იბრძვის, რომ თქვენს სულს დაეპატრონოს... მიმართეთ მაცხოვარს. მისი მადლი საკმარისია, რათა ცოდვა დაამარცხოთ. დაე, თქვენმა მადლიერებით აღსავსე, გაუბედავმა გულმა მას მიმართოს. დაე, თქვენმა იმედმა გზა გიჩვენოთ... უფლის ძალა დაეხმარება თქვენს უძლურებას, ის ნაბიჯ-ნაბიჯ წაგიყვანთ. ჩაკიდეთ უფალს ხელი და ნება მიეცით, გიხელმძღვანელოთ (განკურნების მსახურება, გვ. 84, 85).

ის გაათავისუფლებს ტყვეებს უძლურებისგან, უიღბლობისა და ცოდვის ბორკილებისაგან...

უფალი მუდამ გვერდითაა. თქვენ მისი სიყვარულის ატმოსფეროთი ხართ გარემოცული. ეძებეთ იგი, რადგან იგი არის ის, ვისაც სურს, რომ იპოვონ (იქვე).

უფალი გვპირდება: “დამიწყებთ ძებნას და მიპოვით, თუ მთელი გულით მეძებეთ” (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 21).

ხუთშაბათი ლუკ. 12

23 მარტი

ორივე აღთქმის სახარება

ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისაგან, რომელთანაც არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა (იაკ. 1:17).

ადამის დაცემიდან მოყოლებული, ცოდვა ჩვენი წუთისოფლის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, და ჩვენს ინტერესებშია ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს იგი. იოანე ამტკიცებს: “ყოველი ცოდვის ჩამდენი ურჯულოებასაც სჩადის და ცოდვა ურჯულოებაა” (1იოან. 3:4). (ახალგაზრდობის დამრიგებელი, 1898 წ. 20 ოქტომბერი).

უფალს განზრახული აქვს ... გვიხსნას... ცოდვისაგან. ცოდვით გაუწმიდურებული და დამახინჯებული სული უნდა განიწმიდოს და გარდაიქმნას (ქრისტეს ქადაგება მთაზე, გვ. 61).

სახარებას ძალუძს გადაარჩინოს სატანის მიერ დეგრადირებული და დამონებული ადამიანები და მათ მისცეს შესაძლებლობა, დატკბნენ ღვთის შვილთა დიდებული თავისუფლებით (იქვე, გვ. 60, 61).

სახარება... არის ღმერთის ძალა და სიბრძნე (ქრისტიანული აღზრდის პრინციპები, გვ. 262).

ქრისტე დედამიწაზე იქნა გამოგზავნილი, რათა ღვთის ხასიათი გამოეცხადებინა... ის თვითონ იყო სახარება (რევიუ ენდ გერალდი, 1896 წ. 17 ივლისი).

ცდებიან ის ეგრეთ წოდებული მორწმუნენიც, რომლებიც მხოლოდ სახარებას ასწავლიან, ვინაიდან უგულებელყოფენ ძველი აღთქმის წერილებს, რომლებზეც ქრისტემ თქვა: "ისინი კი ჩემზე მოწმობენ" (იოან. 5:39). ძველ ჭეშმარიტებათა უარყოფით ისინი, ფაქტობრივად, ახალსაც უარყოფენ, რადგან ეს ორი ერთმანეთისაგან განუყოფელია. არავის შეუძლია, უფლის რჯული ჭეშმარიტად წარმოაჩინოს სახარების გარეშე და პირიქით, სახარება - უფლის რჯულის გარეშე. რჯული ხორცშესხმული სახარებაა; სახარება კი - გახსნილი რჯული. რჯული არის ფესვი, სახარება კი - მისგან აღმოცენებული სურნელოვანი ყვავილი და ნაყოფი (ქრისტეს იგავები, გვ. 70 [ორიგ. გვ. 128]).

ის, ვინც სინაის მთაზე რჯული გამოუცხადა და მოსეს მეშვეობით რიტუალური კანონი გადასცა ისრაელიანებს, იგივეა, ვინც ახალ აღთქმაში მთაზე ქადაგებდა... რჯული ერთმა და იმავე მოძღვარმა გვიქადაგა, უფლის მოთხოვნები ყოველთვის ერთნაირია; მმართველობის პრინციპებიც, რადგან ყოველივე მისგან მოდის, "რომელთანაც არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა" (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 228 [ორიგ. გვ. 373]).

ახალი აღთქმის სახარება არაა ძველაღთქმისეული ნორმის გაადვილებული ვერსია, რომელიც ცოდვილის გადარჩენის ნებას იძლევა. ღმერთი ყველა თავისი მორჩილისაგან მოითხოვს მისი ყველა წესისადმი სრულ დაჯერებას და მისი ყველა

მცნებისადმი სრულ მორჩილებას (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1072. ე. უაითის კომენტარი).

ლუკ. 13 პარასკევი
19:12

24 მარტი

უხვი მადლი მორჩილების პასუხად

ვინაიდან ცოდვა ვეღარ იბატონებს თქვენზე, რადგან თქვენ რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ ხართ (რომ. 6:14).

სატანამ წამოაყენა ცრუ იდეა, თითქოს ქრისტეს სიკვდილმა მოიტანა მადლი, რომელმაც შეცვალა რჯული. ქრისტეს სიკვდილს არ შეუცვლია, არ გაუუქმებია და ოდნავადაც არ დაუმცირებია ათი მცნების კანონი. ძვირფასი მადლი, ადამიანებისთვის მაცხოვრის სისხლის მეშვეობით ნაჩუქარი, ღვთის რჯულს განამტკიცებს. ადამიანის დაცემის დროიდან მოყოლებული ღვთის ზნეობრივი მმართველობა და უფლის მადლი განუყოფელი არიან. მთელი ამ დროის განმავლობაში ისინი მხარდამხარ მოდიან. “წყალობა და ჭეშმარიტება შეხვდებიან ერთმანეთს, სიმართლე და მშვიდობა გადაჰკოცნიან ერთიმეორეს” (ფსალმ. 84:11) (რევიუ ენდ გერალდი, 1881 წ. 8 მარტი).

ღვთის ყოველი მცნება არის წყალობის, სიყვარულისა და გადამრჩენელი ძალის გამოვლენა. ამ კანონებისადმი მორჩილებაზეა დამოკიდებული ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ხსნა,

ჩვენი ბედნიერება და ჩვენი მშვიდობა (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 3, გვ. 1153. ე. უაითის კომენტარი).

ღვთის დადგენილებებისა და კანონებისადმი მორჩილება არის მისი ხალხის ცხოვრება და აყვავება (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 1, გვ. 1120. ე. უაითის კომენტარი).

სახარებისეული იმედი ცოდვილს არ აღუძრავს სურვილს, ქრისტესმიერ ხსნას უყუროს, როგორც არაფრად ღირებულ მადლს, რომელიც უფლებას აძლევს, ისევ დაუსჯელად არღვიოს ღვთის რჯული. როდესაც ჭეშმარიტების შუქი ანათებს ცოდვილის გონებას და მას მთლიანად ესმის ღმერთის მოთხოვნები და თავისი ურჯულოების მთელი სიმძიმე, იგი ასწორებს თავის გზებს, ხდება ღმერთის ერთგული იმ ძალის წყალობით, რომელსაც თავისი მხსნელისაგან ღებულობს, და შემდგომში ახალი, სუფთა ცხოვრებით ცხოვრობს (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 4, გვ. 294, 295).

იმის მსგავსად, როგორც ჩვენი გულისთვის შეწირული მსხვერპლი იყო სრული, ასევე ჩვენი აღდგენაც ცოდვის სიბინძურიდან უნდა იყოს სრული. ღვთის რჯული არ ამართლებს არც ერთ უზნეო საქციელს, ვერცერთი უსამართლო საქციელი ვერ გადაურჩება სამჯავროს. სახარების ეთიკა არ აღიარებს სხვა სტანდარტს, გარდა სრულყოფილი ღვთიური ხასიათისა. ქრისტეს ცხოვრება იყო სრულყოფილი შესრულება რჯულის თითოეული მცნებისა. მან თქვა: “მე დავიცავი ჩემი მამის მცნებები”. მისი ცხოვრება არის მორჩილებისა და მსახურების მაგალითი ჩვენთვის. მხოლოდ ერთს, ღმერთს შეუძლია გულის განახლება. “ღმერთი დაბადებს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც თავისი სათნოებით”. მაგრამ

მოცემული გვაქვს ბრძანება: “იღვაწეთ თქვენს სახსნელად” (იოან. 15:10; ფილიპ. 2:13, 12) (განკურნების მსახურება, გვ. 451, 452).

ღვთის მორჩილი შვილისათვის მცნებები სასიხარულოა (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 3, გვ. 1152. ე. უაითის კომენტარი).

შაბათი ლუკ. 14

25 მარტი

რწმენა, რომელიც მოქმედებს

ხოლო რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისთვის მოსაწონად ყოფნა, ვინაიდან ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს და თავის მაძიებელს სანაცვლოს მიაგებს (ებრ. 11:6).

გწამდეს და ნამდვილად იცოდე - ორი სხვადასხვა რამეა; “ხოლო რწმენა არის მტკიცე დარწმუნება იმაში, რასაც ვესავთ, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ” (ებრ. 11:1) (დროის ნიშნები, 1876 წ. 3 მარტი).

რწმენა - ესაა ნდობა ღმერთისადმი, გაცნობიერება იმისა, რომ ღმერთს ვუყვარვართ და იცის, რა არის ჩვენთვის ყველაზე უკეთესი. ამგვარად, იმის ნაცვლად, რომ ჩვენი გზით მივდიოდეთ, რწმენას მივყავართ ღვთის გზის არჩევასთან. ნაცვლად ჩვენი უმეცრებისა, რწმენა ღებულობს ღვთის სიბრძნეს; ნაცვლად ჩვენი სისუსტისა - მის ძალას, ნაცვლად ჩვენი ცოდვიანობისა - მის სიმართლეს. ჩვენი სიცოცხლე და

თვით ჩვენც უკვე ღმერთს ვეკუთვნით. რწმენა აღიარებს, რომ ჩვენ ღმერთს ვეკუთვნით და ღებულობს აქედან გამომდინარე კურთხევებს. რწმენა გვეხმარება გავაცნობიეროთ, რომ პატიოსნება, ჭეშმარიტება, ზნეობრივი უმანკოება წარმოადგენს ცხოვრებაში ნამდვილი წარმატების საიდუმლოს. სწორედ რწმენის მეშვეობით ვხვდებით ამ თვისებების მფლობელები. ყოველი კეთილი სურვილი თუ მისწრაფება არის ღმერთის საჩუქარი. რწმენა ღმერთისგან ღებულობს სიცოცხლეს და მხოლოდ ეს სიცოცხლე შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ზრდისა და მსახურებაში ეფექტურობის მიზეზი (სახარების მსახურნი, გვ. 259).

რწმენაზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი: დაიჯერო და მიიღო ის ფაქტი, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ჭეშმარიტ რწმენას. ყოვლისშემძლე ღმერთის არსებობა, მისი სიტყვის ჭეშმარიტება - ეს არის ფაქტი, რომლის უგულებელყოფა თვით სატანას და მის მხედრობასაც არ შეუძლია. ბიბლია ამბობს: “ეშმაკებსაც სწამთ იგი და კანკალებენ” (იაკ. 2:19). მაგრამ ეს არ არის ის რწმენა, რომელსაც უფალი მოელის ჩვენგან. ჭეშმარიტი რწმენა ვლინდება სიყვარულის საქმეებში და განწმედს სულს - და ეს არა მხოლოდ ღვთის სიტყვის აღიარებაა, არამედ მისი ნებისადმი მორჩილება და სიყვარულით სავსე გულით მინდობა. ასეთი რწმენა განაახლებს ადამიანს და აღადგენს მასში ღვთის ხატებას. აქამდე ადამიანი არ ემორჩილებოდა და არც შეიძლებოდა დამორჩილებოდა რჯულს. განახლებულ ადამიანში კი წმიდა მცნებები სიხარულს იწვევენ და ის მეფსალმუნესთან ერთად იტყვის: “რარიგად მიყვარს შენი რჯული, ის არის ჩემი საფიქრალი დღენიადაგ” (ფსალმ. 118:97).

“ახლა რჯულის სამართლიანი მოთხოვნა აღსრულდება ჩვენში, რომლებიც ვცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად” (რომ. 8:1) (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 31).

რწმენით ჩვენ არაფერს ვიმსახურებთ; ეს არის ღვთის ნიჭი, რომელიც შეგვიძლია მივიღოთ და გავუფრთხილდეთ მას, როცა ქრისტეს ვღებულობთ ჩვენს პირად მხსნელად (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1080).

ლუკ. 15 კვირა

26 მარტი

როგორ აღწევს რწმენა სრულყოფილებას

ასევეა რწმენაც: თუ საქმენი არ გააჩნია, თავისთავად მკვდარია (იაკ. 2:17).

ცოდვის განდევნა თავად ადამიანის მოქმედებაა. ადამიანი უდიდესი საჭიროებით ღაღადებს ძალაზე, რომელიც მის საკუთარს აღემატება; და სულიწმიდის მოქმედების მეშვეობით გონების კეთილშობილური უნარები იძენს ძალას, თავი დააღწიოს ცოდვის ტყვეობას.

როდესაც ადამიანი თავს აბარებს ქრისტეს, მისი გონება კონტროლდება კანონით, მაგრამ ეს არის სამეფო კანონი, რომელიც ყოველ ტყვეს თავისუფლებას უცხადებს. მხოლოდ ქრისტესთან შეერთებით შეუძლიათ ადამიანებს, მოიპოვონ თავისუფლება. საკუთარი ნების დამორჩილება ქრისტეს მიმართ

ნიშნავს სრული სიმწიფის აღდგენას. ცოდვა ზეიმობს მხოლოდ მაშინ... როცა სულის თავისუფლებას ანადგურებს.

აცნობიერებთ თქვენს ცოდვიანობას? გძულთ ცოდვა? მაშინ გახსოვდეთ, რომ ქრისტეს სიმართლე თქვენია, თუკი მას მოეჭიდებით. განა არ ხედავთ, თუ რა მყარი საფუძველი გიყალიბდებათ ფეხქვეშ, როდესაც ქრისტეს ღებულობთ? ღმერთი თავისი ძის მსხვერპლს ღებულობს, როგორც სრულ გამოსასყიდს წუთისოფლის ცოდვებისათვის (ახალგაზრდობის დამრიგებელი, 1900 წ. 20 სექტემბერი).

ჭეშმარიტი რწმენა, რომლის დროსაც ქრისტეს სავსებით არიან მინდობილნი, უფლის ყველა მოთხოვნის მორჩილებით აღსრულებაში მჟღავნდება... ყველა საუკუნეში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც უარყოფდნენ უფლის ზოგიერთ მცნებას და ამავე დროს ამტკიცებდნენ, რომ უფლება აქვთ უფლის წყალობაზე. მაგრამ წმიდა წერილი ამბობს, რომ “საქმეებით კი სრულყოფილი შეიქმნა რწმენა” და რომ “რწმენა, თუ საქმენი არ გააჩნია, თავისთავად მკვდარია” (იაკ. 2:22, 17) (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 36, 37 [ორიგ. გვ. 73]).

სატანას სწამს და კანკალებს. ის მოქმედებს. მან იცის, რომ ცოტა დროღა დარჩა და დიდი ძალით მოდის, რათა ბოროტი საქმეები აკეთოს თავისი რწმენისამებრ. ღვთის შვილები კი რწმენას არ განამტკიცებენ დაქმეებით. მათ სწამთ, რომ ბევრი დრო არ დარჩა, მაგრამ ისე მყარად ეჭიდებიან ამქვეყნიურ სიკეთეებს, თითქოს ქვეყნიერება კვლავ ათასი წელი დარჩება ამ მდგომარეობაში (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 2, გვ. 161).

გჯერა თუ არა, რომ “ყველაფრის აღსასრული მოახლოებულია”, რომ მიწიერი ისტორიის სურათები მალე

გადის? თუ ასეა, შენი რწმენა შენი საქმეებით დაამტკიცე. ადამიანს შეუძლია გამოაჩინოს თავისი რწმენა, რომელიც აქვს (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 1, გვ. 709).

ორშაბათი ლუკ.16

27 მარტი

ხომ არ ვეწინააღმდეგებით ჩვენს წოდებას?

რჯულით იკვეხნი და რჯულის დარღვევით ღმერთს შეურაცხყოფ. რადგან თქვენი გულისათვის, როგორც სწერია, ღვთის სახელი იგმობა წარმართებში (რომ. 2:23, 24).

ყველა, ვინც შეუერთდა ეკლესიას და არა უფალს, რაღაცა დროის შემდეგ თავის ჭეშმარიტ ხასიათს გამოავლენს. “მათი ნაყოფით იცნობთ მათ” (მათ. 7:16). ღვთისმოსაობის, თავშეკავების, მოთმინების, სიკეთის, სიყვარულისა და გულმოწყალების ძვირფასი ნაყოფები არ ჩანს მათ ცხოვრებაში. მათ მხოლოდ ეკალ-ბარდები მოაქვთ. ღმერთს ქვეყნიერების წინაშე სახელი უტყდება ყველა ასეთი მორწმუნის მიერ. ... სატანამ იცის, რომ ისინი მისი საუკეთესო მუშა აგენტები არიან, რადგანაც მათ გულსა და ცხოვრებაში არ მოხდა ცვლილებები და მათი საქმეები წარმოადგენს მკაფიო კონტრასტს მათ რწმენასთან შედარებით, იცის, რომ ისინი დაბრკოლების ქვა არიან ურწმუნოებისათვის და დიდი გამოცდა მორწმუნეთათვის...

როგორ ანგარიშს ჩააბარებენ დასკვნითი შედეგების შეჯამების დღეს ისინი, ვინც აცხადებს, რომ იცავს ღვთის მცნებებს,

ამავდროულად კი მათი ცხოვრება ეწინააღმდეგება მათ რწმენას, რადგანაც მათ კეთილი ნაყოფები არ მოაქვთ (ხელნაწერი 1, 1878 წ.).

ბევრი ადამიანი შიშისაგან კანკალებს, როდესაც ახსენდება საშინელი დანაშაულები, ამ დროს კი მტერი აიძულებს, რომ პატარა ცოდვებს უყუროს ისე, როგორც რაღაცა უმნიშვნელოს. მაგრამ სწორედ ეს პატარა ცოდვები უკარგავს მათ ღვთისმოსაობას. ნაბიჯები, რომლებიც ვიწრო ბილიკიდან გადადიან, ბოლოს დგებიან სიკვდილისკენ მიმავალ ფართო გზაზე. დაწყებული განდგომილების შეჩერება უკვე შეუძლებელია (რევიუ ენდ გერალდი, 1887 წ. 8 ნოემბერი).

ქრისტეს ნამდვილი მოწაფე ცდილობს მის მაგალითს მიბაძოს. უფლის სიყვარული სრულყოფილ მორჩილებამდე მიიყვანს. იგი ისწავლის ღვთის ნების შესრულებას დედამიწაზე ისე, როგორც ის ზეცაში სრულდება. ადამიანი, ვისი გულიც ჯერ ისევ გაუწმინდურებულია ცოდვით, ვერ იქნება თავგამოდებული კეთილი საქმეების მიმართ, ვერც ფრთხილი, რომ ბოროტებისაგან შეიკავოს თავი... და ვერც ყურადღებიანი თავისი უმართავი ენის მიმართ. ის არ იზრუნებს იმაზე, რომ უარყოს საკუთარი თავი და აიღოს ქრისტეს ჯვარი...

გულის მმართველი და ცხოვრების მაკონტროლებელი სულის ნაყოფების არსია სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, აიკეთე, თანაგრძნობა და გონების მორჩილება. ჭეშმარიტი მორწმუნეები მიჰყვებიან სულიწმიდას და ღვთის სული მათშია დამკვიდრებული (ხელნაწერი 1, 1878 წ.).

---

28 მარტი

აბათილებს თუ არა რწმენა მორჩილებას?

მაშ, ჩვენ რწმენით ვაბათილებთ რჯულს? არამც და არამც. არამედ განვამტკიცებთ რჯულს (რომ. 3:31).

რწმენა არ არის დამამშვიდებელი ნივთიერება, არამედ სტიმულატორია. როცა გოლგოთას უმზერთ, თქვენი სული ვერ დაწყნარდება სანამ იგი თავის მოვალეობას არ შეასრულებს და სანამ მასში არ გაჩნდება მოქმედი რწმენა, რომელიც განწმედს სულს ყოველგვარი ეგოიზმისგან (რევიუ ენდ გერალდი, 1893 წ. 24 იანვარი).

ქრისტეს რწმენა, სულის გადამრჩენელი, სულაც არაა ისეთი, როგორიც ბევრს წარმოუდგენია. “გწამდეთ, გწამდეთ, - იძახიან ისინი. - მარტო გწამდეთ ქრისტე და გადარჩენილი იქნებით. ეს არის ყველაფერი, რაც თქვენ მოგეთხოვებათ”. ჭეშმარიტ რწმენას, ხსნის საკითხში მთლიანად ქრისტეზე მინდობილს, მივყავართ სრულ მორჩილებამდე ღვთის სრულყოფილი რჯულის მიმართ (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 6, გვ. 1073. ე. უაითის კომენტარი).

არსებობს ორი საშიშროება, რომელთაც უფლის შვილები უნდა უფრთხილდნენ, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ახლად ეზიარა ღვთის მადლს. პირველი... უფალთან ურთიერთობა არ მიიღწევა საქმეებით. ის, ვინც ცდილობს განიწმიდოს რჯულის თავისი ძალებით აღსრულებით, წარმატებას ვერ მიაღწევს... მხოლოდ რწმენით მიღებული ქრისტეს მადლით განვიწმიდებით.

მეორე სერიოზული შეცდომაა ის, რომ თითქოს ქრისტეს რწმენა ათავისუფლებს ადამიანს უფლის მცნებების დაცვის აუცილებლობისაგან და რადგან ჩვენ რწმენით ქრისტეს მადლის მოზიარენი ვართ, ჩვენს საქმეებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენივე გადარჩენისათვის.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მორჩილება არ არის კანონის ფორმალური აღსრულება, არამედ იგი სიყვარულით მსახურებაა. ღმერთის კანონი მისი ღვთიური ბუნების გამოვლინებაა. ის არის სიყვარულის უდიდესი პრინციპების განსახიერება და სწორედ ამიტომ დაუდო უფალმა საფუძვლად იგი ღვთიურ მმართველობას ზეცაში და დედამიწაზე... რწმენა ადამიანს არ ათავისუფლებს მორჩილებისაგან. ის ქრისტეს მადლის თანაზიარს გვხდის და ეს ძალას გვაძლევს მორჩილებისათვის (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 29, 30).

როგორიც იყო იესო ადამიანის სახით, ისეთად დასახა ღმერთმა, რომ იყვნენ თავისი მიმდევრები.

ჩვენ გვმართებს, მისი ძალით გავატაროთ სუფთა და კეთილშობილური ცხოვრება, ანუ ისეთი, როგორიც მაცხოვარმა გაატარა (განკურნების მსახურება, გვ. 426).

ოთხშაბათი ლუკ. 18

29 მარტი

გადამრჩენელი ძალის დიადი შემადგენელი

ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგნით კი არ არის, არამედ ღვთის ნიჭია, არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიკვეხნოს (ეფეს. 2:8, 9).

წყალობა - ღმერთის განუყოფელი თვისებაა; იგი ამას ავლენს უღირსი ადამიანების მიმართ. ჩვენ არ გვიძებნია წყალობა, არამედ ის გამოიგზავნა ჩვენს მოსაძებნად (განკურნების მსახურება, გვ. 161).

ღვთის მადლი - ესაა გადამრჩენელი ძალის დიადი შემადგენელი, მის გარეშე ყველა ადამიანური ძალისხმევა ამაოა (რჩევები მშობლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, გვ. 538).

ხართ თუ არა ქრისტეში? თუ არ ცნობთ თავს გზააბნეულ, უძლურ, მსჯავრდადებულ ცოდვილად, თუ ამაღლებთ და განადიდებთ საკუთარ თავს, მაშინ არა. თუ თქვენში არის რაღაც კეთილი, ეს მხოლოდ გულშემატკივარი მაცხოვრის წყალობას უნდა მივაწეროთ. თქვენი წარმომავლობა, რეპუტაცია, სიმდიდრე, ნიჭები, სათნოება, ღვთისმოსაობა, ქველმოქმედება ან სხვა რამ ვერ განამტკიცებს და ვერ უზრუნველყოფს თქვენი სულის კავშირს ქრისტესთან. თქვენს კავშირს ეკლესიასთან, ძმების ურთიერთობას თქვენთან არანაირი ფასი არ ექნება, თუ არა გწამთ ქრისტე. საკმარისი არაა, მის შესახებ იცოდე, თქვენ უნდა ირწმუნოთ იგი და მთლიანად დაეყრდნოთ მის გადამრჩენელ მადლს (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 5, გვ. 48, 49).

ო, ნეტავი გააცნობიეროთ, მადლისა და ძალის რა სიმდიდრე რჩება თქვენს მიერ გამოუყენებელი! (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 5, გვ. 17).

გამოუგზავნა რა წუთისოფელს შეუდარებლად ძვირფასი ძღვენი თავისი ძის სახით, ღმერთმა მთელი დედამიწა მადლის ატმოსფეროთი შემოფარგლა, ისეთივე რეალურით, როგორიცაა ჰაერის ატმოსფერო. ყველა, ვინც ესწრაფვის ამ სიცოცხლის მომცემ ატმოსფეროს, იცოცხლებს და აღიზრდება "ქრისტეს სრული ასაკის ზომამდე" (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 33).

ქრისტე... მოკვდა ჩვენთვის... იგი ჩვენ დამსახურებისამებრ არ გვიზღავს. თუმცა ჩვენმა ცოდვებმა მსჯავრი დაიმსახურა, იგი არ გვდებს მსჯავრს. წლიდან წლამდე მოთმინებით დაატარებს იგი ჩვენს უძლურებასა და უმეცრებას, ურიგდება ჩვენს უმადურობასა და თავნებობას. მიუხედავად ჩვენი შეცდომებისა... მისი ხელი ჯერ კიდევ გამოწვდილია ჩვენსკენ (განკურნების მსახურება, გვ. 161).

მხოლოდ ქრისტეს მადლით შევძლებთ იმის შესრულებას, რასაც ღმერთი ჩვენგან ითხოვს (ქრისტეს იგავები, გვ. 173 [ორიგ. გვ. 301]).

ლუკ. 19 ხუთშაბათი

30 მარტი

ლოცვა დიდი გამოცდილების შესახებ

შენთა მცნებათა გზით ვრონინებდე, რადგან განავრცობ ჩემს გულს (ფსალმ. 118:32).

სინაის მთაზე ქრისტეს მიერ წარმოთქმულმა ათმა მცნებამ... ქვეყნიერებას აუწყა, რომ უფალი ხელმწიფობს მთელ ადამიანთა

ოჯახზე. ეს ათი მცნების კანონი, გამომხატველი დიდი სიყვარულისა, რაც როდისმე ადამიანის მიმართ გამოვლენილა, არის ღვთის ხმა ზეციდან, მიმართული ადამიანისადმი აღთქმით: “მოიქეცი ასე, და შენ გათავისუფლდები სატანის ძალაუფლებისა და ძალდატანებისგან”. რჯულის არსი არ არის აკრძალვებში, თუმცა შეიძლება ასე მოგეჩვენოთ. ის აცხადებს: აკეთე და იცოცხლე (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 1, გვ. 1105. ე. უაითის კომენტარი).

ცათა ღმერთი თავის კურთხევას უძღვნის მათ, ვინც იცავს მის მცნებებს. უნდა ვიყოთ თუ არა ღვთის განსაკუთრებული ხალხი თუ გავთელოთ ღვთის რჯული და ვთქვათ, რომ ის არაა აუცილებელი? ღმერთს თავად შეეძლო გაეუქმებინა ეს კანონი (მდა ბიბლიური კომენტარი, ტ. 1, გვ. 1104. ე. უაითის კომენტარი).

ღვთის რჯული ღმერთის ხმის ექოა, რომელიც თითოეულს იწვევს: “ამაღლდი. უფრო და უფრო განიწმინდე”. ქრისტიანული ხასიათის სრულყოფაში შეგვიძლია, ყოველდღიურად გავიზარდოთ (განკურნების მსახურება, გვ. 503).

როგორც ვარსკვლავები მოწმობენ ზეცაში არსებულ უდიდეს ნათელზე, რომელსაც ისინი ირკლავენ, ასევე ქრისტიანებმაც უნდა დაადასტურონ, რომ მთელი სამყაროს მეუფე ღმერთია, რომელიც ქება-დიდებისა და მიბაძვის ღირსია (დიადი ბრძოლა, გვ. 369 [ორიგ. გვ. 476]).

ზეციური ნათლის კაშკაშა სხივები ანათებენ შენს გზას, და მე ვლოცულობ, რომ ბოლომდე გამოიყენო შენი უპირატესობები. მიიღე და სათუთად შეინახე ყოველი სხივი, ზეციდან შენთან

გამოგზავნილი. მაშინ შენი ბილიკი უფრო და უფრო განათდება სრულ დღემდე (უწყებები ახალგაზრდობისათვის, გვ. 32).

სინათლეში სიარულისას ჩვენ შევიძენთ ენერგიულობას, სიმტკიცეს, რომლებიც ასე გვჭირდება, რათა ვიაროთ წინ, ღვთის მცნებების გზაზე. ჩვენ განვმტკიცდებით თითოეული ნაბიჯით, რომელსაც კი ზეცისკენ გადავდგამთ (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 3, გვ. 436).

ჩვენ გამუდმებით გვჭირდება ქრისტეს ახალი გამოცხადება, ყოველდღიური გამოცდილება, რომელიც მის მოძღვრებასთან ჰარმონიაში იმყოფება. ჩვენთვის სავსებით ხელმისაწვდომია მაღალი და წმიდა მიღწევები. ჩვენს მიმართ ღვთის განზრახვაა განუწყვეტელი პროგრესი შემეცნებასა და სათნოებაში (განკურნების მსახურება, გვ. 503).

პარასკევი 19:20 ლუკ. 20

31 მარტი

გადამრჩენელი ძალა ქრისტესი

“და მითხრა: ‘გეყოფა ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა’. ამიტომ უფრო ხალისით დავიკვეხნი ჩემი უძლურებებით, რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში” (კორ. 12:9).

ჩვენი ძვირფასი მაცხოვარი გვიწვევს, შევუერთდეთ მას და ჩვენი უძლურება გავაერთიანოთ მის ძალასთან, ჩვენი უმეცრება მის

სიბრძნესთან, ჩვენი უღირსი საქციელი - მის დამსახურებებთან (მოწმობანი ეკლესიისთვის, ტ. 4, გვ. 16).

რჯულის მკაცრი, ზედმიწევნით დაცვა არავის მისცემს უფლებას, შევიდეს ცათა სასუფეველში.

ადამიანი უნდა იშვას ზეციდან, მიიღოს განახლება ღვთის სულით, რომელიც წმენდს ცხოვრებას და აკეთილშობილებს ხასიათს. ღმერთთან ეს კავშირი მოკვდავებს უფლებას აძლევს, მოემზადონ დიდებულ ზეციურ სასუფეველში ცხოვრებისთვის. ადამიანს არ ძალუძს, მოიგონოს ცოდვისგან განკურნების წამალი (დროის ნიშნები, 1877 წ. 11 იანვარი).

ცოდვილი ადამიანი რომ წმიდა გახდეს, საჭიროა შინაგანი ძალა, ახალი ცხოვრების დაწყება. ეს ძალა ქრისტეა. მხოლოდ მის ძალას შეუძლია ჩვენში ჩამკვდარი სულიერი ნიჭის გამოღვიძება და მისი წარმართვა უფლისკენ, სიწმიდისაკენ... ღრმად მცდარი აზრია ის, რომ საკმარისია ადამიანმა გააღვივოს ის სიკეთე, რომელიც მასში ბუნებრივად არის, "მშვინვიერი" (უცხ. თარგ. "არასულიერი") ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, რადგანაც უგუნურებად მიიჩნევს მას და არც ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი"... ქრისტეს შესახებ წერია: "მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი". "არც კაცთათვის მიცემული სხვა სახელია ცის ქვეშ, ვისი წყალობითაც ვიხსნიდით თავს" (იოან. 1:4; საქმ. 4:12)...

პავლე მოციქულს სწყუროდა სიწმიდე, სიმართლე, რომლის მიღწევა თვითონ არ შეეძლო და საცოდავად აღმოხდა: "უბადრუკი ადამიანი ვარ! ვინ დამიხსნის ამ სიკვდილის სხეულისაგან!" (რომ 7:24). ყველა დროში და ყველგან ისმოდა

ცოდვით დამძიმებული გულიდან ამოძახილი ასეთი სიტყვები. მათზე პასუხი მხოლოდ ერთია: “აჰა, ღვთის კრავი, რომელიც იღებს წუთისოფლის ცოდვას” (იოან. 1:29) (ქრისტესკენ მიმავალი გზა, გვ. 8).

ლუკ. 21 შაბათი